ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 19 მარტი 1999 №49 (822) | ფასი 1 ლარი


# სამშაბათს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება!

## განაცხადეს გუშინ კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა თემურ დათიკაშვილმა და დუდუ დადიანმა



ლევან მოსეშვილი

*— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, მე არაფერი ვიცი. ნაკრების მწვრთნელი ჯერაც მე ვარ, თუ აღმასკომის სხდომაზე მომიწვევენ, მივალ და ყველაფერი იქ გაირკვევა...*

გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა

იხილეთ მეათე გვერდი

## ჯანაშიამ კალაძეს მხარი აუბა

*ოთხშაბათს კახი კალაძის კიევის „დინამომ“ მადრიდის სამეფო კლუბს აჯობა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში აღმოჩნდა. გუშინ კალაძეს არც ზაზა ჯანაშია ჩამორჩა, რომლის დახმარებითაც მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრადაც დაამარცხა ჰაიფას „მაკაბი“ და ზედიზედ მეორედ გააღწია თასების თასის უძლიერესთა ოთხეულში.*

UEFA Cup Winners' Cup

თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების შედეგები იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე



REUTERS პაიფადან

მაკაბი — ლოკომოტივი 0:1. გუშინ ზაზა ჯანაშიას (მარცხნივ) არ გაუტანია, მაგრამ ჰაიფელი მცველები მაინც ჩვეულად დააწიოკა

### ქართული ფეხბურთის მესაჯღვრენი

გამოჯანმრთელებულმა ვლადიმერ გუცაევმა გუშინ ნაკრები პირველად ავარჯიშა

### ნიგერიელი №2

ლეგიონერი „ტორპედოსაც“ ჩამოუვიდა: მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ნდუკა უგბადე

### კინდერ სიურპრიზი

კილასონია VS კილასონია

### საქართველოს თასი

ნახევარფინალის წილისყრა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | სამგურალი |
| არსენალი | ტორპედო |

თამაშები 7 და 20 აპრილს გაიმართება

### ნუ დაუჯერებთ მასლაჩენკოს

დღეს ევროთასების კენჭისყრაა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

UEFA CUP

UEFA Cup Winners' Cup

### სოკ-ში წმენდა გრძელდება

ოლიმპიური დიდმოხელენი პამპერსებს ირეცხავენ




საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 20 მარტი. თბილისი. ეროვნული.

# საქართველო — უკრაინა

# ისევ ჯანაშია, ისევ პრობლემა?!

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შესაძლოა ერთი ფეხბურთელიც დააკლდეს — ხაიფადან ზაზა ჯანაშიას დროულად ჩამოსვლა საეჭვოა.

მოსკოვის „ლოკომოტივის" მწვრთნელ იური სიომინს ჩვენებურთათვის პირობა კი მიუცია, თავდამსხმელს კლუბისგან პრობლემა არ შეექმნებაო, მაგრამ საქმე ის ყოფილა, რომ ისრაელში მყოფ რუსებს ის რეისი ვერ შეურჩევიათ, რომლითაც ჯანაშია გამოფრინდება. უკეთეს შემთხვევაში ზაზა თბილისს დღეს შუაღამით ჩამოვა და უკრაინელებთან საქართველოს ნაკრებში უვარჯიშებელი ითამაშებს, უარესობისას კი სლავებთან მატჩს საერთოდ გამოტოვებს და ეროვნულ გუნდს 21-ში შეუერთდება. ახლა ყველაფერი ჯანაშიაზეა დამოკიდებული, თუ მოისურვებს, უპრობლემოდ შეეძლება ამალამ თელ ავივ — სტამბოლ — თბილისის რეისს ჩამოჰყვეს, ან არადა...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს სადარდო ეგლა დარჩენიათ, თორემ იმ ოთხეულის ჩამოუსვლელობას უკვე შეგუებულნი არიან. ხელმძღვანელები იმაშიც დარწმუნდნენ, რომ დღევანდელ მატჩისწინა ვარჯიშს 18 კაცით ჩაატარებენ, რისი საშუალებაც მათ გუშინ არ ჰქონდათ.

ხუთ საათზე, დიღმის ბაზაზე 11-მა ნაკრებელმა დაიწყო მომზადება. საქართველოში მოთამაშეთ მხოლოდ „ალანიას" ქართველები, მოლდოვაში მობურთალი თარხნიშვილი, სკონტოელი სილაგაძე და „ეინდჰოვენის" გახოკიძე დამატებოდნენ. დანარჩენებს ვერ ჩამოესწროთ, თუმცა როგორც გითხარით, როცა ამ სიტყვებს წაიკითხავთ, ზაზა ჯანაშიას გარდა ყველანი აქ იქნებიან.

ვლადიმერ გუცაევმა როგორც თქვა, ისევე მოიქცა. იგი საწოლიდან წამოდგა და ვარჯიშს დაესწრო. ოღონდ მითითებებს მხოლოდ თანაშემწეებს — ვლადიმერ პანოვსა და სერგო კუტივაძეს აძლევდა. ისინიც ფეხბურთელებს გადასცემდნენ მწვრთნელის ნათქვამს, გუცაევი მინდვრის განაპირას იდგა და იქიდან აკვირდებოდა შეგირდებს.

ვარჯიში საათნახევარს გაგრძელდა. მოთელვა, ორი კარი, სტანდარტული მდგომარეობების, ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება... ბიჭები ლონივრად გამოიყურებოდნენ, ხალისით და მონდომებით ასრულებდნენ მწვრთნელთა დავალებებს. განსაკუთრებით თვალშისაცემი ალანიელები იყვნენ. გაზაფხულის მოსამზადებელ პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია. ყოჩაღობდა შერიფელი თარხნიშვილი და ჰოლანდიაში უთამაშებელი გახოკიძეც. ბალაშვილის, დათო ჯანაშიას, ალექსიძის კარგ ფორმაზე კი აქამდეც არაერთხელ გვითქვამს. სილაგაძესაც არაფერი დაეწუნებოდა. მეკარეების მომზადებაზე ბევრსაც ვერ ვიტყვით — იური სტადუხინის ყუმბარისებულ დარტყმებს პირველი ჯერისთვის კარგად უხვდებოდნენ.

იქვე, მეზობლად, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც ამდენ ხანსვე ივარჯიშა. გიგლა იმნაძის შემადგენლობა უფრო მრავალრიცხოვანი იყო, თუმცა ჯაკობია და დარასელია ჯერაც არ ჩამოსულიყვნენ. ისინი თანატოლებს დღეს შეუერთდებიან. იმნაძეს საპრეტენზიო არაფერი ჰქონდა, ბიჭებმა თავდაუზოგავად ივარჯიშეს, ეტყობათ, რომ სერიოზულად აღიქვამენ მოახლოებული მატჩების მნიშვნელობასო.

ისე, ასეც უნდა იყოს, აბა, საქმისადმი არასერიოზული მიდგომით ვის რა მოუგია, ჩვენ რომ ვიხეიროთ?

შვიდის ნახევარზე ვარჯიში ორივე მინდორზე დამთავრდა. დაღლილ-დაქანცულმა ფეხბურთელებმა ავტობუსებს მიაშურეს. ეროვნულის წევრები რატომღაც „დინამოს" ორსართულიანში ჩასხდნენ. „დინამოს" დიდი მადლობა, მაგრამ საკითხავი კია, ეროვნულ ნაკრებს კლუბის ავტობუსი რად ემსახურება? არა გვგონია, ერთი კომფორტული ავტობუსის ქირაობა უსაშველო რამ იყოს. ბოლო-ბოლო, კაცი რომ შეხედავს, უნდა მიხვდეს, შიგ დინამოელები სხედან თუ ეროვნული ნაკრების წევრები...

ჩასხდომამდე კი...

*დავით ჯანაშია:* ესტონელებთან მატჩს თუ არ ჩავთვლით, ნაკრებში ხელმეორე დებიუტი მაქვს. დიდი ხნის შემდეგ ისევ დავუბრუნდი ეროვნულ გუნდს. თავს უცხოდ არ ვგრძნობ, ნორმალურად მიმიღეს, არც ვნერვიულობ. ვცდილობ, ჩემი სიძლიერე დავამტკიცო. რაც შეეხება მომავალ მატჩებს, მოუგებელი არავინაა, ყველას დამარცხება შეიძლება. მაგალითი, აგერ ჩემპიონთა ლიგა და კიევის „დინამოა". თანაც თბილისში ვთამაშობთ, მგონი, მოვიგებთ.

*გიორგი ბალაშვილი:* ჩემთვის შიში უცხოა, მინდორზე ცივსისხლიანი ვარ. როგორც შევძლებ, ვითამაშებ. არავის დავეჩაგვრინები. ვიცი, ყველა ჩემსავით ფიქრობს. გუნდში ერთსულოვნებაა და მჯერა, რომ ორივე მატჩს მოვიგებთ.

*სოსო გრიშიკაშვილი:* დღეს პირველი ვარჯიში გვქონდა და უკვე დავრწმუნდი, რომ საქმეს ყველა პროფესიონალურად უდგება. ჩვენ წაგების უფლება არ გვაქვს, მობილიზებულნი ვართ. მწვრთნელის ავადმყოფობა კი პასუხისმგებლობას ზრდის, გუცაევი უნდა ვასახელოთ. უნდა დავამტკიცოთ, რომ ტყუილად არ გვიხმო ეროვნულ გუნდში. თავად კი, ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ.

*გოგა გახოკიძე:* მართალია, „ეინდჰოვენში" არ ვთამაშობ, მაგრამ ბევრს ვვარჯიშობ. პირველ ყოვლისა, ნაკრებისთვის ვზრუნავ, არ მსურს, ქართველი ქომაგის წინაშე შევრცხვე. თავს დავდებ. მონდომებით ყველაფერს მივაღწევთ. უკრაინელებზე ჯავრი უნდა ვიყაროთ, სლოვენიელებსაც აუცილებლად დავამარცხებთ. სხვა გზა არ გვაქვს.

გუნდმა „მესაზღვრეს" მიაშურა. სალამოს თეორიული მეცადინეობა, დღეს ორჯერადი ვარჯიში, ხვალ კი... გახოკიძის არ იყოს, ჯავრი უნდა ვიყაროთ.

**ქობა ინასარიძე**

ბადრი ქოიოლაშვილის ფოტო



საქართველოს ნაკრები საუკრაინოდ და სასლოვენიოდ მზადებას გუშინ არასრული შემადგენლობით შეუდგა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი.
27 მარტი. თბილისი. ეროვნული.

# საქართველო — სლოვენია

# სლოვენიამ ბილეთები შეუკვეთა

დღეისწორს, 26 მარტს ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად თბილისს სლოვენიის ნაკრები ესტუმრება, რომელიც ოთხ დღეში ალბანეთს დაუხვდება.

გუშინ სლოვენიელთა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა ის 19 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც თბილისშიც იახლებს და ალბანელებსაც დაუპირისპირებს. მეტოქე სამ ძლიერ ფეხბურთელს მოისაკლისებს. ეროვნულ სტადიონზე ვერ ვიხილავთ „მარიბორის" მცველ მარინკო გალიჩს, რომელსაც ორი გაფრთხილება თბილისური მატჩის გამოტოვებად დაუჯდება. გალიჩის ბედს, ოღონდ სხვა მიზეზით, გაიზიარებენ იტალიური „ატალანტას" მცველი რობერტ ენგლარო და საფრანგეთის „ლე ავრის" ფორვარდი, მავანთაგან ნაქები ჯონ ნოვაკი, ესენი ტრავმებს შეუწუხებია და მთლად ჯანზე ვერ არიან. სამაგიეროდ კი, კატანეცს მრისხანე თავდამსხმელს ზლატკო ზაჰოვიჩს გვაწვევს. მწვრთნელის სიაში ამოიკითხავთ ერთ ნაცნობ გვარსაც — იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველმა მილინკო აჩიმოვიჩმა „კოლხეთის" ცოდვა დაიდო.

კატანეცის სრული სია კი ასეთია: *მეკარეები:* მლადენ დაბანოვიჩი (ველენიე), მარკო სიმეუნოვიჩი (შექერსფორი, თურქეთი); *მცველები:* სპასოიე ბულაჯიჩი (კიოლნი, გერმანია), ალექსანდერ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), დარკო მილანიჩი (შტურმი, ავსტრია), ზელიკო მილინოვიჩი (ლინცერი, ავსტრია), მარინკო გალიჩი (მარიბორი); *ნახევარმცველები:* მილინკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ალექს ცეჰი (გრაცი, ავსტრია), საშო გაიზერი (ველენიე), რუდი ისტენიჩი (ფორტუნა, კიოლნი, გერმანია), ამირ კარიჩი (მარიბორი), ზელიკო მიტრაკოვიჩი (ნოვა გორიცა), მარიან პავლინი (ფრაიბურგი, გერმანია), ზორან პავლოვიჩი (ველენიე), მლადენ რუდონია (სენტ ტრუიდენი, ბელგია);

*თავდამსხმელები:* მილან ოსტერცი (ერკულესი, ესპანეთი), საშო უდოვიჩი (იანგ ბოიზი, შვეიცარია), ზლატკო ზაჰოვიჩი (პორტუ, პორტუგალია)

ამგვარად, სლოვენია საომრად გაემზადა. მათი შემადგენლობა კი სახუმარო როდია, კატანეცმა იცის, ვინც მოჰყავს. როგორ დავხვდებით და გავისტუმრებთ?...

**ქობა ინასარიძე**

# მესაფლავეები დაღლილან

უკვე გადაწყვეტილია, რომ უკრიანის ეროვნული გუნდი თბილისს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრება. კიევი-თბილისის დღევანდელი ჩარტერული რეისით ის ფეხბურთელებიც იმგზავრებენ, რომლებმაც, გუშინწინ თვით მადრიდის „რეალი" დაითხოვეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან. იოჟეფ საბოს თქმით, ნაკრებში არც მეტი, არც ნაკლები 11 კიევის დინამოელია.

ახლა საკითხავი მეორეა. როგორც წუხელ შევიტყვეთ, ეროვნულ სტადიონზე შეიძლება მადრიდელთა დამსამარებელმა შევჩენკომ და კიდევ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა არ ითამაშონ. ისინი მეტად გადაღლილები ყოფილან და ძალების აღდგენას საჭიროებენ, მით უმეტეს, რომ უკრაინელებს 27 მარტს უპრინციპულესი მატჩი ელით პარიზში ფრანგებთან. თუმცა, ყველაფერი ეს ვარაუდია, ვინძლო ესპანელთა ყველა მესაფლავემ ერთადაც ითამაშოს. ყოველივე კი უფროსი მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკისა და მთავარი მწვრთნელის იოჟეფ საბოს გადასაწყვეტია.

**ქობა ინასარიძე**

# კახა კალაძე: რეალს რეალურად ვჯობდით

*თქმა არ უნდა, კახა კალაძე, მიუხედავად თავისი ოცდაერთი წლისა, უკვე არის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი. ამას თავისი მიზეზები აქვს — ჯერ ერთი, კახა კალაძე პირველი ქართველია, ვინც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გოლი გაიტანა, მეორე — კახა კალაძე უკვე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტია და მესამეც — კახა კალაძე კახა კალაძეა — კიევის „დინამოს" „პალოჩკა-ვირუჩალოჩკა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი იმედი.*

*ალბათ, არ არსებობს ფეხბურთით დაინტერესებული არც ერთი ქართველი, ვისაც საშუალება ჰქონდა და 17 მარტის საღამოს კიევის „დინამოსა" და „რეალის" თამაშს არ უცქირა. ბევრი რამ გვიჩვენა ამ შეხვედრამ — ბრძნული ტაქტიკა, თანამედროვე ფეხბურთი, მაღალი კლასის ფეხბურთელები, მაგრამ რაც ყველაზე სასიამოვნო გახლდათ — ეს იყო უკრაინელთა ჩემპიონის მარცხენა ფრთაზე ლომივით მებრძოლი კახა კალაძე, რომელმაც ხან მორიენტესის, ხან ზეედორფის წინააღმდეგ იმდენი „პადკატი" აკეთა, რამდენიც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თავისი არსებობის მანძილზე ერთად...*

*მიზეზი გვქონდა და კალაძეს როგორც არ დავუკავშირდებოდით. ვარჯიშზე კი მიიჩქაროდა, მაგრამ ეს პატარა სატელეფონო საუბარი მაინც შედგა.*

— წუხელ უკრაინაში, კიევში დიდი დღესასწაული იყო. მილოცვები, ხვევნა-კოცნა, სიხარული. ბოლოს და ბოლოს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა გუნდი, „რეალის" დამარცხებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

**— ქომაგი რომ გაიხარებდა, გასაგებია, ლობანოვსკის რეაქცია გვაინტერესებს...**

— ისიც ძალიან იყო გახარებული. სათითაოდ გადაგვკოცნა და მოგვეფერა ყველას. თუმცა რა, ლობანოვსკი კი არა, უკარინის პრეზიდენტი კუჩმა უნდა გენახათ რა დღეში იყო... რომ იტყვიან, ერთიანი, სახალხო სიხარული, ზუსტად ასეთი რამ მოხდა კიევში 17 მარტის ღამეს.

**— ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს უგოლო ფრეზეც ყაბულს იყავით...**

— არაფრით. კიევის „დინამო" მხოლოდ მოგებისთვის თამაშობდა. ასეთი შთაბეჭდილება, ეტყობა, პირველმა ტაიმმა შეგიქმნათ, რომელშიც მწვრთნელის დავალება ვერ შევასრულეთ.

**— და რა დავალება მოგცათ ლობანოვსკიმ?**

— პერსონალური თამაში დაცვაში და მთელს მოედანზე პრესინგი. კონტრშეტევაზე თამაში კარგად გამოუდის კიევის „დინამოს" და აქცენტიც ამაზე უნდა აგველო. კიდევ ვიმეორებ, პირველ ტაიმში ვერ შევძელით მწვრთნელის დავალების შესრულება, მაგრამ მეორეში ყველაფერი გამოსწორდა და, შეიძლება ითქვას, „რეალს" გადავუარეთ. რეალურად ასეც უნდა ყოფილიყო.

**— პირადად შენ გქონდა რაიმე კონკრეტული დავალება?**

— არავითარი, უნდა მეთამაშა ჩვეულად და გამეკონტროლებინა მარცხენა ფლანგი, ეს იყო და ეს...

**— ახლა ორიოდე სიტყვა ნაკრებზეც ვთქვათ...**

— იცი რა, წუთი-წუთზე ვარჯიში მეწყება და როგორმე შემდეგისთვის იყოს ნაკრებზე საუბარი. ხვალ ჩამოვალ თბილისში და დანარჩენი მაშინ ვთქვათ.

ისე, მართლა უცნაური კაცია ეს ლობანოვსკი — 17 მარტს ღამის ორ საათზე გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა, 18 მარტს დღის სამ საათზე კი ვარჯიში დაუნიშნა.

ეტყობა, დრო და ფეხბურთი ითხოვს ამას. ვალერი ვასილევიჩს რა შეეშლება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ნიგერიელი №2

## ტორპედოომ, ბათუმზე ნაკლებიო

საქართველოში მეორე ზანგი ლეგიონერი გამოჩნდა. პირველი შავი მერცხლის, ბათუმელი უჩე უვაკვეს გზას მისი თანამემამულე ნდუკა უგბადე დაადგა. ნიგერიელი გუშინწინ „ტორპედოს" ებრაელ აგენტთან ერთად თბილისში ჩამოფრინდა. გუშინ კი ქუთაისში საღორიის საწვრთნელ ბაზას ესტუმრა გუნდში ჩარიცხვის სურვილით.

„სარბიელმა" ეს ამბავი წუხელ შეიტყო და ყოველივეს გასარკვევად „ტორპედოს" პრესცენტრს დავუკავშირდით.

ნდუკა უგბადე დაიბადა 1969 წლის 6 სექტემბერს. იგი ნახევარმცველია, თუმცა, როგორც თვითონ განუცხადებია, დაცვისა და შუა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე ძალუძს თამაში. ნდუკას კარიერა ასეთია — იყო ნიგერიის 18-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრების წევრი. 1987 და 1989 წელს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა ჩილესა და საუდეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატებზე და არაბეთში ვიცე-ჩემპიონიც გახდა.

უგბადე ყოფილა ესპანური კლუბების, „კასტილიასა" და „ალავესის" წევრი. ბოლოხანს კი ჯერ სინგაპურულ „ქელაბარ როვერსში", მერე კი „მერინ კასლ იუნაიტედში" ირიცხებოდა.

ნდუკა უგბადემ გუშინ საღორიის ბაზაზე წაივარჯიშა. მოსწონებია კიდეც ტორპედოელთა საწვრთნელი ადგილსამყოფელი. აღფრთოვანებული დარჩენილა იმერული კერძებით. ქუთაისელებმა იგი კერძო სასტუმროში დააბინავეს.

— ორი კვირაა არ მივარჯიშია და დასკვნებს ნაადრევად ნუ გააკეთებთ. ათ დღეში სრულად აღვიდგენ ფორმას და მერე ნახეთ, რა ბიჭიც ვარო — უთქვამს დაკუნთულ ნიგერიელს.

„ტორპედოს" ხელმძღვანელობაც ათი დღის განმავლობაში გადაწყვეტს, ჩააცმევს თუ არა უგბადეს ქუთაისური გუნდის მაისურს.

და ბოლოს. არ არის გამორიცხული, ამ თვის ბოლოს იმერეთში კიდევ ორი ლეგიონერი გამოჩნდეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კინდერ სიურპრიზი

## კილასონია კილასონიას წინააღმდეგ

აკაკი ჩხაიძე წილისყრაზე ბატისტუტას მაისურით გამოცხადდა და ჯიქურ დადგა ლოტოტრონთან. მის ხელს უნდა გადაეწყვიტა ბევრი რამ. არ ვაჭარბებთ, სწორედ ასე იყო. გუშინ სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას კაბინეტში გია ფირცხალავამ წილისყრის პროცესი ერთობ ორიგინალური გზით წარმართა. საშეჯიბრო განყოფილების ახალდანიშნულ უფროსს ასისტენტობას „ირაოს" საფეხბურთო სკოლის ნორჩი წარმომადგენელი (აი, ისეთი, ცუგრუმელა ბიჭს რომ ეძახიან), აკაკი ჩხაიძე უწევდა.

მანამდე კი პრეზიდენტის კაბინეტში თავი მოიყარეს ჟურნალისტებმა, ფედერაციის ჩინოსნებმა (წილისყრის პროცესს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძეც ესწრებოდა) და გუნდების წარმომადგენლებმა. „ლოკომოტივის" თავკაც თემურ მახარაძეს ლოტოტრონის ტრიალისთვის თვალი არ უდევნებია, იგი წილისყრის შედეგს პრეზიდენტის მისაღებში ელოდა, რაც მარტივად აიხსნება — მსგავს პროცესებზე მახარაძის უილბლობის ამბავი ბევრისთვის ცნობილია.

ერთიც მენიშნა, რკინიგზელთა და წყალტუბოელთა კლუბების პრეზიდენტები — გრიგოლ ქათამაძე და ტარიელ ღვაბერიძე ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გვერდი-გვერდ ყოფნის პატივი პატივცემულ პრეზიდენტებს მინიმუმ ორჯერ მიეცემათ.

გია ფირცხალავა დამსწრეთ მიესალმა და წილისყრის ფორმაც მოკლედ ახსნა. მან ერთიდან ოთხამდე დანომრილი ფურცლები სათითაოდ მოათავსა სათამაშო კინდერის „კვერცხის გულში" და პატარა ასისტენტის ჯერიც დადგა. აკაკიმ ჯერ „ტორპედოს" რიგითი ნომერი ამოიღო (სატურნირო ცხრილში უკეთესი ადგილის წყალობით პირველად ქუთაისელთა ბედი წყდებოდა). ქუთათურებს მეორე ნომერი შეხვდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირველ შეხვედრას სტუმრად ჩაატარებდნენ პირველნომრიანი „კვერცხის გულის" მფლობელთან. შემდეგ „ლოკომოტივის" ჯერიც დადგა, ჩხაიძის ხელმა რკინიგზელებს სამი ნომერი

ზაზა იორდანიშვილის ფოტო



გია ფირცხალავამ, მალხაზ ლაცაბიძემ და გია ძამუკაშვილმა გუნდების დაწყვილება აკაკი ჩხაიძეს მიანდეს

შეახვედრა და ოთახში ბევრმა შვებით ამოისუნთქა — ნათელი გახდა რომ, „ტორპედოს" და „ლოკომოტივის" გზები ნახევარფინალში აღარ გადაიკვეთებოდა. მესამე სვლაზე კი წილისყრის პროცესი დასრულდა.

მაშ ასე, 7 აპრილი: „არსენალი" — „ტორპედო", „ლოკომოტივი" — „სამგურალი". ნახევარფინალური წყვილები ცნობილია. რა თქმა უნდა, ფავორიტებად ქუთაისელები და თბილისელები მიიჩნევიან. თუმცა ძნელი სათქმელია, ვინ გააღწევს ფინალში. სიურპრიზებს ამთავითვე უნდა ველოდეთ (ამის ნაკლებობას თასის წლევანდელი გათამაშება ისედაც არ განიცდის). განსაკუთრებით საინტერესო მეორე წყვილია, ორივე კლუბს [illegible] კილასონია ჰყავს. ვინ იცის, იქნებ თემურ მახარაძის გუნდს შვიოლდაც დაუჯდეს ძმების დაშორება — მეორე წრის განახლებამდე ვარლამიც და გიაც „ლოკომოტივში" ვარჯიშობდნენ. 7 აპრილს კი ისინი ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან...

წილისყრის შემდეგ კლუბების წარმომადგენლებს კომენტარი ვთხოვეთ.

**მამუკა გეგეჭკორი**, „არსენალის" მთავარი მწვრთნელი: „სუსტი მეტოქე ნახევარფინალში არ არსებობს, მით უმეტეს, ქუთაისის „ტორპედო" ძალიან ძლიერი გუნდია. ყოველივეს „არსენალის" დღევანდელი კრიზისული მდგომარეობაც ემატება. ფაქტობრივად, დაშლის პირას ვდგავართ. ჩემპიონატის მატჩში ძირითადის შვიდი მოთამაშე არ გვახლდა სამტრედიაში. თუ გუნდის მიმართ ასეთი უყურადღებობა გაგრძელდა, არ ვიცი, რა ელოდება „არსენალს".

**მურად ქუთათელაძე**, „ტორპედოს" კლუბის დირექტორი: „წილისყრით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჩვენთვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომელ მეტოქესთან მოგვიწევდა დაპირისპირება. რადგან ასე გადაწყდა, კარგია, უფრო უკეთესი ვარიანტია".

**თემურ მახარაძე**, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი: „ნახევარფინალში შემთხვევით არავინ გადის, ყველა გუნდი დამსახურებულად მოხვდა თასის გათამაშების ამ ეტაპზე. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ სათამაშოდ. პირველი შეხვედრა შინ რომ გვაქვს, ეს „სამგურალს" გარკვეულ უპირატესობას აძლევს, მაგრამ „ლოკომოტივისთვის" არა აქვს მნიშვნელობა, თბილისში თამაშობს თუ სტუმრად".

**გრიგოლ ქათამაძე**, „სამგურალის" პრეზიდენტი: „წილისყრა ნორმალურად ჩატარდა. მეტოქე საკმაოდ ძლიერი გვერგო. ვეცდებით, „ლოკომოტივს" ტოლი არ დაუდოთ და კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ".

**ხვიჩა სანიკიძე**
**პაატა კვანტალიანი**

---

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 20 მარტი. თბილისი. შევარდენი.

## საქართველო — უკრაინა

### ახალგაზრდულები

# ვიქტორ კოლოტოვი: თბილისში რჩეულები მომყავს

*დღეს, 14 საათზე, უკრაინელთა დელეგაცია ქართულ მიწაზე დაადგამს ფეხს. ახალგაზრდები, უფროსებისგან განსხვავებით, სასტუმრო „აჭარაში" დაბინავდებიან. ალბათ, ქართველი ქომაგისთვის საინტერესო იქნება უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის, წარსულში კიევის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის სახელგანთქმული ნახევარმცველის, ვიქტორ კოლოტოვის აზრი ხვალინდელი მატჩის შესახებ, მით უმეტეს, იოჟეფ საბოს დარად, არც კოლოტოვი აპირებს, ქართველებს შეთხელებული გუნდით შეებრძოლოს. უკრაინელთა თავკაცს გუშინ კიევში შევეხმიანეთ. მიუხედავად იმისა, რომ მოუცლელი იყო, იგი არ დაგვზარებია:*

**— ბატონო ვიქტორ, გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ...**

— გისმენთ, რა გაინტერესებთ?

**— თავდაპირველად გილოცავთ კიევის „დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებას მადრიდის „რეალთან".**

— გმადლობთ. „რეალის" დამარცხებით არა მარტო „დინამომ", არამედ მთელმა უკრაინამ გაიმარჯვა. რაც მატჩის დასასრულს კიევის „ოლიმპიისკიზე" ხდებოდა, იმის აღწერა ძნელია, ეს იყო ენით გამოუთქმელი სანახაობა. ჩვენ ხომ ჩემპიონთა თასის მფლობელი გამოვთიშეთ გათამაშებიდან.

**— ეს ყველაფერი კარგი. ახლა საქართველო — უკრაინის ახალგაზრდული გუნდების ხვალინდელ მატჩზე ვთქვათ. უძლიერესი შემადგენლობით მოდიხართ?**

— რატომაც არა. დღეს ვინც მყავს გამორჩეული, ისინი მომყავს, გუნდში სულ ოცი ფეხბურთელია. საქართველოსთან შეხვედრა წლეულს პირველი და ბოლო იქნება ჩვენთვის, 26 მარტს საფრანგეთის 21-წლამდელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე. ვფიქრობ, ქართველებთან თამაში დიდად წაგვადგება.

**— თუ შეიძლება, ჩამოგვითვალეთ, ვის ვიხილავთ აქ?**

— ახლავე. მეკარეები — სერგეი პერხუნი (შერიფი, მოლდოვა), ოლეგ ოსტაპენკო (ნივა, ვინიცა); მცველები — სერგეი ჩერნიაკი (დინამო, კიევი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტიორი, დონეცკი), ვიტალი ბალიცკი (ცსკა, კიევი), ალექსანდრ პერშინი (ვორსკლა, პოლტავა), სერგეი დაცენკო, დენის კოლჩინი (ორივე კრივბასი, კრივოი როგი), ალექსანდრ მიტროფანოვი, ოლეგ სიზონი (ორივე ტავრია, სიმფეროპოლი); ნახევარმცველები — ალექსანდრ ვენგლინსკი (დინამო, კიევი), ვალენტინ პლატონოვი (კრივბასი, კრივოი როგი), გენადი ზუბოვი (შახტიორი, დონეცკი), რუსლან კოსტიშინი, ალექსეი ოლეინიკი (ორივე ცსკა, კიევი); თავდამსხმელები — იაკობ კრიპაკი (ცსკა, კიევი), ანდრეი გოლოვკო (ვორსკლა, პოლტავა), ვლადიმირ გაპონი (ჩერნომორეცი, ოდესა), ანდრეი ვორობეი, სერგეი დრანოვი (ორივე შახტიორი, დონეცკი)

**— საქართველოსთან მატჩი პირველი და ბოლო საკონტროლო შეხვედრა იქნება ფრანგებთან პაექრობის წინ. რატომ, აქამდე ვერ მოახერხეთ სხვა სპარინგ-პარტნიორის მოძებნა?**

— უკრაინაში სეზონი ახლახან განახლდა, ისიც აღსანიშნავია, რომ დიდიან-პატარიანად ყველას კიევის „დინამო" აკერია პირზე. ჩემპიონთა თასზე „რეალთან" მატჩისთვის უკეთ მოსამზადებლად დინამოელებს ფეხბურთის ფედერაციამ ყველანაირად შეუწყო ხელი: ამიტომ სპარინგ-პარტნიორების გამოსაძებნად არ გვეცალა. ამიტომაც, ქართველებთან დაპირისპირება ფრანგებთან თამაშის წინ დიდად წაგვადგება.

**— რას გეგმავთ ამ მატჩისთვის, მოიგებთ?**

— სულელი უნდა იყო კაცი, რომ თქვა, წასაგებად მივდივარო. ბურთი მრგვალია, ყველაფერი თამაშის დროს გამოჩნდება, გააჩნია, როგორ შეასრულებენ ბიჭები ჩემს დავალებას. რა თქმა უნდა, თუ მოვიგებთ, ძალიან გამიხარდება, მაგრამ საკონტროლო მატჩი იმისთვისაა, რომ გუნდში არსებული ხარვეზები გამოჩნდეს და ოფიციალური მატჩებისთვის ძირფესვიანად აღმოიფხვრას.

**— ზემოთ ოცი ფეხბურთელი ჩამოთვალეთ, იქნებ ძირითადი თერთმეტეულიც გვითხრათ?**

— ოო, თუ გითხარით, მერე მე რა ვქნა, წახვალთ და თქვენს მწვრთნელს ჩაუკაკლავთ ყველაფერს. ჩემს საიდუმლოს მეც შევინახავ. თერთმეტ კაცს თამაშის დღეს დავასახელებ.

**— ქართველებს ბოლოს შარშან აგვისტოში შეხვდით და დაუზავდით 1:1. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე?**

— მახსოვს, კარგი თამაში იყო, დიდი ბრძოლა გაგვიმართეთ. ქართველებს ყოველთვის ინდივიდუალურად ძლიერი, ტექნიკური ფეხბურთელები გყავდათ და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასეა. იმ შეხვედრაში, მართალია, თავიდანვე ვაგებდით, მაგრამ შემდეგ ანგარიში გაგითანაბრეთ. ალბათ, მაინც ფიზიკური კონდიციებით გაჯობეთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

---

# არსენალი დაშლის პირასაა

მეათე ჩემპიონატის პირველი წრე დებიუტანტმა თბილისის „არსენალმა" საკმაოდ კარგად ჩაატარა. სტარტზე მოსალოდნელი ჩავარდნის შემდეგ გუნდმა პირველ ჯგუფს ალღო აუღო და საბოლოოდ მეორე წრეს მერვე ადგილზე შეხვდა. თუმცა ერთი უსიამოვნო ფაქტი გუნდში მაინც მოხდა. სეზონის მსვლელობისას მთავარ მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს კლუბის უფროსობასთან კონფლიქტი მოუვიდა და მისი ადგილიც მეორე მწვრთნელმა — მამუკა გეგეჭკორმა დაიკავა. მიუხედავად ამისა, „არსენალი" წარმატებით სვლას აგრძელებდა. წრეებს შორის შესვენება გუნდმა საკმაოდ ნაყოფიერად გაიარა, ბულგარეთში ორკვირიანი შეკრებაც მოაწყო და ჩემპიონატის განახლებასაც სრულ მზადყოფნაში შეხვდა, რის დასტურადაც „მერანთან" თასის მეოთხედფინალური მატჩებიც გამოდგება, მაგრამ დაიწყო მეორე წრე და...

ოთხშაბათს სამტრედიაში „იბერიასთან" მეცხრამეტე ტურის მატჩში „არსენალს" ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი აკლდა. როგორც შევიტყვეთ, ამ შვიდეულიდან რამდენიმეს ტრავმა აწუხებს, მაგრამ მათი არყოფნის მთავარი მიზეზი მაინც უფულობა ყოფილა. 6 თებერვლის შემდეგ გუნდში არც ხელფასები დარიგებულა და არც პრემიები. ფეხბურთელები თურმე ვარჯიშზეც უარს ამბობენ.

მდგომარეობა თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა „არსენალს" პირველი ჯგუფის დატოვება მოუწევს, მით უმეტეს ამისი საფრთხე გუნდს უკვე რეალურად ემუქრება. ვითარებას ისიც ართულებს, რომ არმიელთა პრეზიდენტი ჯონი ფირცხალაიშვილი დროებით ქალაქიდან გასულა. კლუბის ბედიც საბოლოოდ, ალბათ, მისი დაბრუნების შემდეგ გადაწყდება.

**ვანო ოქროპირიძე**

საქართველოს ჩემპიონატი 19 ტური

# ვაჰ, ბედო და უჰ, ტორპედო!

ბედი რა შუაშიაო, იკითხავს მავანი, ანაც „ტორპედოს" რა სჭირს სავიშვიშო — გუნდი მყარადაა მეორე ადგილზე, აგერ თასის ნახევარფინალშიც უგემრიელესი ლუკმა „არსენალი" ერგო. ერთი სიტყვით, უბედობას სხვა ყველა შეიძლება უჩიოდეს, მაგრამ არა „ტორპედო"...

მაგრამ ეს გამოუცდელ და საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება დასცდეს. „ტორპედოსთვის" მთავარი საქმე „დინამოს" წამოჩოქება გახლავთ, თორემ ისეთი გალეტილი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონობა, როგორიც საქართველოა, სწორედაც რომ არ ესიზმრებათ იმერლებს. საწუწუნო კი იმიტომ აქვთ ტორპედოელებს, რომ თვითონ წააგეს, მარადმა ჩემპიონმა კი ისევ მოიგო.

ახლა „დინამო" „ტორპედოს" შვიდი ქულით უსწრებს — ქუთათურთათვის საფეხბურთო ტრაგედია ამაზე შორს ვერ წავა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ „ბათუმი" — „ტორპედო" გახლდათ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით კი მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლოს მასპინძლები უფრო შნოიანად გაისარჯნენ და აკი გაიმარჯვეს კიდეც. არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, რომელი ტორპედოელი უფრო სცოდავდა გაშვებული გოლების დროს. გუნდი, რომელსაც მარად ჩემპიონთან ჭიდილი გადაუწყვეტია, სხვა ნებისმიერ ქართულ კლუბთან მარცხზე მაღლა უნდა იდგეს.

ბოლნისში თამაში ათასმეერთედ გადახალისებულ „დინამოს" კი არა, შეიძლება თვით „ლაციოს" (ჰმ!) გაუჭირდეს. ეს იმიტომ, რომ ბოლნისელები, როგორც წესი, ან იგებენ შინაურ თამაშს, ან ჩაშლიან-ხოლმე. ახლაც კინაღამ სკანდალით დამთავრდა „სიონი" — „დინამოს" შეხვედრა. თუმცა სულო ცოდვილო, არც გაემტყუნებათ მასპინძელ ქომაგებს, ისინი მსაჯების მოუქნელმა გადაწყვეტილებებმა გადარია და ცოდვაც მათ კი არა, შეხვედრის არბიტრებს უფრო მოეკითხებათ. მოგებით კი მხოლოდ ბოლო წუთებში მოიგო ჩემპიონმა. „სიონის" მიერ 88 წუთნალოლიავებ 1:1-ს ტულუშმა და აშვეთიამ გადაავლეს წყალი.

აგრძელებს ძლევამოსილ მარშს მეათე ეროვნულის ეშხი, ლაზათი და ინტრიგა თბილისის „ლოკომოტივი". მახარაძის შეგირდებს ამჯერად „ვიტ ჯორჯია" ემსხვერპლა. თამაშიდან გოლის გემოდავიწყებულმა „ლოკომოტივმა" ესეც გაიხსენა და ხუჯაძემ კოტორაშვილთან ერთად პირველივე ტაიმში მოუთავა ხელი კანევსკი-კოტრიკაძეს და კომპანიას. რკინიგზელებს რა უჭირთ, ვეტერინარებმა იკითხონ. კიდევ კარგი (მათთვის), თსუ ველარ თამაშობს და აგებს, თორემ...

რაც შეეხება თსუს, მან ტურიც გახსნა და მორიგი მარცხიც იწვნია „სამგურალთან". ბევრი წუწუნი კი ისმოდა საკურორტო იმერეთიდან, წყალტუბოელებს გუნდის შენახვა უჭირთო, მაგრამ იმდენი ქნეს იქაურებმა, გუნდიც შეინახეს, ახალი ფეხბურთელებიც დაიმატეს და გამწარებულ თსუ-სთან სტუმრად 3:1 მოგებაც ხომ გარკვეული ვაჟკაცობაა. ასეა თუ ისე, „სამგურალი" უკვე მეათეა და ვინ იცის, იქნებ ექვსეულსაც გამოჰკრას ხელი.

„გურია", მგონი, მართლა სამუზეუმო ექსპონატად აპირებს გადაქცევას. აბა, 19 თამაშში თორმეტი ქულა სხვას რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავი?! ოდიშარებმა უპრობლემოდ მოუგეს გურულებს, ის კი არა, თავიანთ მაყურებელს წლევანდელ ჩემპიონატში უნახავიც ანახეს — გოგოხიას ჰეთ-თრიქს ვგულისხმობთ. კიდევ კარგი, დავით მახარაძეს მაინც შერჩა ფეხბურთის თამაშის ხალისი, თორემ უიმისოდ გოლები ქულებზე ცოტა ექნებოდათ ლანჩხუთელებს.

მე რომ მეკითხებოდეს, გორის „დილას" არსენად გადავნათლავდი — აბა, მდიდარს რომ ართმევს და ღარიბს აძლევს, რა ჰგონია? კიდევ „ავტორიტეტთა რისხვის" ზეწოდება იქნება ქართლელთათვის ზედგამოჭრილი. „ტორპედოს" მოუგეს? მოუგეს. ახლა „კოლხეთი" დაიფრინეს? დაიფრინეს. ჰოდა, მეტი რა გინდათ, ვეჟო. როცა სურთ და ვისთანაც სურთ, იმარჯვებენ და ძლიერებაც ეს არ არის?

როგორც იქნა, „იბერიამაც" გაიმარჯვა. ერთადერთი გუნდი, ვისაც უპრობლემოდ აართვეს ექვსი ქულა სამტრედიელებმა, „არსენალია" და საკითხავია, რა წამალი იციან ასეთი, არსად რომ არ გაახარეს არმიის ხელდასმული გუნდი.

„იბერიის" ლიდერი ვასო გიგიაძე ჯერაც ვერ თამაშობს, თუმცა მეცხრამეტე ტურში სხვა იბერიელებმა გამოიღეს ხელი და ერთბაშად სამი ადგილით ზემოთ ისკუპეს ცხრილში.

კიდევ ერთი მაჩანჩალა დამარცხდა ამ ტურში. „გორდამ" სამი ბურთი და სამი ქულა „მიუძღვნა" „მერანს". როცა მასპინძელი 0:3 აგებს, იქ სათქმელიც არაფერია. ტური წინასთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტი გატანილი გოლით გამოირჩა. 32 ბურთი ჩვენთან კი არა, იტალია — ინგლისში არ გადის და ესეც საქმეა. სხვა თუ არაფერი, მაყურებელი არ მოიწყენს. კიდევ, არც ერთი ფრე არ აღნიშნულა მეცხრამეტე ტურში. სტუმრებმა გაილაღეს და რვიდან ხუთი შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს. ერთი სიტყვით, ახალი სიო დაჰქრის ქართულ ფეხბურთში — სტუმარი, მასპინძელი, შინაური, გარეული საერთოდ არ აინტერესებთ და ვერც ვერავინ იმარჩიელებს, რა და როგორ.

მეათე ეროვნულის ფინიშამდე თერთმეტი ტური რჩება, თუმცა თითქმის ყველაფერი გარკვეულია უკვე — ჩემპიონიც (?!) გასავარდნიც, ევროსარბიელზე გამსვლელიც — ჰოდა, საქმეა ეს?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

XX ტური

29 მარტი, ორშაბათი

არსენალი — გორდა (1:0)

30 მარტი, სამშაბათი

მერანი — სიონი (4:1)

სამგურალი — კოლხეთი (2:4)

დილა — ოდიში (1:2)

გურია — ბათუმი (0:4)

ლოკომოტივი — იბერია (3:2)

ტორპედო — ვიტ ჯორჯია (2:1)

31 მარტი, ოთხშაბათი

დინამო — თსუ (3:1)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

თბილისი
16 მარტი
15 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 5 000)

## თსუ 1:3 სამგურალი

0:1 სუხიაშვილი (50), 0:2 შენგელია (56), 1:2 კობიაშვილი (70), 1:3 ჯინჭარაძე (81)
**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე (გონჩაროვი 60), შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (ბუკია 65)
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწკირველი, ვ. ღუდუშაური, თოლორაია, სვანაძე
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ჯავახაძე 82), ძაგნიძე, აფციაური (დარსაძე 73), გ. კილასონია (მ. ჯინჭარაძე 72), გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; ზ. ქუთათელაძე, ქობულაძე, ლ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ზამთარაძე (35), მახვილაძე (47), ილურიძე (57), აფციაური (78)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); დ. გოგოლაძე (ბორჯომი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

რუსთავი
17 მარტი
15 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:3 მერანი

0:1 ამბიძე (14), 0:2, 0:3 ჩუხუა (23, 50)
**გორდა:** მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური (ტარტარაშვილი 64), თ. ჩიგოშვილი (ბერიძე 52), გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი, მენთეშაშვილი (ლ. ალადაშვილი 40), მიშველიძე
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე, მ. სახვაძე, ლაბაძე, რ. მახარაძე
**მერანი:** ლომაია, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე (კარიაული 46), ჭინჭარაული, გელა ქორიძე (ჭელიძე 83), ჯიშკარიანი, თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი, დავითაშვილი (ხარებავა 85)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჩანადირი
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი), ლ. ფანიაშვილი, ლ. სილაგავა, დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. იაშვილი

ბოლნისი
17 მარტი
15 საათი, 10 წუთი
თემურ სტეფანია
2000 (ტევადობა 8 000)

## სიონი 1:3 დინამო

0:1 აშვეთია (48), 1:1 გაგუა (55), 1:2 ტულუში (88), 1:3 აშვეთია (90პ)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (გ. ჩალაძე 14), გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ხიდაშელი, გაგუა
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ნ. ჩალაძე, ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, ა. მუჯირი (ა. სახვაძე 34), გუჩუა, ჩომახიძე, ალექსიძე, ქებაძე, ნიტაიშვილი (ტულუში 75), აშვეთია
*სათადარიგონი:* მამალაძე; პ. ჯინჭარაძე, რუხაძე
**გაფრთხილება:** ჯაფარიძე (14), ნიტაიშვილი (14), გუჩუა (16), მუჯირი (28), გოგოლაძე (64), ხიდაშელი (77)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ო. ხუცაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

სამტრედია
17 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

## იბერია 3:1 არსენალი

1:0 ივეჩიანი (15), 1:1 გველესიანი (43), 2:1 ლურსმანაშვილი (55), 3:1 ხუჭუა (75პ)
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე (ცომაია 80), თოდუა, ი. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (მუმლაძე 82), ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი 84)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ლაცაბიძე, ვ. გველესიანი, დ. კაპანაძე, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, კაკუბავა, სულაძე (ზ. მეტრეველი 75), გაბისონია, კვირკველია
*სათადარიგონი:* აბაშიძე; აბაზაძე, ვ. გაგუა, ყუფარაძე
**გაფრთხილება:** ცოტაძე (28), კაკუბავა (65), თოდუა (71)
**მსაჯები:** ს. შალამბერიძე, ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. ეჯიბია

ბათუმი
17 მარტი
15 საათი
დინამო
6 500 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 2:1 ტორპედო

1:0 გადელია (20), 1:1 ახვლედიანი (27), 2:1 ხომერიკი (78)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე (ქუტიძე 82), სიჭინავა, გადელია, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, მაქაცარია (თორლაშვილი 46), მაჭუტაძე (რუსია 60), ხომერიკი
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; უვაკვე
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (თურმანიძე 33), ჩხაბერიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე (კ. მეტრეველი 80), ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; მაზანიშვილი, კ. ჯანაშია, კვერნაძე, ვაჩიბერაძე
**გაფრთხილება:** ხვადაგიანი (44), შეყრილაძე (75)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე; თ. ხუჭუა (ორივე სამტრედია)
**სფფ-ის კომისარი:** შ. ხინჩაგაშვილი
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

ფოთი
17 მარტი
15 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 12 000)

## კოლხეთი 2:3 დილა

0:1, 0:2 ახალკაცი (30, 36), 1:2 ღაღანიძე (85), 1:3 მინდიაშვილი (88პ), 2:3 შავგულიძე (90)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, მ. ქობულაძე (შავგულიძე 46), ამაშუკელი, ღაღანიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, ტრაპაიძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, ანჯაფარიძე, ებრალიძე, ბულუხია, კრასოვსკი
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (სულთანიშვილი 90), ლომიძე, რ. ახალკაცი (მ. მინდიაშვილი 77), შატაკიშვილი (არუთინიანი 84)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; სირალიშვილი
**გაფრთხილება:** კალანდაძე (37), ლომიძე (86), ჩადუნელი (90)
**მსაჯები:** ვ. ელოევი (ცხინვალი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

მცხეთა
17 მარტი
15 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:2 ლოკომოტივი

0:1 ხუჯაძე (4), 0:2 კოტორაშვილი (39), 1:2 ქორიძე (48)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ი. კაპანაძე, ვ. მაისურაძე, გიორგი ქორიძე, ზ. გვაზავა, მაზიაშვილი (ჭოხონელიძე 46), ერაძე, ა. ბოკერია (გ. გვაზავა 46), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; გვირჯიშვილი, ვ. გოჩაშვილი
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ნ. მინდიაშვილი (ქოიავა 88), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, ბაქრაძე, კოტორაშვილი (კ. მელქაძე 63), წივწივაძე (გილაური 89)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ნ. მელაძე, მარღიშვილი, ღუდუშაური
**გაფრთხილება:** ერაძე (16), ბაქრაძე (21), გოგობერიშვილი (33), მაზიაშვილი (36), ზ. გვაზავა (55), არჩვაძე (64), ჯანელიძე (67)
**გაძევება:** გოგობერიშვილი (44)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ზუგდიდი
17 მარტი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 7 500)

## ოდიში 4:2 გურია

1:0, 2:0, 3:0 გოგოხია (10, 50, 54), 3:1 დ. მახარაძე (85), 4:1 ვახანია (83), 4:2 დ. მახარაძე (89პ)
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (იოსავა 59), ჯავაშვილი, აკობია, ჭურღულია (ტაბაღუა 46), კუტალია (ვახანია 63), მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; ალანია, თოდუა
**გურია:** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე (ლ. ჩხაიძე 58), ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, სვანიძე, შავშიშვილი, დ. მახარაძე, გულორდავა, ენუქიძე, ბოლქვაძე (ქიაბრიშვილი 46)
*სათადარიგონი:* გოგუა; ბერძენიშვილი, მაჩიტიძე
**გაფრთხილება:** ჭურღულია (24), ენუქიძე (40), აფაქიძე (43), თ. ჩხაიძე (60), შავშიშვილი (65)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ა. კრიჭაშვილი (თბილისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 18 - აშვეთია | დინამო |
| 15 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - დ. მახარაძე | გურია |
| 11 - მ. გვასალია | კოლხეთი |
| წივწივაძე | ლოკომოტივი |
| 9 - კაიდარაშვილი | დილა |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| ხომერიკი | ბათუმი |
| 8 - ალექსიძე | დინამო |
| დ. ჯანაშია | ტორპედო |

## სიმბოლური ნაკრები

ჯუმბერ ჩუხუა — მერანი
რომან ახალკაცი — დილა
კახა ჩხეტიანი — ტორპედო
გიორგი ქორიძე — ვიტ ჯორჯია
დავით ჯანაშია — ტორპედო
თემურ სამხარაძე — სიონი
ზვიად პაპიძე — ბათუმი
პაატა ბარნოვი — ლოკომოტივი
სანდრო გურნაძე — სამგურალი
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
ნიკა ტოგონიძე — ბათუმი

გუნდი დილა

მწვრთნელი ივანე თაყაძე დილა

| № | # | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 19 | 16 | 3 | 0 | 64:10 | +54 | 51 | 9 | 8 | 1 | 0 | 39:7 | +32 | 25 | 10 | 8 | 2 | 0 | 25:3 | +22 | 26 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 19 | 14 | 2 | 3 | 48:17 | +31 | 44 | 9 | 8 | 1 | 0 | 27:5 | +22 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 21:12 | +9 | 19 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 19 | 9 | 10 | 0 | 23:8 | +15 | 37 | 9 | 4 | 5 | 0 | 10:3 | +7 | 17 | 10 | 5 | 5 | 0 | 13:5 | +8 | 20 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 19 | 9 | 4 | 6 | 42:32 | +10 | 31 | 10 | 7 | 1 | 2 | 27:11 | +16 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 15:21 | -6 | 9 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 19 | 8 | 7 | 4 | 26:16 | +10 | 31 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:6 | +12 | 21 | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | -2 | 10 |
| 6 დილა (9) | 6 | 19 | 8 | 5 | 6 | 27:24 | +3 | 29 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:7 | +8 | 17 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | -5 | 12 |
| 7 მერანი (7) | 7 | 19 | 5 | 9 | 5 | 19:20 | -1 | 24 | 9 | 2 | 5 | 2 | 5:4 | +1 | 11 | 10 | 3 | 4 | 3 | 14:16 | -2 | 13 |
| 8 იბერია (დ) | 11 | 19 | 6 | 4 | 9 | 29:34 | -5 | 22 | 10 | 4 | 3 | 3 | 18:12 | +6 | 15 | 9 | 2 | 1 | 6 | 11:22 | -11 | 7 |
| 9 სამგურალი (12) | 13 | 19 | 6 | 2 | 11 | 18:36 | -18 | 20 | 9 | 4 | 0 | 5 | 8:12 | -4 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:24 | -14 | 8 |
| 10 ოდიში (5) | 14 | 19 | 6 | 2 | 11 | 16:30 | -14 | 20 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 13 | 9 | 2 | 1 | 6 | 4:14 | -10 | 7 |
| 11 არსენალი (დ) | 8 | 19 | 4 | 8 | 7 | 22:36 | -14 | 20 | 9 | 1 | 5 | 3 | 12:19 | -7 | 8 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:17 | -7 | 12 |
| 12 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 19 | 6 | 4 | 9 | 17:19 | -2 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | -1 | 11 | 9 | 3 | 2 | 4 | 7:8 | -1 | 11 |
| 13 სიონი (13) | 10 | 19 | 5 | 4 | 10 | 18:37 | -19 | 19 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | +1 | 15 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:25 | -20 | 4 |
| 14 გორდა (11) | 12 | 19 | 4 | 7 | 8 | 14:26 | -12 | 19 | 10 | 3 | 4 | 3 | 8:13 | -5 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:13 | -7 | 6 |
| 15 თსუ (8) | 15 | 19 | 3 | 6 | 10 | 15:26 | -11 | 15 | 10 | 1 | 3 | 6 | 10:17 | -7 | 6 | 9 | 2 | 3 | 4 | 5:9 | -4 | 9 |
| 16 გურია (14) | 16 | 19 | 3 | 3 | 13 | 21:48 | -27 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 14:18 | -4 | 10 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:30 | -23 | 2 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# მალე აპრილი მოვა

## ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

UEFA CHAMPIONS LEAGUE


REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

ოტო რეჰაგელმა „კაიზერსლაუტერნის" განადგურება ვერ აიტანა, მკერდს მჯიღი იკრა და ატირდა...

**ოლიმპიაკოსი 1:1 იუვენტუსი**

(პირველი მატჩი — 1:2)

1:0 გოგიჩი (12), 1:1 კონტე (85)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, ანატოლაკისი, გეორგატოსი, მავროგენიდისი, კარაპიალისი (ამპონსა 78), პურსანიდისი, ჯორჯევიჩი, იანაკოპულოსი, გოგიჩი

იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი, იულიანი, მონტერო, დი ლივიო, კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ესნაიდერი (ამორუზო 69)

— ძალიან ძნელი თამაში გადავიტანეთ. პირველ ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, თუმცა, საბედნიეროდ, შევძელით მობილიზება და ნახევარფინალში გავედით. „იუვენტუსისთვის" ამ ეტაპზე მთავარი სწორედ ეს იყო. ნახევარფინალზე მაშინ ვისაუბროთ, როცა დრო მოვა — კარლო ანჩელოტი, გამარჯვებულთა მწვრთნელი, შედეგით კმაყოფილი გახლდათ.

— მიუხედავად იმისა, რომ გათამაშებას გამოვეთიშეთ, ვამაყობ გუნდით. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ მარცხის შემდეგ ის მახარებს, რომ „ოლიმპიაკოსის" ნამდვილი ძალა დავინახე. ჩემს გუნდს „იუვენტუსთან" ტოლ-სწორად თამაში შეუძლია — ამბობდა ბერძენთა თავკაცი დუშან ბაევიჩი.

ძნელია, რომ გამარჯვებას ბოლო წუთებში უშვებ ხელიდან.

სასიხარულოა, როცა მატჩის მიწურულს თავს შველი.

მასპინძელმა „ოლიმპიაკოსმა" ნახევარფინალისკენ მე-12 წუთზე გადადგა ნაბიჯი, თუმცა შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე უკან დახევა მოუხდა.

ბერძნებს შემდეგ წრეში გასასვლელად გოლი ესაჭიროებოდათ. მეთორმეტე წუთზე დასახულ მიზანს მიაღწიეს — გრიგორის გეორგიატისმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი ტურინელთა კარის დარაჯი მიქელანჯელო რამპულა შეცდა და „ოლიმპიაკოსის" თავდამსხმელმა სინიშა გოგიჩმა ანგარიში გახსნა.

სხვათა შორის, კარლო ანჩელოტის, ბოლო მომენტამდე სჯეროდა, რომ ანჯელო პერუცი გამოჯანმრთელდებოდა და კარსაც მედგრად დაიცავდა, მაგრამ მწვრთნელის სურვილს ასრულება არ ეწერა. რამპულაც ამიტომ გამოჩნდა სტუმართა კარში.

მალევე დაწინაურებულმა „ოლიმპიაკოსმა" თავდასხმები გააგრძელა, შეტევას შეტევაზე ახორციელებდა, თუმცა სხვაობას ვერ ზრდიდა. თავის მხრივ, უტევდა „იუვენტუსიც". მასპინძლის მსგავსად, იტალიელნიც ვერ აღწევდნენ მიზანს.

მატჩის დასრულებას და ბერძნების შემდეგ წრეში გასვლას ბევრი არაფერი უკლდა, „იუვენტუსს" რომ ეშველა — იტალიის ჩემპიონმა მარჯვენა ფლანგიდან ერთ-ერთი ბოლო შეტევა წამოიწყო, შემდეგ ბურთი მეკარის საჯარიმოში გადაისროლა, იქ კი ხალხმრავლობაში ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ ანტონიო კონტეს მიუვიდა. „იუვენტუსის" კაპიტანმა ბერძენთა კარის ბადეც შეარხია — 1:1.

„იუვენტუსი" ზედიზედ მეოთხედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში.

— გული დამწყდა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ დღესდღეობით მეტოქეზე კარგი გუნდი ვართ. სამწუხაროდ, ნახევარფინალში „იუვენტუსი" გავიდა და არა „ოლიმპიაკოსი" — ბერძენთა გულის გამხარებელი გოგიჩი მცველთა შეცდომას დაენალვლიანებინა.

— კარიერაში რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გამიტანია და ეს, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. „იუვენტუსი", კვლავაც რჩება ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად. გამარჯვებამდე ორი ნაბიჯია. იმედია, ჩვენ შევძლებთ გასაკეთებლის გაკეთებას — ხალხის, ოღონდ ამჯერად იტალიელების გამხარებელი, ანტონიო კონტე, ემოციებს ვერ თოკავდა.

...ათენის ოლიმპიური სტადიონი მატჩის დასრულებისთანავე დაიცალა. 70 ათასმა ქომაგმა, თითქმის ორი საათის მანძილზე რომ ამხნევებდნენ საყვარელ გუნდს, თავჩაქინდრულმა დატოვა სარბიელი.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე გათამაშების მეოთხედფინალი „ოლიმპიაკოსისთვის" საბედისწერო აღმოჩნდა და გუნდმა ვერ შეძლო, არსებობის მანძილზე პირველად გასულიყო ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში, ეს სეზონი „ოლიმპიაკოსის" ისტორიაში, საუკეთესო თუ არა, ალბათ, ერთ-ერთი გამორჩეული იქნება.

„იუვენტუსი" ბრძოლას განაგრძობს. წინ ნახევარფინალია.

**ირაკლი ილაშვილი**

**კაიზერსლაუტერნი 0:4 ბაიერნი**

(პირველი მატჩი — 0:2)

0:1 ეფენბერგი (93), 0:2, 0:3 იანკერი (22, 39), 0:4 ბასლერი (56)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, ჰრუტკა, კოხი, რატინიო (როოსი 46), რიდლი (ჟუნიორი 60), ბალაკი, ვაგნერი, რაიხი, რიშე, სფორცა, როსლერი (ოჯიგვე 76)

ბაიერნი: კანი, ლიზარაზუ, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, კუფური, იერემისი (ფინკი 46), ეფენბერგი (შოლი 46), ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 73), იანკერი, ციკლერი

გაძევება: ჰრუტკა (8)

„ბაიერნი" ძალიან ძლიერი კლუბია. შემთხვევითი სულაც არაა, ფეხბურთის სპეციალისტები მიუნხენურ კლუბს რომ უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას. ფრანც ბეკენბაუერი, ფერენც პუშკაში, მიშელ პლატინი და განადგურებული „კაიზერსლაუტერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიცეფლდიც სწორედ „ბაიერნს" მიიჩნევენ თასის უპირველეს პრეტენდენტად.

გერმანიის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი" წლეულს მესამედ დაუპირისპირდა „ბაიერნს" და კვლავ ისე დამარცხდა, გოლი ვერ გაიტანა.

კვლავ 0:4. კვლავო, იმიტომ ვამბობთ, რომ ჩემპიონატის პირველ წრეში „ბაიერნმა" სწორედ ამავე ანგარიშით სძლია მეტოქე.

ოტო რეჰაგელი ოტმარ ჰიცფელდმა პირწმინდად დაამარცხა.

— მწყინს, შინ ასეთი სხვაობით რომ დავმარცხდით, მაგრამ ყველა შეამჩნევდა, რომ ჩვენ ყველაფერი გავილეთ, ასე რომ არ მომხდარიყო. „კაიზერსლაუტერნმა" სცადა მეტოქის შეჩერება, მაგრამ გადაგვთელეს. „ბაიერნი" უძლიერესი კლუბია, უძლიერესი კი ღირსია, თასის მფლობელი გახდეს — დამარცხებულთა მწვრთნელი ოტო რეჰაგელი.

..„ბაიერნმა" კი მეტოქის დემობილიზება პირველივე წუთიდან დაიწყო. შეტევა შეტევას ცვლიდა, ასეთ ზეწოლას კი მასპინძელთა დაცვამ ვერ გაუძლო და მალევე დაიფშვნა — მერვე წუთზე „კაიზერსლაუტერნის" უნგრელი მცველი იანუშ ჰრუტკა გააძევეს. „მსაჯმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო" — იტყვის მატჩის შემდეგ ჰიცფელდი.

პენალტის გატანა ეფენბერგს არ გასჭირვებია. გაშვებული გოლის შემდეგ „კაიზერსლაუტერნს" ნახევარფინალში გასვლის თეორიული შანსიღა რჩებოდა, მაგრამ პირველივე ტაიმში სტუმრებმა იმდენი ქნეს, ლამის ოცნების უფლებაც მოუსპეს მასპინძლებს.

22-ე წუთი: მიუნხენელთა მსოფლიოს ჩემპიონმა მცველმა ბიქსენტე ლიზარაზუმ შესანიშნავი პასი მიაწოდა კარსტენ იანკერს და ანგარიში 2:0 გახდა.

38-ე წუთი: ამჯერად თავად კარსტენ იანკერმა შექმნა გოლი — მისი დარტყმის შემდეგ „კაიზერსლაუტერნის" მეკარე ანდრეას რინკეს გუნდის ხსნის ყოველგვარი შანსი წაერთვა — 0:3.

„ბეცენბერშტადიონზე" შეკრებილი 25 ათასამდე კაიზერსლაუტერნელი კვლავ განაგრძობდა საყვარელი კლუბის გამხნევებას, მაგრამ ეს მომაკვდავის გამაყუჩებლით გაჭყეპვას ჰგავდა.

მეორე ტაიმში მიუნხენელთა ნახევარდაცვის ლიდერმა მარიო ბასლერმა საჯარიმო დარტყმიდან ლამაზი გოლი გაიტანა და „კაიზერსლაუტერნსაც" ბოლო მოეღო.

— მეტოქე პირველ რვა წუთში გვიმკლავდებოდა. მერე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვვარჯიშობდით — პირველი გოლის ავტორი შტეფან ეფენბერგი ენაწყლიანობდა. ცინიზმი მას ადრეც ახასიათებდა.

განა რაზე უნდა ესაუბრა „ბაიერნის" მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე?

— მომავალზე! „თქმა არ უნდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" და „იუვენტუსი" ძლიერი კლუბები არიან, თუმცაღა კიეველთაგანც ბევრ პრობლემას ველი".

**კოტე მაისაძე**

**ინტერი 1:1 მანჩესტერი**

(პირველი მატჩი — 0:2)

1:0 ვენტოლა (63), 1:1 სქოულზი (88)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (მორიერო 69), კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, სილვესტრი, სიმეონე (ზე ელიასი 32), კოე, ბაჯო, სამორანო, რონალდო (ვენტოლა 60)

მანჩესტერი: შმაიხელი, ბერგი, სტამი, გ. ნევილი, ირვინი, კინი, იონსენი (სქოულზი 76), ბექემი, გიგზი (ფ. ნევილი 81), კოული, იორკი

შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთი რჩებოდა, როდესაც ზე ელიასი „მანჩესტერ იუნაიტედის" გრიპიან მეკარესთან, დანიელ პიტერ შმაიხელთან პირისპირ დარჩა. ანგარიში 1:0 იყო „ინტერის" სასარგებლოდ. შმაიხელი ჩაწვა, მაგრამ არასწორად. ერთი ზუსტი, მოხერხებული დარტყმა, ისეთი, როგორსაც მილანის ცნობილი გუნდის ბრაზილიელი ნახევარმცველი უნდა ასრულებდეს, ორი შეხვედრის ჯამურ ანგარიშს გაქვითავდა და მერე, დამატებით დროში ვინ იცის რა მოხდებოდა...

„მე თუ მკითხავთ, გარდატეხა მაშინ მოხდა, როდესაც ზე ელიასმა საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. მაშინ იგრძნეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, რომ ამ საღამოს გამარჯვება არ ეწერათ" — თქვა „ინტერის" რუმინელმა თავკაცმა, მირჩა ლუჩესკუმ საპრესკონფერენციო დარბაზში, როდესაც ყველაფერი დამთავრდა.

რატომ იყო ზე ელიასი მოედანზე? იმიტომ, რომ არგენტინელი ნახევარმცველი, შეურიგებელი, გამოცდილი, საქმის მცოდნე და ბევრისგან ნალანძღი დიეგო სიმეონე თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში დაშავდა და ლუჩესკუმ მის ნაცვლად ზე ელიასის შეყვანა მოიფიქრა.

და რონალდო რაღად იყო მოედანზე? მან ხომ ფინტების უმრავლესობა სწრაფად ვერ შეასრულა, ვერ გაიხსნა, ბურთი ვერ დაამუშავა. მოკლედ, ნაავადმყოფარი იყო.

„რა თქმა უნდა, რონალდო ასი პროცენტით არ იყო მზად. შესვენებაზე ველაპარაკე, მიპასუხა, რომ კიდევ უნდოდა თამაში, თუმცა ბოლოსკენ გადაღლილი მეჩვენა და მაინც შევცვალე" — მოჰყვა ლუჩესკუმ.

„რონალდოს ნაავადმყოფარი კაცის კვალობაზე ცუდად არ უთამაშია. მესმის, რატომაც ჰყავდა იგი „ინტერს" მოედანზე, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფორმისგან შორსაა, მისი დონის ფეხბურთელისგან ხომ ნებისმიერ წამს მოსალოდნელია ინდივიდუალური თვისებების წყალობით თამაშის ბედის შეცვლა" — ბრძანა „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა.

ერთ ეპიზოდში რონალდო შმაიხელთან პირისპირ დარჩა, მაგრამ უემაკო დარტყმა შეასრულა და ჩინებულმა მეკარემ მუხლით მოიგერია ბურთი. ესეც მეორე ტაიმში მოხდა.

ხავიერ ძანეტიმ სამჯერ შორიდან დაურტყა „იუნაიტედს", ერთხელ, პირველ ტაიმში, ბურთი ძელს მოხვდა, მეორედ შმაიხელმა აიღო, მესამედ აცდა. ბოლოში ფრანჩესკო მორიერომაც სცადა შორიდან მიზნის მიღწევა, მაგრამ ისევ შმაიხელმა იყოჩაღა.

და მე-16 წუთზე იყო პენალტი? სამორანო გვერდიდან შეუტია შმაიხელთან. ბურთის გაგდება მოასწრო, მაგრამ მეკარეს მოძრაობა დაწყებული ჰქონდა და ჩილელს გადაეღობა. სამორანო წაიქცა, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა არ დანიშნა. იყო პენალტი?

„საწყის 15 წუთში „ინტერი" ღელავდა და მე ვიგრძენი, რომ ზოგადად ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი გვყავს" — თქვა ფერგიუსონმა.

„მეოთხედფინალური დუელი ორი კვირის წინ, მანჩესტერში წავაგეთ და არა დღეს" — თქვა ლუჩესკუმ.

გოლები კი შეცვლაზე შესულებმა გაიტანეს. ნიკოლა ვენტოლა რონალდოს ნაცვლად მე-60 წუთზე შევიდა და სამ წუთში, შმაიხელის ცხვირწინ დარჩენილმა, ზე ელიასისგან განსხვავებით, დაფიქრებით, ოსტატურად დაარტყა. რაც შეეხება პოლ სქოულზს, იგი რონი იონსენის ნაცვლად 46-ზე შეუშვეს მოედანზე.

„სქოულზი თავიდან იმიტომ კი არ დავსვი სათადარიგოთა სკამზე, რომ რაიმე ცუდი ჩაიდინა, უბრალოდ იონსენის მონაცემების კაცი ამ თამაშს უფრო წაადგებოდა" — განმარტა ფერგიუსონმა.

88-ე წუთზე სქოულზი ჯანლუკა პალიუკას პირისპირლა დარჩა და მანაც ზე ელიასზე უკეთ შეასრულა საბოლოო დარტყმა.

გაიმარჯვა ღირსეულმა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" 42-წლიან ევროისტორიაში პირველად გამოთიშა შეჯიბრებიდან იტალიური გუნდი. აქამდე იგი ორჯერ „მილანს" და ოთხჯერ „იუვენტუსს" შეხვედროდა. კიდევ, ოთხშაბათს, „სან სიროზე" გამართული მატჩი გახლდათ პირველი, რომელიც „იუნაიტედმა" იტალიაში არ წააგო.

**ბაჩუნა ქედია**

**დინამო 2:0 რეალი**

(პირველი მატჩი — 1:1)

1:0, 2:0 შევჩენკო (62პ, 79)

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ქალაძე, ხაცკევიჩი (ბელკევიჩი 46), გუსინი, კარდაში, კოსოვსკი (იაშკინი 85), შევჩენკო, რებროვი

რეალი: ილგნერი, პანუჩი, კამპო, იერო, რობერტო კარლოსი, რედონდო, სანჩისი (გუტი 71), ზეედორფი (შუკერი 67), რაული, იარნი (კარემბუ 82), მორიენტესი

კიევში ყინავდა, რესპუბლიკური სტადიონის მინდორი ელარჯს მოგაგონებდათ, ესპანეთის „სამეფო გუნდი", მადრიდის „რეალი" კი, ვთქვათ „ბრიუგეს". ერთადერთი, ცუდი რომ ვერ დაგცდებოდა კაცს, მასპინძელი „დინამო" გახლდათ, რომელმაც კარგად იცოდა, რა უნდოდა და როგორ უნდა მიეღწია საწადელისთვის. მოკლედ, ვალერი ლობანოვსკიმ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ დიდი ტაქტიკოსია.

მეორე ტაიმში კიეველმა ვარსკვლავმა, ანდრეი შევჩენკომ, 15-წუთიან მონაკვეთში ორჯერ შეაგდო ბურთი ესპანელთა კარის ბადეში. 22 წლის ფორვარდი 62-ე წუთზე „რეალის" გერმანელმა მეკარემ, ბოდო ილგნერმა წააქცია. ილგნერი სამართლიანად დაისაჯა კიდეც პენალტით, თუმცა წითელი ბარათით რატომ არ დაისაჯა, კაცმა არ იცის. თერთმეტი მეტრიდან თავად შევჩენკომ გახსნა ანგარიში.

გავიდა 15 წუთი და შევჩენკომ სერგეი რებროვის პასით მადრიდელებს ლამაზად მოუთავა საქმე.

„შეხედეთ ტაბლოს. ორი შეხვედრის ჯამში კიევმა 3:1 მოგვიგო და სამივე გოლი ერთმა და იმავე ფეხბურთელმა გაგვიტანა. იგი ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე გახლდათ. ჩვენ პირველ ტაიმში ვფლობდით ინიციატივას, მაგრამ საბოლოოდ ერთი დონის გუნდები გამოვდექით, რაც მოსაგებად საკმარისი არ იყო" — განაცხადა „რეალის" უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა.

„პირველ ტაიმში ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ შესვენების შემდეგ ვითამაშეთ კარგად, ისე, როგორც სეზონის ამ მონაკვეთშია შესაძლებელი. ნახევარფინალში გასასვლელად ჩვენ უკეთ ვიყავით მომზადებული" — ბრძანა ლობანოვსკიმ.

**მიხეილ სურგულაძე**

# ნუ დაუჯერებთ მასლაჩენკოს

ვლადიმერ მასლაჩენკო, მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი მეკარე და ცნობილი რუსი კომენტატორი, ტელეკომპანია HTB-ს სტუდიიდან ერთი ხანია დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასული გუნდებიდან ვინ ვის შეხვდება წინასწარაა ცნობილი. მისი ვერსიით არსებრობს რალაც განრიგი, რომლის შესაბამისადაც იმთავითვე გარკვეულია, რომელი მეოთხედფინალური წყვილის გამარჯვებული რომელს დაუპირისპირდება. მასლაჩენკოსეული ბადის თანახმად, კიევის „დინამო" მიუნხენის „ბაიერნს" უნდა შეხვდეს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი" — „იუვენტუსს".

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ უეფას ჩემპიონთა ლიგის დებულების იმ ფრაგმენტს, რომელშიც შეჯიბრების ნოკაუტებიან ეტაპზეა საუბარი. ნოკაუტიან ეტაპს სხვანაირად „წაგებული ვარდება" შეიძლება ვუწოდოთ.

„ჩემპიონთა ლიგის სიახლე, რომელიც გასულ სეზონში დაინერგა, გახლავთ მეოთხედფინალური დაწყვილება. მეოთხედფინალში გუნდებს კენჭისყრა აწყვილებს განსხვავებით წინა წლებისგან, როდესაც შეჯიბრების დასაწყისშივე ბადე იყო შექმნილი.

მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა ისე მოეწყობა, რომ ერთი და იმავე ჯგუფის გამარჯვებული და მეორე ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან. ერთმანეთს არ უნდა შეხვდნენ სხვადასხვა ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდებიც. მეორე ადგილებზე გასული გუნდები მეოთხედფინალის პირველ შეხვედრებს შინ გამართავენ.

მეოთხედფინალის ოთხი გამარჯვებული ნახევარფინალში კვლავ კენჭისყრით დაწყვილდება. როგორც მეოთხედფინალში, ასევე ნახევარფინალში გაიმართება უეფას სტანდარტის შესაბამისი ორ-ორი შეხვედრა. გამარჯვებულად დასახელდებიან გუნდები, რომლებიც შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების ჯამში მეტოქეებზე მეტ გოლს გაიტანენ.

თუ ორი მატჩის ჯამში ფრეა, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც სტუმრად მეტი გოლი გაიტანა. თუ ამ მონაცემითაც თანაფარდობაა, მაშინ მეორე მატჩის ბოლოს დაინიშნება ორი 15-წუთიანი ტაიმებისგან შემდგარი დამატებითი დრო. თუ დამატებით დროში გუნდებმა თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს, უპირატესობა სტუმარს მიენიჭება, ხოლო თუ დამატებით დროში გოლი არ გავა, შემდგომ ეტაპზე გასულს პენალტების სერია გამოავლენს.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის ვინაობა ერთ შეხვედრაში, 1999 წლის 26 მაისს, ოთხშაბათს გაირკვევა.

თუ ფინალური მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დაინიშნება ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შედგენილი დამატებითი დრო, რომლის დროსაც იმოქმედებს „ოქროს გოლის" წესი. თუ დამატებითი დროის განმავლობაში გოლი არ გავა, გამარჯვებულს პენალტების სერია გამოავლენს".

ამრიგად, უეფას დებულება სხვას ამტკიცებს, HTB — სხვას. თუმცა დღეს, კენჭისყრამ „დინამო" მართლა „ბაიერნს" რომ შეახვედროს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი" „იუვენტუსს", გამორიცხული არაა. ამის ალბათობა ერთი მესამედია.

მიხეილ სურგულაძე

# მომიტევეთ, მაპატიეთ...



სარბიელის არქივიდან

სტივ მაკმანამანი

რამდენიმე წლის წინ, სანამ პოლ ინსი „ვესტ ჰემ იუნაიტედიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდოდა, ლონდონის კლუბის ქომაგებმა იგი მოღალატედ შერაცხეს. მიზეზს არ იკითხავთ? მანჩესტერელებთან კონტრაქტის გაფორმებამდე ინსი ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით გამოცხადდა, რამაც სავსებით იკმარა, რათა „ვესტ ჰემის" გულშემატკივრებს ფეხბურთელი შეერისხათ.

ეს იყო წლების წინ. ახლა, ოღონდ ლივერპულში, თითქმის იგივე ამბავი განმეორდა — „ლივერპულის" ფანებმა კლუბის ნახევარმცველს სტივ მაკმანამანს ღალატი დასწამეს. მიზეზი — ჟურნალისტებთან შეხვედრისას მაკმანამანს კოსტუმი მომავალი კლუბის, მადრიდის „რეალის" სამკერდე ნიშნით დაემშვენებინა.

„ის მოღალატეა და რაც უფრო მალე დატოვებს კლუბს, მით უკეთესი"...

„ჩვენ მოგვბეზრდა მისი ქომაგობა. მას არ უნდა „ლივერპული", არც „ლივერპულს" უნდა ის"...

„მაკმანამანმა სულ აიღო ნამუსზე ხელი"...

ასეთი სიტყვები გაისმოდა „ლივერპულის" ქომაგთა კლუბში ამ რამდენიმე დღის წინ. გულშემატკივრებმა მაკმანამანს, ჯერ კიდევ „ლივერპულის" ფეხბურთელს, თითქოსდა უმნიშვნელო საქციელი არ აპატიეს.

...მაკმანამანი, ისევე, როგორც „ლივერპული" დღესდღეობით საფრანგეთშია. ნახევარმცველი კლუბს საფრანგეთში ესპანეთიდან შეუერთდა, სადაც მადრიდში, „რეალთან" გარკვეული საკითხების შესათანხმებლად იმყოფებოდა. „ლივერპული" საფრანგეთში ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს. კლუბის ფრანგ მწვრთნელ ჟერარ ულიეს მეტოქეების გამოძებნა არ გასჭირვებია.

სწორედ საფრანგეთში ყოფნისას, ერთ-ერთ ამხანაგურ შეხვედრაში გაიტანა სტივმა გოლი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი „ლივერპულის" შემადგენლობაში — 24-ე წუთზე მან ინგლისელები კი დააწინაურა, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი „ლივერპული" 1:2 დამარცხდა. მისი მეტოქე საფრანგეთის რომელიღაცა ქვედადივიზიონელი „ბულონი" გახლდათ.

— გულშემატკივრებმა სხვაგვარად გაიგეს ჩემი საქციელი. იმაში, რომ მომავალი კლუბის სამკერდე ნიშანს ვატარებ, ცუდს ვერაფერს ვხედავ. „ლივერპულისთვის" არასდროს მიღალატია და არც ახლა ვღალატობ. მუდამ კლუბის ქომაგი ვიყავი და ასეთად დავრჩები, სადაც უნდა წავიდე — არწმუნებდა „ლივერპულის" ფანებს მაკმანამანი.

...ინგლისში კი არაფერი აინტერესებთ. იქ გულშემატკივართა შორის დაუწერელი კანონი მოქმედებს — წახვედი სხვაგან, ჯანდაბამდე გზა გქონია.

ლაშა გოდუაძე

## ჰოლანდია

XXIV ტური

**კამბური 1:5 ფეიენოორდი**

1:0 ვან უტრეხტი (11), 1:1 კალუ (18), 1:2 დალ ტომასონი (30), 1:3 კრუზი (32), 1:4 ვან გობელი (35), 1:5 კრუზი (45)

**ბრედა 0:2 ვალვაიკი**

0:1 უგენდორპი (23), 0:2 ეშტელდი (66)

**სიტარდი 3:2 უტრეხტი**

1:0 კოოლი (7), 2:0 ჟეფრეი (9), 2:1 რობიმონდი (16პ), 3:1 პამინგი (25), 3:2 მოლსი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 23 | 18 | 4 | 1 | 57:21 | 58 |
| ვიტესი | 24 | 14 | 5 | 5 | 47:30 | 47 |
| აიაქსი | 24 | 12 | 8 | 4 | 53:24 | 44 |
| ეინდჰოვენი | 24 | 12 | 7 | 5 | 57:38 | 43 |
| როდა | 23 | 12 | 5 | 6 | 45:29 | 41 |
| ტილბურგი | 24 | 12 | 4 | 8 | 43:38 | 40 |
| ტვენტე | 25 | 11 | 7 | 7 | 38:33 | 40 |
| ჰერენვენი | 24 | 10 | 9 | 5 | 39:30 | 39 |
| ალკმაარი | 24 | 9 | 11 | 4 | 40:38 | 38 |
| სიტარდი | 24 | 8 | 6 | 10 | 31:32 | 30 |
| უტრეხტი | 25 | 8 | 6 | 11 | 44:48 | 30 |
| ნაიმეგენი | 24 | 7 | 8 | 9 | 32:38 | 29 |
| გრააფსხაპი | 24 | 4 | 10 | 10 | 24:39 | 22 |
| მაასტრიხტი | 24 | 5 | 7 | 12 | 30:46 | 22 |
| კამბური | 24 | 5 | 7 | 12 | 26:48 | 22 |
| სპარტა | 24 | 5 | 3 | 16 | 25:49 | 18 |
| ვალვაიკი | 26 | 3 | 6 | 17 | 27:51 | 15 |
| ბრედა | 24 | 3 | 5 | 16 | 25:44 | 14 |

## იუგოსლავია

23-ე ტური: რადნიჩკი (ნიში) — ბუდუჩნოსტი 1:0, ობილიჩი — ზელენიკი 2:0, ოფკ — პრისტინა 3:2, მილიციონარი — სპარტაკი 2:1, პაიდუკი — მოგრენი 1:0, პარტიზანი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 2:0, პროლეტერი — ცრვენა ზვეზდა 2:1, ზემუნი — ვოივოდინა 0:2, რადი — სარტიდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 23 | 21 | 2 | 0 | 57:9 | 65 |
| ობილიჩი | 23 | 19 | 4 | 0 | 57:9 | 61 |
| ცრვენა ზვეზდა | 23 | 15 | 5 | 3 | 52:16 | 50 |
| ვოივოდინა | 23 | 13 | 2 | 8 | 44:21 | 41 |
| რადი | 23 | 11 | 6 | 6 | 25:25 | 39 |
| პროლეტერი | 23 | 10 | 5 | 8 | 28:27 | 35 |
| პაიდუკი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:27 | 32 |
| ოფკ | 23 | 8 | 7 | 8 | 34:37 | 31 |
| მილიციონარი | 23 | 8 | 5 | 10 | 39:38 | 29 |
| ზემუნი | 23 | 9 | 1 | 13 | 30:46 | 48 |
| სარტიდი | 23 | 6 | 9 | 8 | 22:26 | 27 |
| რადნიჩკი (კ) | 23 | 8 | 3 | 12 | 32:43 | 27 |
| ზელენიკი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:42 | 23 |
| ბუდუჩნოსტი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:42 | 23 |
| სპარტაკი | 23 | 6 | 0 | 17 | 33:45 | 18 |
| რადნიჩკი (ნ) | 23 | 4 | 6 | 13 | 20:43 | 18 |
| პრისტინა | 23 | 5 | 2 | 16 | 24:48 | 17 |
| მოგრენი | 23 | 3 | 8 | 12 | 17:42 | 17 |

## რუმინეთი

მე-20 ტური: ბაკეუ — უნივერსიტატია (კლუჟი) 0:0, რესიტა — ონესტი 0:2, გლორია — ნაციონალი 2:4, დინამო — ფორესტა 4:1, ოცელული — ოლიმპია 2:0, ჩაჰლაული — ასტრა 3:1, სტიაუა — არჯეში 1:2, ფარული — რაპიდი 0:0, პეტროლული — უნივერსიტატია (კრაიოვა) 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 20 | 16 | 3 | 1 | 44:11 | 51 |
| დინამო | 20 | 16 | 2 | 2 | 66:19 | 50 |
| სტიაუა | 20 | 12 | 4 | 3 | 36:17 | 40 |
| არჯეში | 20 | 12 | 2 | 6 | 38:23 | 38 |
| ბაკეუ | 20 | 10 | 8 | 2 | 26:17 | 38 |
| ოცელული | 20 | 12 | 1 | 7 | 30:19 | 37 |
| ნაციონალი | 20 | 12 | 0 | 8 | 41:28 | 36 |
| პეტროლული | 20 | 9 | 4 | 7 | 31:26 | 31 |
| ჩაჰლაული | 20 | 9 | 3 | 8 | 28:32 | 30 |
| ასტრა | 20 | 7 | 5 | 8 | 22:21 | 26 |
| ონესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:39 | 24 |
| ფარული | 20 | 7 | 2 | 12 | 22:33 | 23 |
| გლორია | 20 | 6 | 4 | 10 | 32:40 | 22 |
| რესიტა | 20 | 4 | 6 | 10 | 32:40 | 22 |
| უნივერს. (კრ) | 20 | 4 | 5 | 11 | 21:31 | 17 |
| უნივერს. (კლ) | 20 | 2 | 4 | 14 | 10:48 | 10 |
| ოლიმპია | 20 | 2 | 3 | 14 | 13:37 | 9 |
| ფორესტა | 20 | 1 | 4 | 15 | 20:44 | 7 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## ფეხბურთის რეპასთან



ინგლისის „ლივერპული" ზაფხულში ტოტალურ გადახალისებას აპირებს. გუნდის ფრანგმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა, სეზონის დასრულებისთანავე ყველა ფეხბურთელს შევხვდები და გავარკვევ, ვინ დამრჩენია და ვინ წარმავალიო. ინგლისური პრესის ცნობით, „ლივერპულში" დარჩენა მხოლოდ რობი ფაულერს, მაიკლ ოუენს, ჯეიმი რედნაპს და ნორვეგიელ ვეგარდ ჰეგემს აქვთ გადაწყვეტილი. პოლ ინსის, შონ დანდის, ოივინდ ლეონარდსენის, ბრედ ფრიდელის და სხვათა საკითხი გასარკვევია. ულიემ ისიც თქვა, რომ დიდი სურვილი აქვს, მომავალ სეზონში „ლივერპულის" შემადგენლობაში ფრანგები — ფრედერიკ დეუ და რობერტ პირესი, ასევე ჰოლანდიელი ერიკ მაიერი იხილოს.

**ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „შეფილდ უენსდეიმ" ორი შოტლანდიელი ფეხბურთელი შეიძინა. გლაზგოს „სელტიკის" ნახევარმცველები ფილ ოდონელმა და საიმონ დონელმა ინგლისურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტები გააფორმეს. 26 წლის ოდონელი და 24 წლის დონელი ამ რამდენიმე დღის წინ შეფილდში ჩავიდნენ, სადაც შეხვდნენ კიდეც ახალი კლუბის ხელმძღვანელებს. დონელი „სელტიკის" ბავშვთა სკოლის აღზრდილია, ქვეყნის ნაკრებში ათჯერ უთამაშია და მსოფლიო ჩემპიონატზეც მონაწილეობდა. აი, ოდონელი კი გლაზგოელებმა 1994 წელს შეიძინეს „მოზერველიდან" 3 მილიონ დოლარად. ამ ორი შოტლანდიელი ფეხბურთელის „შეფილდ უენსდეიში" გადაბარგებამ ძალიან დაამწუხრა კიდევ ერთი ინგლისური კლუბის, ლონდონის „ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობა, რომლებსაც ასევე სურდათ ნახევარმცველის შეძენა.**

გერმანიის ნაკრებში შვიდჯერ მოხვედრილი მცველი მარკო რემერი შესაძლოა როსტოკის „ჰანზადან" ბერლინის „ჰერტაში" გადავიდეს. „ჰერტას" მწვრთნელის, დიტერ ჰილნერის განცხადებით, გუნდის წარმომადგენლები რემერს ესაუბრნენ და იგი თანახმაა „ჰერტაში" თამაშზე. ფეხბურთელის გაშვებას „ჰანზა" უარობს, თუმცა, ალბათ, რემერს მაინც შეელევა. 26 წლის მცველი ახალ კლუბში ამ ზაფხულს გადაბარგდება.

**ავსტრიელმა თავდამსხმელმა ტონი პოლსტერმა განაცხადა, თუ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ბუნდესლიგაში დარჩენა სურს, მაშინ მე უნდა მათამაშონო. „ასე არაფერი გამოვა. მე, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი, სათადარიგოთა შორის ვზივარ, გუნდს კი გოლები ვერ გააქვს. მათამაშეთ და მოიგებს „ბორუსია" — თქვა ფეხბურთელმა. მას შემდეგ, რაც 35 წლის პოლსტერი სეზონის წინ „კიოლნიდან" „ბორუსიაში" გადავიდა, ცხრა გოლი გაიტანა. „ბორუსია", რომელიც 70-იან წლებში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი იყო, დღეს ბუნდესლიგის აუტსაიდერია.**

ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რენე აიკელკამპმა, რომელსაც აქილევსის მყესის ტრავმა ტანჯავს, კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 34 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც ჰოლანდიის ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია, გუშინ განაცხადა, რომ განკურნებას აღარ დაელოდება და ფეხბურთიდან წავა. იგი დღესდღეობით გერმანული „შალკეს" მოთამაშედ ითვლება, გელზენკირხენის კლუბთან კონტრაქტი კი სეზონის ბოლომდე აქვს. „შალკეში" აიკელკამპი 1997 წელს გადავიდა „ეინდჰოვენიდან".

**იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „კირინის თასში" მონაწილეობის სურვილი პერუს და ბელგიის ნაკრებებმა გამოთქვეს. აზიელებმა საბოლოოდ დაადგინეს ტურნირის კალენდარი და გადაწყვიტეს, რომ 30 მაისს, კიოტოში, ტურნირის გახსნის მატჩში ბელგია პერუს შეხვდება, სამი დღის შემდეგ, 3 ივნისს ტოკიოში იაპონია ბელგიას დაუპირისპირდება, ხოლო 6 ივნისს იოკოჰამაში იაპონია და პერუ ტურნირს დაასრულებენ.**

დანიელი მეკარის შეძენა ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედმა" მოიწადინა. „ოლბორგის" 21 წლის გოლკიპერი ჯიმი ნილსენი დანიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიაჩნიათ, ნიუკასლელებს კი მისი გადაბირება მანამ უნდა, სანამ მან სხვა ვინმე შეამჩნევს. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ „ოლბორგს" ახალგაზრდა ნილსენის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა შეძლია. ჯერჯერობით უცნობია, შეელევიან თუ არა დანიელები მეკარეს, რომელმაც ორიოდ თვის წინ „ოლბორგთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ჰოლანდიელი მიხაელ მოლსი, როგორც ჩანს, შოტლანდიის ჩემპიონატის ლიდერ „გლაზგო რეინჯერსში" გადავა. „უტრეხტის" თავდამსხმელს შოტლანდიელებზე ადრე ინგლისის პრემიერლიგის კლუბი — „შეფილდ უენსდეი" ეკურკურებოდა, მაგრამ მოლსმა ეს ვარიანტი თავადვე გამორიცხა. მას „აიაქსში" სურდა გადასვლა, მაგრამ „უტრეხტმა" მისი მეზობელ გუნდში გაშვება იუარა. შეგახსენებთ, რომ მოლსი 16 გატანილი გოლით ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. „გლაზგო რეინჯერსში" მოლსის გადასვლა კიდევ იმან განაპირობა, რომ გლაზგოს კლუბს ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი წვრთნის.**

საფრანგეთის 1995 წლის ჩემპიონმა „ნანტმა" ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" თანამშრომლობა გადაწყვიტა. ფრანგული კლუბის და ინგლისური გუნდის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ შეძლებენ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. „ნანტის" თავკაცებს ერთადერთი სურვილი ამოძრავებთ — ინგლისელებისგან ახალგაზრდა მოთამაშეები მიიღონ, თავადაც სათადარიგონი ინგლისში გაუშვან.

**ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკი შესაძლოა ინგლისის ჩემპიონატის მაჩანჩალა „ნოტინგემ ფორესტიდან" პირველობის ერთ-ერთ ლიდერ „ლიდს იუნაიტედში" გადავიდეს. 1992 წლის შემდეგ „ლიდსი" პირველადაა ჩემპიონობასთან ასე ახლოს. „ლიდსის" ხელმძღვანელობა ნოტინგემელთა წარმომადგენლებს შეხვდა და ტრანსფერზეც ესაუბრა. გარიგება, სავარაუდოდ, 4 მილიონ დოლარს მოიცავს. შეგახსენებს, რომ ვან ჰოიდონკი მსოფლიოს ჩემპიონატზეც თამაშობდა.**

არგენტინის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „რივერ პლეიტმა" უარყო ხმები, თითქოსდა გუნდის ნიჭიერი გამთამაშებლის, მარსელო გალიარდოს შეძენა ინგლისურ კლუბებს მოეწადინებინოთ. ინგლისური პრესის თანახმად, ლონდონის „არსენალი" და ბირმინგემის „ასტონ ვილა" არგენტინის ნაკრების ფეხბურთელით ძალიან დაინტერესებულან. „არსენალი" მზად ყოფილა, გალიარდოს სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „რივერ პლეიტს" ვალები აქვს და ამიტომაც გადაწყვიტა, გუნდის ლიდერს შეელიოს. ცნობისთვის: მარსელო გალიარდო არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

**ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟოზე ანტუნიეშ კომკასო ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „კოლჩესტერში" გადავიდა. 22 წლის ფეხბურთელის შეძენა „კოლჩესტერის" მწვრთნელ მიკ უოდუორსს მოუნდომებია, მას შემდეგ, რაც „გრიმსბის" სათადარიგოთა მატჩი უნახავს. ანტუნიეშ კომკასო მანამდე სწორედ „გრიმსბიში" თამაშობდა.**

# შუნობათა ჭიდილი



თასების მფლობელთა თასი

IV გათამაშება 1963-64 წლები

სპორტინგი

ლისაბონი, პორტუგალია

სოლომონ ყულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

*თასის მფლობელი, ბილ ნიკოლსონის „ტოტენჰემი“ ტურნირში დიდი დანაკლისით ჩაება. გუნდს აღარ ჰყავდა თავისი ხერხემალი დენი ბლენჩფლაუერი. დიდმა ჩრდილოირლანდიელმა შემოდგომაზე მძიმე ტრავმა მიიღო და თამაშს თავი დაანება. რაკი პრიზის მესაკუთრე იყო, ლონდონურმა კლუბმა პირველ წრეში დაისვენა, მერვედფინალში კი თანამემამულეებს, მეტ ბასბის მკვდრეთით აღმდგარ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდა.*

1958 წლის 6 თებერვალს „იუნაიტედმა“ ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ითამაშა იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ და ბელგრადიდან შინ ბრუნდებოდა. გზად ეგზოტიკური სახელის თვითმფრინავმა — „ელიზაბეტმა“ მიუნხენის აეროპორტში შეისვენა. საწვავი მოიმარაგა და მოყინული ბილიკიდან აფრენა სცადა. ორჯერ არაფერი გამოუვიდა, მესამე ცდაზე რამდენიმე წამით ცაში აიჭრა და...მიწაზე დაენარცხა. 28 დაღუპული მგზავრიდან რვა „მანჩესტერის“ ფეხბურთელი იყო. მენეჯერი ბასბი სასწაულად გადარჩა.

„ტოტენჰემთან“ თამაშები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, ამ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ გაიმართა. დროის ამ მონაკვეთში „იუნაიტედი“ ისევ გაძლიერდა. საფუძველი ეყრებოდა გუნდს, რომელიც მერე საუკეთესო გახდა ევროპაში და 1968 წელს ჩემპიონთა თასიც მოიგო. ბობი ჩარლტონი უკვე „ალისფერების“ გამოკვეთილი ლიდერი იყო. 1962-ის ივნისში იტალიური „ტორინოდან“ შოტლანდიელი დენის ლოუ გადმოიყვანეს და მასში 100 ათასი ფუნტი გადაიხადეს. მაშინ ეს ფანტასტიკურ თანხად ითვლებოდა. ლოუსთვის 1963-64 წლების სეზონი საუკეთესო გამოდგა კარიერაში. ყოველ შემთხვევაში, აღიარების მხრივ ასე იყო. მას ევროპის უპირველესი მოთამაშის ტიტული და „ოქროს ბურთი“ მიაკუთვნეს. ამ „ოქროს ბურთში“ თავისი წვლილი თასების თასსაც ედო.

„ტოტენჰემმა“ შინ კარგად ითამაშა, მაკაისა და დაისონის გოლებით 2:0 მოუგო „ალისფერებს“. მენეჯერი ნიკოლსონი კმაყოფილი დარჩა თავისი ბიჭებით. მედია „სფურზის“ საერთო გამარჯვებას გადაწყვეტილ საქმედ მიიჩნევდა. რატომ? ორბურთიანი უპირატესობის გარდა, მეორე არგუმენტიც არსებობდა: „ტოტენჰემი“ ინგლისის ჩემპიონატს ლიდერობდა და სტაბილურ თამაშს აჩვენებდა, „იუნაიტედი“ კი მეშვიდე საფეხურზე გაჩერებულიყო. ჩინებულად ასპარეზობდა ლონდონელთა შემტევი ჯიმი გრივსი. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მტკიცებით, იშვიათი იყო მატჩი, გრივსს ბურთი რომ არ გაეტანა. მან „ოლდ ტრეფორდზეც“ გაუტანა „ალისფერებს“, მაგრამ ამ ბურთს აღარაფერი შეუცვლია, სეტერსმა, ჰერდმა და ორჯერ ჩარლტონმა „სფურზს“ ოთხი შეუგდეს — 4:1 და თასის მფლობელი ტურნირს გამოეთიშა. „ემიუ“ კი გათამაშების ფავორიტად შერაცხეს.

ფავორიტობა ფავორიტობად, მაგრამ მომდევნო ეტაპზევე დიდი მოულოდნელობა მოხდა. მეოთხედფინალში „იუნაიტედს“ ლისაბონის „სპორტინგთან“ უნდა გაერკვია ურთიერთობა, გუნდთან, რომელიც არც ევროპაში იყო გამორჩეული და პორტუგალიაშიც თანაქალაქელი „ბენფიკას“ ჩრდილში მოქცეულიყო. „ბენფიკამ“ 1961 და 62 წლებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, 63-ში კი ამავე ტურნირის ფინალში დამარცხდა ნერეო როკოს „მილანთან“. „ბენფიკას“ ჰყავდა აგუაში, ეუსებიო, კოლუნა და სიმოესი. „სპორტინგს“? „სპორტინგს“ არ ჰყავდა ეუსებიო, მაგრამ იქ ოსვალდო სილვა, მასკარენიაში და მეკარე კარვალიო თამაშობდნენ. ეს უკანასკნელი იგივე იყო „სპორტინგისთვის“, რაც დღეს ჩილავერტია პარაგვაის ნაკრებისთვის. კარვალიო მეპენალტე გახლდათ და თასთა თასზეც ორი თერთმეტმეტრიანი შეაგდო.

„იუნაიტედთან“ შეხვედრამდე მიმომხილველები არც იმას აქცევდნენ დიდ ყურადღებას, „სპორტინგმა“ მანამდე ნიქოზიის „აპოელი“ რომ გაანადგურა (არც მანამდე და არც შემდეგ, თასების თასის ისტორიაში ერთ გუნდს, ერთ მატჩში მეორესთვის 16 ბურთი არ გაუტანია). კვიპროსის სუსტი გუნდის დამარცხება რა დიდი ვაჟკაცობაა, ამბობდნენ, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

პირველ, მანჩესტერულ მეოთხედფინალში ფავორიტმა გაცემული ავანსი გაამართლა, 4:1 დაამარცხა „სპორტინგი“. მატჩის გმირი დენის ლოუ გახდა. მან ჯერ ეფექტური დარტყმით გახსნა ანგარიში, შემდეგ ორი პენალტიც გამოიყენა. მერე მოწინააღმდეგეებმა ჩარლტონმა და ოსვალდო სილვამ თითო გოლიც გაცვალეს. თითქოს „იუნაიტედი“ უკვე ნახევარფინალში იყო, მაგრამ ლისაბონში დაუჯერებელი რამ მოხდა. სპორტინგელებმა ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს ბრიტანელებს: სამჯერ ოსვალდო სილვამ, მეკარე კარვალიომ პენალტით და მორაეშმა ბასბის ბიჭები შინ შერცხვენილები გაუშვეს. ინგლისური პრესის აზრით, „ემიუ“ ზედმეტმა თავდაჯერებამ იმსხვერპლა, „იუნაიტედმა“ საკუთარ თავთან წააგო — ასეთი იყო ბრიტანული მედიის განაჩენი. („მანჩესტერს“ მთელი 27 წელიწადი დასჭირდა ამ პრიზის მოსაპოვებლად. 1991-ში ინგლისელების ევროსარბიელზე დაბრუნება „ალისფერებმა“ გამარჯვებით აღნიშნეს).

„სპორტინგის“ რეიტინგი დანარჩენ მონაწილეებთან შედარებით წარმოუდგენლად გაიზარდა. ინგლისელების მძლეველ პორტუგალიელებს თასის მოპოვების უპირველეს კანდიდატებად ასახელებდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ ტრიუმფამდე „სპორტინგს“ თურმე კიდევ 480 წუთი უნდა ებრძოლა. ნახევარფინალში მისი მეტოქე ფრანგული „ლიონი“ გახლდათ. წინა წრეში „ლიონმა“ ზეელერისა და კომპანიის ძლიერი „ჰამბურგი“ დაამარცხა. მათ რიგებში თამაშობდა ჩინებული მეგოლე ნესტორ კომბენი, რომელსაც პორტუგალიელებთან შეხვედრამდე უკვე მოესწრო ტურნირში 9 ბურთის გატანა. ამდენივე გოლი იყო სპორტინგელ მასკარენიაშის ანგარიშზე. ორმა რაუნდმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა 0:0 და 1:1. გადათამაშება 6 მაისს მადრიდში დაინიშნა. მაგრამ, სანამ გადაითამაშებდნენ, „ლიონს“ შინ ერთი საინტერესო ისტორია გადახდა. მატჩამდე ორი დღით ადრე „ლიონს“ საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრა უწევდა „ბორდოსთან“. ლიონელები ფრანგული ლიგის მოწინავეებში იდგნენ, ამიტომ ამ თამაშსაც მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბორდოელებს სთხოვეს, ერთმანეთს მოგვიანებით გავეჯიბროთო. ფრანგული ფეხბურთის მამებიც დათანხმდნენ, მაგრამ მეტოქე გაჯიუტდა და პასუხად უარი გაუგზავნა. „ლიონმა“ მინდორზე მეორე შემადგენლობა გამოიყვანა და 0:3 წააგო. ძირითადი კი ამ დროს „სპორტინგთან“ შესახვედრად მადრიდში ემზადებოდა.

გადათამაშება სანახავად უფერული, შინაარსით კი ძალიან დაძაბული გამოდგა. ოსვალდო სილვას ერთადერთი გოლით პორტუგალიელებმა იმარჯვეს და ფინალშიც გავიდნენ.

„ლიონი“ შინ დაბრუნდა და რამდენიმე დღეში მის გარშემო დიდი ხმაური ატყდა. ფრანგული ფეხბურთის ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი ქვეყნის წარმომადგენელი ბოლოს და ბოლოს ევროწარმატებასაც მიაღწევდა. ევროთასების ჩატარების ინიციატორებს აქამდე თავისი გამარჯვებული არ ჰყავდათ. „რეიმსმა“ ორჯერ — 1956 და 59 წლებში — ჩემპიონთა თასის ფინალები წააგო მადრიდის „რეალთან“. ახლა „ლიონიც“ დამარცხდა და „ბორდოს საქმეც“ გაახსენდათ. ბოსები ამტკიცებდნენ, რომ ასეთ მნიშვნელოვან სიტუაციაში „ბორდოს“ უფროსობა დათმობაზე უნდა წასულიყო და „ლიონისთვის“ ხელი შეეწყო. მერე მანამდე არნახული გადაწყვეტილება მიიღეს, იმ მატჩის ანგარიში გააუქმეს და გადათამაშება დაადგინეს. სულ მალე „ლიონმა“ მაინც იყარა „ბორდოს“ ჯავრი, როცა ქვეყნის თასის ფინალში 2:0 მოუგო.

ბუდაპეშტის მტკ-ს ფინალში გასვლაც საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ. მართალია, იმ დროს უნგრულ ფეხბურთს ევროპაში დიდი სახელი ჰქონდა, მაგრამ ეს „ფერენცვაროშის“, „ჰონვედისა“ და „უიპეშტ დოჟას“ მოთამაშეების დამსახურება იყო. ეროვნული ნაკრებიც ძირითადად ამ გუნდების ფეხბურთელებისგან კომპლექტდებოდა. მტკ კი სტაბილურ, საშუალო კლუბად ითვლებოდა.

როცა ნახევარფინალის პირველ რაუნდში გლაზგოს „სელტიკმა“ უნგრელებს 3:0 მოუგო, ფინალისტის ვინაობა თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა. ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე მისული მაყურებელიც უბრალოდ კარგი ფეხბურთის მოლოდინში იყო, მაგრამ, მათდა გასაკვირად, თამაშიც ლამაზი გამოვიდა და შედეგიც ჩინებული. მეორე ტაიმი ორი წუთის დაწყებული გახლდათ, მასპინძლები 1:0-ს იგებდნენ. ამ დროს შოტლანდიელმა მცველმა საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელით შეაჩერა და ვაშაშმა ზუსტად გამოიყენა პენალტი. ამან ბუდაპეშტელები შეაგულიანა და თავის სტილში, მოკლე და სწრაფი გადაცემების გამოყენებით, თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. სანახაობამ მაყურებელიც გაახალისა და აახმაურა. სტუმრებმა დაწოლას ველარ გაუძლეს, შანდორმა (63-ე წუთზე) და კუტიმ (82-ზე) ანგარიში 4:0 გახადეს. როცა მსაჯმა თამაში დაამთავრა, ვერც მასპინძლები, ვერც სტუმრები და ვერც ქომაგები, მომხდარს ვერ იჯერებდნენ...

ფინალი დრამატული, 210-წუთიანი გამოდგა. ბრიუსელში თამაშის მსვლელობისას ორჯერ უნგრელები იგებდნენ, ერთხელ პორტუგალიელები. გამარჯვებული კი ვერ გაირკვა — 3:3. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ბუდაპეშტელთა მარჯვენა გარემარბი კაროლ შანდორი გახლდათ. მე-19 წუთზე მან მაღალი სიჩქარით გაირბინა თითქმის ნახევარი მინდორი და დარტყმაც ძლიერი გამოუვიდა — 1:0. უნგრელები მეტს უტევდნენ, მაგრამ 41-ზე მასკარენიაშის ჩაკიდებული მცველმა ენეიმ საკუთარ კარში ჩაჭრა. გოლი მაინც მასკარენიაშს ჩაუთვალეს. მეორე ნახევრის დასაწყისშივე ლისაბონელები დაწინაურდნენ. მერე ორი წუთის განმავლობაში მტკ-ელმა კუტიმ ორჯერ გაიტანა, მაგრამ დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ფიგეირედუმ გაასწორა. არც დარჩენილ ათს და არც დამატებით ოცდაათ წუთს აღარაფერი შეუცვლია.

გადათამაშება ორი დღის შემდეგ ანტვერპენში გაიმართა. უნგრელები დაღლილიყვნენ და პორტუგალიელებმა იძალეს. მორაეშის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

„სპორტინგმა“ თასების თასი მოიპოვა. ტურნირის საუკეთესო მეგოლეები კი 10-10 ბურთით ლისაბონელი მასკარენიაში და ლიონელი კომბენი გახდნენ. ერთ გათამაშებაში მათზე მეტი მხოლოდ გერმანელმა ემერიხმა (1966 წელს 14 გოლი) და ბულგარელმა მილანოვმა (1977-ში, 13) გაიტანეს. ასე რომ, მასკარენიაშ-კომბენის შედეგი სოლიდურად უნდა ჩაითვალოს.



„მანჩესტერის“ მეგოლე დენის ლოუ 1964 წელს „ოქროს ბურთით“ დააჯილდოვეს



სპორტინგი 1964 წელს. დგანან: გომეში, პერიდიში, ბაპტისტა, მენდეში, კარლოსი. სხედან: კარვალიო, მორაეში, ფიგეირედუ, მასკარენიაში, ოსვალდო სილვა, გეო.

ხბურთს თავი იმიტომ დაანება, რომ ოჯახში მეტი დრო გაეტარებინა. მან ამერიკულ „მეიჯორ ლიგ სოკერში“ თამაშზეც კი განაცხადა უარი.

„არ მინდა ისევ შეკრებებში, მოგზაურობასა და დაძაბულ კალენდარში გავყო თავი“ — ბრძანა კლინსმანმა, რომელიც, თურმე, ესპანურს, ინგლისურს და კომპიუტერულ ტექნიკას კალიფორნიის ერთ-ერთ კოლეჯში ეწაფება.

იურგენ კლინსმანმა გერმანიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 108 შეხვედრა ჩაატარა. იგი კარიერის მანძილზე თამაშობდა



საკუთარი თავი [illegible] ნუხებს“ — უთხრა ვარსკვლავმა სტტ-ის კორესპონდენტს, როდესაც მან გერმანიის ნაკრების აშშ-ის გუნდთან 0:3 დამარცხება გაახსენა.

შემდეგ სიტყვა ფრანც ბეკენბაუერზე ჩამოვარდა, რომელმაც, როგორც „ბაიერნის“ პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კლინსმანს გამოსათხოვარ შეხვედრაზე უარი უთხრა.

„ჩემთვის უცნობია, რატომ არ ისურვა ბეკენბაუერმა ჩემთვის გამოსათხოვარი შეხვედრის დანიშვნა. ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად ვკითხავ. მისმა უარმა ხომ ძალიან დამწყვიტა გული“ — იყო პასუხი.

EURO 2000

(სპარტა), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი); მცველები — მიხალ ჰორნაკი, ტომაშ ვოტავა (სპარტა), კარელ რადა, პიოტრ ვლაჩეკი (სლავია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია), იან სუხოპარეკი (სტრასბური, საფრანგეთი); ნახევარმცველები — მიროსლავ ბარალეკი, მარტინ ჰაშეკი (სპარტა), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), მარტინ ჩიჟეკი (მიუნხენ 1860, გერმანია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), ირჟიხ ნემეცი (შალკე 04, გერმანია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), რადეკ სლონჩიკი (ბანიკი); თავდამსხმელები — იან კოლერი (ლოკერენი, ბელგია), პაველ კუკა (ნიურნბერგი, გერმანია), ვრასტისლავ ლოკვენცი (სპარტა), ვლადიმერ შნიცერი (ლანსი, საფრანგეთი)


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# თუ მოსეშვილი ნაკრების მწვრთნელად დარჩა, მაშინ ჩვენ წავალთ

*გუშინ მასმედიასთან შეხვედრისას საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა თემურ დათიკაშვილმა და დუდუ დადიანმა განაცხადეს, რომ, სამშაბათს, ფედერაციის აღმასკომის სხდომის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი: „თუ ლევან მოსეშვილი ნაკრების მწვრთნელად დარჩა, ჩვენ დაკავებული თანამდებობიდან წავალთ“ დასძინეს მათ და იმ ხუთი პიროვნების ვინაობაც გვამცნეს, რომელთაგანაც ერთ-ერთს დაევალება ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა. ესენი არიან: ბესიკ ლიპარტელიანი, თამაზ ოქრუაშვილი, ზურაბ ტომარაძე, ნუგზარ ქეიშვილი და ოთარ ხმელიძე.*


ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდუ დადიანი და თემურ დათიკაშვილი

## ვინ რას ფიქრობს საკუთარ კანდიდატურაზე

### ბესიკ ლიპარტელიანი



#### სანამ ქათამაძე პრეზიდენტია, ნაკრებში არ დავბრუნდები

ვიცე-პრეზიდენტებთან მქონდა საუბარი. დათიკაშვილმაც და დადიანმაც იციან ჩემი აზრი და ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ: სანამ ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე იქნება, მე ნაკრებში მიმბრუნებელი არ ვარ.

### თამაზ ოქრუაშვილი



#### ინტრიგებთან ახლოს ყოფნა არ მინდა

ნაკრების ამბებზე არანაირი ინფორმაცია არა მაქვს და არც სურვილი მაქვს ვინმეს ადგილი დავიკავო. სანაკრებო ინტრიგებთან ახლოს ყოფნაც არ მინდა. მეც ვყოფილვარ ნაკრების მწვრთნელი, მართალია ახალგაზრდულის, მაგრამ წვალებისა და განწირულობის შეგრძნების მეტი არაფერი მახსოვს.

### ზურაბ ტომარაძე



#### მე ჩემი პროგრამა მაქვს, თუმცა...

არა ვარ საქმის კურსში, ყველაფერი უჩემოდ ხდება და კომენტარისგანაც თავს შევიკავებ. თუ ჩემს კანდიდატურას წამოაყენებენ, პოზიციას მერე გამოვხატავ. ისე, მაქვს ჩემი პროგრამა, თუმცაღა ყოველივე ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს.

### ნუგზარ ქეიშვილი



#### ნაკრებისთვის ნამდვილად არ მცალია

იყო რაღაც გადაკვრითი საუბრები, რომ მე ქვეყნის პირველ გუნდს გავძღოლოდი, მაგრამ ახლა მაგისთვის ნამდვილად არ მცალია. აპრილში კადეტებს, მაისში კი ქალთა ნაკრებს უნდა ვუხელმძღვანელო და ჩემი პრობლემებიც თავზე საყრელი მაქვს. ისე, მე მგონი, მოსეშვილს უნდა აცალონ.

### ოთარ ხმელიძე



#### მწვრთნელობაზე ამთავითვე უარს ვამბობ

ეს ამბავი პირველად თქვენგან მესმის და, ბუნებრივია, კონკრეტულად არც არავინ დამლაპარაკებია, თუმცა ნაკრების მწვრთნელობაზე ამთავითვე უარს ვაცხადებ. საქართველოში არიან ჩემზე გამოცდილი, დამსახურებული მწვრთნელები და ამ საქმეს იმათ მიხედონ.

## მეორე წრის საუკეთესო ხუთეული სარბიელის მიხედვით







| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როდა | 23 | 12 | 5 | 6 | 45:29 | 41 |
| ტილბურგი | 24 | 12 | 4 | 8 | 43:38 | 40 |
| ტვენტე | 25 | 11 | 7 | 7 | 38:33 | 40 |
| ჰერენვენი | 24 | 10 | 9 | 5 | 39:30 | 39 |
| ალკმაარი | 24 | 9 | 11 | 4 | 40:38 | 38 |
| სიტარდი | 24 | 8 | 6 | 10 | 31:32 | 30 |
| უტრეხტი | 25 | 8 | 6 | 11 | 44:48 | 30 |
| ნაიმეგენი | 24 | 7 | 8 | 9 | 32:38 | 29 |
| გრააფსხაპი | 24 | 4 | 10 | 10 | 24:39 | 22 |
| მაასტრიხტი | 24 | 5 | 7 | 12 | 30:46 | 22 |
| კამბური | 24 | 5 | 7 | 12 | 26:48 | 22 |
| სპარტა | 24 | 5 | 3 | 16 | 25:49 | 18 |
| ვალვაიკი | 26 | 3 | 6 | 17 | 27:51 | 15 |
| ბრედა | 24 | 3 | 5 | 16 | 25:44 | 14 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 39:38 | 29 |
| ზემუნი | 23 | 9 | 1 | 13 | 30:46 | 48 |
| სარტიდი | 23 | 6 | 9 | 8 | 22:26 | 27 |
| რადნიჩკი (კ) | 23 | 8 | 3 | 12 | 32:43 | 27 |
| ზელენიკი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:42 | 23 |
| ბუდუჩნოსტი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:42 | 23 |
| სპარტაკი | 23 | 6 | 0 | 17 | 33:45 | 18 |
| რადნიჩკი (ნ) | 23 | 4 | 6 | 13 | 20:43 | 18 |
| პრისტინა | 23 | 5 | 2 | 16 | 24:48 | 17 |
| მოგრენი | 23 | 3 | 8 | 12 | 17:42 | 17 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 20 | 9 | 3 | 8 | 28:32 | 30 |
| ასტრა | 20 | 7 | 5 | 8 | 22:21 | 26 |
| ონესტი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:39 | 24 |
| ფარული | 20 | 7 | 2 | 12 | 22:33 | 23 |
| გლორია | 20 | 6 | 4 | 10 | 32:40 | 22 |
| რესიტა | 20 | 4 | 6 | 10 | 32:40 | 22 |
| უნივერს. (კრ) | 20 | 4 | 5 | 11 | 21:31 | 17 |
| უნივერს. (კლ) | 20 | 2 | 4 | 14 | 10:48 | 10 |
| ოლიმპია | 20 | 2 | 3 | 14 | 13:37 | 9 |
| ფორესტა | 20 | 1 | 4 | 15 | 20:44 | 7 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელექომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

... ჩემპიონატზეც თამაშობდა.

**არგენტინის** ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „რივერ პლეიტმა“ უარყო ხმები, თითქოსდა გუნდის ნიჭიერი გამთამაშებლის, მარსელო გალიარდოს შეძენა ინგლისურ კლუბებს მოეწადინებინოთ. ინგლისური პრესის თანახმად, ლონდონის „არსენალი“ და ბირმინგემის „ასტონ ვილა“ არგენტინის ნაკრების ფეხბურთელით ძალიან დაინტერესებულან. „არსენალი“ მზად ყოფილა, გალიარდოს სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. „რივერ პლეიტს“ ვალები აქვს და ამიტომაც გადაწყვიტა, გუნდის ლიდერს შეელიოს. ცნობისთვის: მარსელო გალიარდო არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

**ბრაზილიელი** ნახევარმცველი ქოზე ანტუნიეშ კომკასო ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „კოლჩესტერში“ გადავიდა. 22 წლის ფეხბურთელის შეძენა „კოლჩესტერის“ მწვრთნელ მიკ უოდუორსს მოუნდომებია, მას შემდეგ, რაც „გრიმსბის“ სათადარიგოთა მატჩი უნახავს. ანტუნიეშ კომკასო მანამდე სწორედ „გრიმსბიში“ თამაშობდა.

**EURO 2000**
**ჩვენი ჯგუფი**

# იქ, სადაც სურდა

ნისლიან ალბიონზე კიდევ ერთმა ბერძენმა ფეხბურთელმა შედგა ფეხი — ინგლისის „დერბი ქაუნთიმ“ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის, საბერძნეთის ნაკრების მცველი ვასილის ბორბოკისი გადაიბირა. ხელშეკრულება პრემიერლიგურ კლუბსა და ფეხბურთელს შორის გუშინ გაფორმდა.

ვასილის ბორბოკისი კარგი მცველია და პრემიერლიგის კლუბის ყურადღებას აგერ უკვე წელიწადნახევარია, იქცევდა. „დერბის“ თავკაცები არ ჩქარობდნენ, ელოდნენ შესაფერის მომენტს და აჰა, ეს დროც დადგა.

ვასილის ბორბოკისი ინგლისურ გუნდს რამდენიმე კვირის წინ ეწვია, ერთი ხანობა „დერბის“ მწვრთნელთა მეთვალყურეობითაც ვარჯიშობდა, მომავალ ტრანსფერზეც ესაუბრებოდა კლუბის ხელმძღვანელებს, სულ ბოლოს კი კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

— ინგლისის საფეხბურთო ლიგა მსოფლიოში უძლიერესად მიმაჩნია და მოხარული ვარ, რომ აქ თამაშის საშუალება მომეცა. შევეცდები დავამტკიცო, რომ მცდარი არჩევანი არ გაუკეთებიათ — განაცხადა ბორბოკისმა.

საბერძნეთის ნაკრების ხელმძღვანელობა ახალგაზრდა მცველს ადრეც იწვევდა და ახლა, მითუმეტეს, არ იტყვის უარს.

# ბოსმანური ინგლისური ზაფხულის მოლოდინში



*ბოსმანის გუნდი-საჩუქარი: მარკ ბოსნიჩი, რობ ჯონსი, როლანდ ნილსონი, კენ მონკუ, სტიუარტ პირსი, დონ ჰაჩისონი, ჯონ ბარნსი, სკოტ ჯემილი, გაი უიტინგემი, კარლ-ჰაინც რიდლე და ენდი კლარკი.*

იმ ინგლისელ მწვრთნელებს, რომელთათვისაც მათი კლუბების მეპატრონეებს „მანჩესტერ იუნაიტედის“, „არსენალის“ ან „ჩელსის“ მეპატრონეებისგან განსხვავებით ახალი ფეხბურთელების შესაძენად ბევრი ფული არ მიუციათ, შეუძლიათ ზემომოყვანილ სურათს სერიოზულად დააცქერდნენ. ეს გახლავთ გუნდი კლასიკური 4-4-2 განლაგებით, რომლის წევრებიც რამდენიმე თვეში, ზაფხულზე, თავისუფალი აგენტები გახდებიან და მათი აყვანა ყოველგვარი გამოსასყიდი თანხის გარეშე იქნება შესაძლებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს გუნდი ბოსმანის შესაძლო საჩუქარია.

დღეს, ინგლისურ ფეხბურთში მოფუსფუსე აგენტებმა, რომელთა რაოდენობა არნახულად გაიზარდა, თავიანთ კლიენტებს სეზონის ბოლომდე დაცდა, ძველ კლუბებთან კონტრაქტების ამოწურვა და ახალზე მერე ფიქრი ურჩიეს. საქმე ის გახლავთ, რომ, ვინაიდან მათ მომავალ კლუბებს სატრანსფერო თანხა არავისთვის ექნებათ გადასახდელი, საშუალება მიეცემათ ცენტის დაუხარჯავად შეძენილ მოთამაშეებს დიდი ხელფასები დაუნიშნონ. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალი კლასის იქნება თავისუფალ აგენტად ქცეული ფეხბურთელი, მით მეტ ხელფასზე შეეძლება შეევაჭროს და მიიღოს კიდეც.

ამიტომაც არ იქნება გასაკვირი, რომ ბევრმა მოთამაშემ, რომელსაც კარიერის დაისი უდგას, შეძლებისდაგვარად დიდი ხეირის ნახვა სცადოს და მრავალთათვის წყეულ ჟან მარკ ბოსმანს გულში უდიდესი მადლობაც უძღვნას.

მაგრამ მარტო მარკ ბრაითის ნაირ ვეტერანებზე ხომ არ ვრცელდება ბოსმანური ცხოვრების წესი. არიან 20-დან 30 წლამდე ასაკის ფეხბურთელებიც, მაგალითად ბოსნიჩი, ჰაჩისონი და ჯემილი, რომლებიც სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტები გახდებიან და ვინმე მათ მუქთად გადაიბირებს, რაც, ანალიტიკოსთა აზრით, ფეხბურთის მომავალ იერზე ასე თუ ისე უეჭველად იმოქმედებს.

ბოსმანის წყალობით, ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგალითად „უიმბლდონის“ პიტერ ფეარი და „ქოვენთრის“ სემ შილტონი, რომლებიც უცხოელ ვარსკვლავთა ყიდვომანიის გამო უკანა პლანზე არიან გადასროლილები, უფრო იოლად იპოვიან მომავალ კლუბებს. აბა, უფასოზე ვინ იტყვის უარს.

გამორჩენას კლუბებიც ელიან. „ლივერპულის“ ფრანგ მწვრთნელს, ჟერარ ულიეს, სეზონის ბოლოსთვის შვიდი ახალი მოთამაშის შეძენა აქვს ჩაფიქრებული და მათგან სამს თუ ოთხს უფასოდაც უმიზნებს. თუმცა ულიეს ზუსტად იმავე კანონის გამო დიდი დანაკლისიც აქვს — მაკმანამანი მადრიდის „რეალში“ გაურბის.

რაღა თქმა უნდა, ინგლისურ კლუბებს ევროპის მუქთა ბაზრისკენაც უჭირავთ თვალი.



სარჩიელის არქივიდან

ალესანდრო ნესტა

# დარჩით ჩვენთან

იტალიელმა მცველმა ალესანდრო ნესტამ „ლაციოში“ დარჩენა გადაწყვიტა და რომის კლუბთან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. იგი გუნდში 2004 წლამდე დარჩება.

„ლაციოს“ ხელმძღვანელობას კლუბის დღევანდელი შემადგენლობის შენარჩუნება განუზრახავს და ფეხბურთელებთან გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება დაიწყო. კლუბის ყველა ლიდერი დათანხმდა შეთავაზებულ პირობებს.

იტალიის ჩემპიონატის ლიდერის წარმომადგენელმა „ლაციოს“ ასეთი ნაბიჯი იმით ახსნა, რომ კლუბში ბოსმანის წესის ეშინიათ.

# ლამაზად

გერმანიის ჩემპიონატის ლიდერის, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, მთელი ცხოვრება გუნდს იმას ვეუბნები, რომ მთავარია კარგი თამაში და არა ტიტულებიო.

„ჩვენ ყველაფერი გვაქვს მოგებული. ახლა მნიშვნელოვანი ისაა, გუნდმა სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს, ტიტულები თავისით მოვა“ — თქვა მან.

ბეკენბაუერს ასევე ძალიან უნდა, „ბაიერნი“ გახდეს პირველი კლუბი, რომელიც ბუნდესლიგას, ქვეყნის თასს და ჩემპიონთა თასს ერთ სეზონში მოიგებს. ასეთი რამ 70-იანი წლების უძლიერეს „ბაიერნსაც“ არ მოუხერხებია.

# ერთი ამერიკელით მეტი



ვარსკვლავებსაც აქვთ აუხდენელი ოცნებები. დიდი გერმანელი თავდამსხმელი იურგენ კლინსმანი, მოგეხსენებათ, ფეხბურთს დაემშვიდობა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიაში დასახლდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ...

„მთელი ცხოვრების განმავლობაში ვოცნებობდი მადრიდის „რეალში“ თამაშზე. რამდენჯერმე წამოვიწყე კიდეც მოლაპარაკება, მაგრამ სულ ერთი და იგივე ხდებოდა: მწვრთნელს, რომელსაც დავუკავშირდებოდი, მალევე ხსნიდნენ“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა.

მრისხანე თავდამსხმელმა ფეხბურთს თავი იმიტომ დაანება, რომ ოჯახში მეტი დრო გაეტარებინა. მან ამერიკულ „მეიჯორ ლიგ სოკერში“ თამაშზეც კი განაცხადა უარი.

„არ მინდა ისევ შეკრებებში, მოგზაურობასა და დაძაბულ კალენდარში გავყო თავი“ — ბრძანა კლინსმანმა, რომელიც, თურმე, ესპანურს, ინგლისურს და კომპიუტერულ ტექნიკას კალიფორნიის ერთ-ერთ კოლეჯში ეწაფება.

იურგენ კლინსმანმა გერმანიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 108 შეხვედრა ჩაატარა. იგი კარიერის მანძილზე თამაშობდა „შტუტგარტში“, მილანის „ინტერში“, „მონაკოში“, „ტოტენჰემსა“ და „ბაიერნში“.

საინტერესოა, თუ ამერიკელად გაიზარდა, ექნება მისი ვაჟისთვის მნიშვნელობა, ვინ იყო მამამისი? თავად იურგენი კი, ბუნებრივია, თვალ-ყურს ადევნებს გერმანული ფეხბურთის ცხოვრებას და მის ბედზე წუხს კიდეც.

„გერმანული ფეხბურთი კრიზისშია. აუცილებელია ახალი ნაკრების ჩამოყალიბება და მისთვის ახალი სულის შთაბერვა. დღეს, ეროვნული გუნდის შემყურე, სულისკვეთებას საერთოდ ვერ ვხედავ, მისი წევრები საქმეზე არ ფიქრობენ, ყველას საკუთარი თავი აინტერესებს, რაც ძალიან მაწუხებს“ — უთხრა ვარსკვლავმა სტტ-ის კორესპონდენტს, როდესაც მან გერმანიის ნაკრების აშშ-ის გუნდთან 0:3 დამარცხება გაახსენა.

შემდეგ სიტყვა ფრანც ბეკენბაუერზე ჩამოვარდა, რომელმაც, როგორც „ბაიერნის“ პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კლინსმანს გამოსათხოვარ შეხვედრაზე უარი უთხრა.

„ჩემთვის უცნობია, რატომ არ ისურვა ბეკენბაუერმა ჩემთვის გამოსათხოვარი შეხვედრის დანიშვნა. ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად ვკითხავ. მისმა უარმა ხომ ძალიან დამწყვიტა გული“ — იყო პასუხი.

**EURO 2000**

### I ჯგუფი. შვეიცარია - უელსი

უელსის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — პოლ ჯონსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), დარენ უორდი (ნოთს ქაუნთი, ინგლისი), მარკ კროსლი (ნოტინგემი, ინგლისი); მცველები: ჯონ რობინსონი (ჩარლტონი, ინგლისი), სტივ ჯენკინსი (ჰადერსფილდი, ინგლისი), დარენ ბერნარდი (ბარნსლი, ინგლისი), პოლ ტროლოპი, კიტ საიმონსი, კრის კოულმანი (ფულემი, ინგლისი), ენდი მელვილი (სანდერლენდი, ინგლისი), ადრიან უილიამსი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი); ნახევარმცველები — ენდი ჯონსონი (ნოტინგემი, ინგლისი), რობი სევიჯი (ლესტერი, ინგლისი), გარი სპიდი (ნიუკასლი, ინგლისი), მარკ ჰიუზი (საუთჰემპტონი, ინგლისი), მარკ პემბრიჯი (ბენფიკა, პორტუგალია); თავდამსხმელები — დინ სონდერსი (ბენფიკა, პორტუგალია), ნათან ბლეიკი (ბლექბერნი, ინგლისი), ჯონ ჰარტსონი (უიმბლდონი, ინგლისი), რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), კრეიგ ბელემი (ნორვიჩი, ინგლისი)

**EURO 2000**

### III ჯგუფი. ჩრდ.ირლანდია - გერმანია

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მარკ ტეილორი (ფულემი, ინგლისი), ალან ფეტისი (ბლექბერნი, ინგლისი); მცველები: არონ ჰიუზი (ნიუკასლი, ინგლისი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი, ინგლისი), სტეფან მოროუ, კეიტ როულენდი (ქუინზ პარკი, ინგლისი), დარენ პატერსონი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), კოლინ ჰილი (ნორსჰემპტონი, ინგლისი), კევინ ჰორლოკი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პეტერ კენედი (უოტფორდი, ინგლისი), ბერი ჰანტერი (რედინგი, ინგლისი); ნახევარმცველები — ჯიმ უაიტლი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კიტ გილესპი (ბლექბერნი, ინგლისი), ჯონ მაკართი (ბირმინგემი, ინგლისი), სტეფან ლომასი (ვესტ ჰემი, ინგლისი), დენი სონერი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), ნილ ლენონი (ლესტერი, ინგლისი), მაიკლ ჰიუზი (უიმბლდონი, ინგლისი); თავდამსხმელები — იან დოუი (ქუინზ პარკი, ინგლისი), ჯეიმს კინი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), სტეფან რობინსონი (ბორნმუტი, ინგლისი)

**EURO 2000**

### IV ჯგუფი. საფრანგეთი - უკრაინა

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), სტეფან პორატო (მარსელი); მცველები — ლორან ბლანი (მარსელი), მარსელ დესაი, ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტე ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა იტალია); ნახევარმცველები — კრისტიან კარემბუ (რეალი, ესპანეთი), ალან ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი), ვიკაშ დორასო (ლიონი), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი); თავდამსხმელები — იური ჯორკაეფი (ინტერი იტალია), ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი), კრისტოფ დიუგარი, რობერტ პირესი (მარსელი), სილვიან ვილტორდი (ბორდო)

**EURO 2000**

### V ჯგუფი. ლუქსემბურგი - შვედეთი

შვედეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მაგნუს კილშტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები — პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), პონტუს კამარკი (ლესტერი, ინგლისი), ტედი ლუკიჩი (ბოლონია, იტალია), როლანდ ნილსონი (ქოვენთრი, ინგლისი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი); ნახევარმცველები — ნიკლას ალექსანდერსონი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), იესპერ ბლომკვისტი (მანჩესტერი, ინგლისი), ფრედრიკ ლუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), იოჰან მიოლბუ (სელტიკი, შოტლანდია), სტეფან შვარცი (ვალენსია, ესპანეთი), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია); თავდამსხმელები — ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია)

**EURO 2000**

### VIII ჯგუფი. მაკედონია - ირლანდია

ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), ალან კელი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი); მცველები — დენის ირვინი (მანჩესტერი, ინგლისი), სტეფან კარი (ტოტენჰემი, ინგლისი), იან ჰარტე (ლიდსი, ინგლისი), სტივ სტონტონი, ფილ ბები (ლივერპული, ინგლისი), კენი კანინგემი (უიმბლდონი, ინგლისი), გარი ბრინი (ქოვენთრი, ინგლისი), ლი კერსლი (დერბი, ინგლისი); ნახევარმცველები — როი კინი (მანჩესტერი, ინგლისი), ჯეისონ მაკატირი (ბლექბერნი, ინგლისი), მარკ კინსელა (ჩარლტონი, ინგლისი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი, ინგლისი), კეიტ ონილი (ნორვიჩი, ინგლისი); თავდამსხმელები — ნილ ქუინი (სანდერლენდი, ინგლისი), ტონი კასკარინო (ნანსი, საფრანგეთი), რობი კინი, დევიდ კონოლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნი, ინგლისი)

**EURO 2000**

### VIII ჯგუფი. იუგოსლავია - ხორვატია

ხორვატიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დრაჟენ ლადიჩი (კროაცია), მარიან მრმიჩი (ვარტექსი), ზელიკო პავლოვიჩი (ლასკი, ავსტრია); მცველები — იგორ შტიმაცი (დერბი, ინგლისი), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალია), მარიო ტოკიჩი, იგორ ბისკანი (კროაცია), დამირ მილინოვიჩი (რიეკა, იუგოსლავია); ნახევარმცველები — დანიელ სარიჩი, მარიო ცვიტანოვიჩი, კრუნოსლავ იურჩიჩი (კროაცია), სილვიო მარიჩი (ნიუკასლი, ინგლისი), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), რობერტ იარნი (რეალი, ესპანეთი), მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია); თავდამსხმელები — დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), იგორ ცვიტანოვიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), მილან რაპაიჩი (პერუჯა, იტალია)

**EURO 2000**

### IX ჯგუფი. ჩეხეთი - ლიტვა

ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ტომას პოსტულკა (სპარტა), პაველ სრნიჩეკი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი); მცველები — მიხალ ჰორნაკი, ტომაშ ვოტავა (სპარტა), კარელ რადა, პიოტრ ვლაჩეკი (სლავია), ტომაშ რეპკა (ფიორენტინა, იტალია), იან სუხოპარეკი (სტრასბური, საფრანგეთი); ნახევარმცველები — მიროსლავ ბარალეკი, მარტინ ჰაშეკი (სპარტა), პატრიკ ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), მარტინ ჩიჟეკი (მიუნხენ 1860, გერმანია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), ირჟინ ნემეცი (შალკე 04, გერმანია), კარელ პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), რადეკ სლონჩიკი (ბანიკი); თავდამსხმელები — იან კოლერი (ლოკერენი, ბელგია), პაველ კუკა (ნიურნბერგი, გერმანია), ვრასტისლავ ლოკვენცი (სპარტა), ვლადიმერ შნიცერი (ლანსი, საფრანგეთი)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ლევერკუზენი — შალკე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ვოლფსბურგი — დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 20.03 | ნიურნბერგი — აინტრახტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბაიერნი — ვერდერი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰერტა — მიუნხენ 1860 | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | დუისბურგი — ფრაიბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | შტუტგარტი — მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ბოხუმი— კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 21.03 | ჰანზა — ჰამბურგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | კოტბუსი — არმინია | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ულმი — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ურდინგენი — ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 21.03 | გიუტერსლო — კიკერსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | დიუსელდორფი — ფიურტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ფორტუნა — ვატენშაიდი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | მაინცი — უნტერჰახინგი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ობერჰაუზენი — კარლსრუე | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 22.03 | ზტ. პაული — კიოლნი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. 30-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | არსენალი — ქოვენთრი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბლექბერნი — უიმბლდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ლიდსი — დერბი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ნოტინგემი — მიდლსბრო | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | საუთჰემპტონი — შეფილდ უენსდეი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ვესტ ჰემი — ნიუკასლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 21.03 | ასტონ ვილა — ჩელსი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | მანჩესტერი — ევერტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. 38-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | ბარნსლი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ბრისტოლი — ბრედფორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ქრიუ — ოქსფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | კრისტალ პალასი — გრიმსბი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ჰადერსფილდი — ბირმინგემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ნორვიჩი — პორტსმუთი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | ქუინზ პარკი — სვინდონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | შეფილდ იუნაიტედი — პორტ ვეილი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სტოკპორტი — ტრანმერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | სანდერლენდი — ბოლტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | უოტფორდი — ბერი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვესტ ბრომვიჩი — იფსვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.03 | ბოლონია — ვიჩენცა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | კალიარი — ემპოლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ფიორენტინა — პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | იუვენტუსი — რომა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ლაციო — ვენეცია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | მილანი — ბარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,8 | 2,9 | 3,2 |
| | პერუჯა — სალერნიტანა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | სამპდორია — ინტერი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | უდინეზე — პარმა | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | ესპანიოლი — ბილბაო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 21.03 | ალავესი — ატლეტიკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | მალიორკა — დეპორტივო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ტენერიფე — ვილიარეალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ოვიედო — ვალიადოლიდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | სოსიედადი — ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | სალამანკა — ბეტისი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ვალენსია — სარაგოსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სელტა — რასინგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | რეალი — ესტრემადურა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. 29-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | სევილია — ბარსელონა B | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კომპოსტელა — ალბასეტე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ლეიდა — ეიბარი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ატლეტიკო B — მალიორკა B | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 21.03 | მალაგა — ლეგანესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | მერიდა — ბადახოსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | რეკრეატივო — ოსასუნა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | ორენსე — ერკულესი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ნუმანსია — ტოლედო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ლოგრონიესი — სპორტინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | რაიო ვალეკანო — ლას პალმასი ($15^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ნანტი — მონაკო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | ბასტია — ნანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 20.03 | ბორდო — სტრასბური | 1,25 | 4.4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ოსერი — პსჟ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | მეცი — ლანსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | მარსელი — ლორიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლე ავრი — ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | მონპელიე — სოშო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | რენი — ტულუზი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ბოავიშტა — სეტუბალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.03 | მარიტიმუ — სპორტინგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | სალგეირუში — პორტუ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 21.03 | ბეირა მარი — რიუ ავე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ფარენსე — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | გიმარაეში — აკადემიკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბრაგა — კამპომაიორენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ალვერკა — შავეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლეირია — ბენფიკა | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ტვენტე — ნაიმეგენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.03 | კამბური — მაასტრიხტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ალკმაარი — სიტარდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰერენვენი — გრააფსხაპი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 21.03 | აიაქსი — ვიტესი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| | სპარტა — ეინდჰოვენი | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| | უტრეხტი — ბრედა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ტილბურგი — ფეიენოორდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | სტანდარდი — ბრიუგე | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| 20.03 | ოსტენტე — ეკერენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლიერსი — სენტ ტრუიდენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ლოკერენი — ლომელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | გენკი — მუსკრონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | გენტი — ვესტერლო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 21.03 | ჰარელბეკი — ანდერლეხტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | აალსტი — შარლერუა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | კორტრაიკი — ბევერენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. მე-19 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | პოგონი — ვიძევი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | გურნიკი — ოდრა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლკს — პოლონია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | რუხი — ზაგლებე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ვისლა — სტომილი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ბელხატოვი — ლეხი | 3;1 | 2,8 | 2,2 |
| | ლეგია — რაძიონკოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კატოვიცე — ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### თურქეთის ჩემპიონატი. 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | გალათასარაი — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 20.03 | ანკარაგიუჯიუ — ისთანბული ($15^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ქარაბუქი — სამსუნი ($15^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | გაზიანთეფი — ბურსა ($15^{30}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | საქარია — ფენერბაჰჩე ($15^{30}$) | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| | ტრაბზონი — გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 21.03 | დარდანელი — ალთაი ($15^{30}$) | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| | ანთალია — ქოჯაელი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ბეშიქთაში — ერზურუმი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | დანდი — ჰართსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | დანფერმლაინი — სტ. ჯონსტონი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | მოზერველი — აბერდინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.03 | კილმარნოკი — სელტიკი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ზალცბურგი — ლინცერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 20.03 | ტიროლი — ლუსტენაუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | გრაცერი — აუსტრია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | შტაირი — რიდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 21.03 | რაპიდი — შტურმი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | სენტ გალენი — ლუცერნი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ლოზანა — ქსამაქსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 21.03 | ბაზელი — ციურიხი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | გრასჰოპერი — სერვეტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ინგლისის ლიგის თასის ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.03 | ლესტერი — ტოტენჰემი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-23) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (26-ე) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (27-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი (27-ე) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (26-ე) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (27-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პოლონეთი (მე-19) | 19 და ნაკლები | 1,9 | 21 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (25-ე) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | რეინჯერსი — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ტამპა ბეი — დეტროიტი | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| | ვანკუვერი — აილენდერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | დალასი — ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 20.03 | ბოსტონი — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | ტორონტო — ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | მონრეალი — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | პიტსბურგი — ნეშვილი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | სენტ ლუისი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | კოლორადო — ჩიკაგო | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | ედმონტონი — ვანკუვერი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| | ლოს ანჯელესი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 21.03 | რეინჯერსი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფილადელფია — დეტროიტი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | ვაშინგტონი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ჩიკაგო — კოლორადო | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| | კალგარი — აილენდერსი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | დალასი — კაროლინა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ფინიქსი — ლოს ანჯელესი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | ანაჰაიმი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 22.03 | ტორონტო — ფილადელფია | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | მონრეალი — სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | ტამპა ბეი — რეინჯერსი | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| | სენტ ლუისი — კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ედმონტონი — კალგარი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.03 | ფილადელფია — ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | ტორონტო — კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ინდიანა — ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | შარლოტი — იუტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| | ატლანტა — ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | დეტროიტი — დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | დენვერი — მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | პორტლენდი — სან ანტონიო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | გოლდენ სტეიტი — სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 20.03 | ნიუ იორკი — ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ვაშინგტონი — კლივლენდი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | მაიამი — ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ატლანტა — მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | დალასი — საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | ჰიუსტონი — ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ვანკუვერი — სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 21.03 | ორლანდო — ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | დეტროიტი — იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ბოსტონი — ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | ტორონტო — ნიუ იორკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | მინესოტა — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | კლივლენდი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | მილუოკი — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | დენვერი — სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | პორტლენდი — ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 22.03 | ინდიანა — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ნიუ იორკი — ატლანტა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | მილუოკი — დეტროიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | დალასი — ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| | ჰიუსტონი — საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | ფინიქსი — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | სიეტლი — ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |

### რაგბი. ხუთი ერის პირველობა. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.03 | ინგლისი — საფრანგეთი | 1,25 | 6,0 | 4,0 |
| | შოტლანდია — ირლანდია | 1,3 | 6,0 | 3,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

# ფილადელფიის გზა აივერსონზე გადის

17 მარტი

**ფილადელფია 115:110 ინდიანა**

**ფილადელფია: აივერსონი (39), სნოუ (8 ქულა, 8 პასი), ლინჩი (21), რეთლიფი (15), გეიგერი (8); ჰილი (17), მაკკიი, ჰუგსი**

**ინდიანა: ჯექსონი (7 ქულა, 12 პასი), მილერი (27), მულინი (18), დ. დევისი (2), სმიტსი (22); პერკინსი (10), როუზი (8), ა. დევისი (8), კროშერი (8), ჰოიბერგი**

„ფილადელფია 76“ ბოლოს 1992 წელს მოხვდა პლეი ოფში. მაშინ მისი ლიდერი გახლდათ „სერ“ ჩარლზ ბარკლი, რომლის ხანაშიც ფილადელფია მშვენიერი გუნდი იყო. აღმოსავლეთში ერთ-ერთი საუკეთესოც. 1992 წელს ბარკლი ფილადელფიამ ფინიქსს გაუცვალა სამ მოთამაშეში და ამან გუნდი ისე დაასუსტა, პლეი ოფი თვალით არ უნახავს და არც ვინმე ხეირიანი მოთამაშე ჰყოლია.

1996 წლის დრაფტში ფილადელფიამ პირველ ნომრად ალენ აივერსონი აიყვანა და ამით დიდ ბედსაც ეწია. 183-სანტიმეტრიანმა აივერსონმა გუნდი გამოაცოცხლა და პლეი ოფისკენ მიმავალ გზაზე დააყენა.

ფილადელფიას დღესდღეობით ჰყავს ორი გამორჩეული ადამიანი — მწვრთნელი ლარი ბრაუნი, რომელიც 1993-97 წლებში ინდიანას წვრთნიდა და გუნდი ორჯერ გაიყვანა აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში და გუნდის ახალგაზრდა ლიდერი, ერთადერთი სუპერვარსკვლავი ალენ აივერსონი, ვინც ლიგაში თავის მესამე და ყველაზე გამორჩეულ სეზონს ატარებს, თან ლიგის ბომბარდირთა სიის სათავეშიც ღირსეულად გამოჭიმულა. ლარი ბრაუნმა აივერსონის გარშემო მშვენიერი გუნდი შეკრა და ამ ოთხშაბათს მისი დღევანდელი შეგირდები მის ძველ გუნდს დაუპირისპირდნენ. ფილადელფიას ინდიანასთვის მას აქეთ არ მოეგო, რაც ბრაუნი თავკაცობს და, ბუნებრივია, ნავსის გატეხვასაც შეეცდებოდა. შეძლო კიდეც, მძიმე ბრძოლაში დაამარცხა აღმოსავლეთში ალბათ, საუკეთესო გუნდი. მატჩის გმირი კი, რა თქმა უნდა, აივერსონი გახდა.

მატჩი თავიდან ბოლომდე უკიდურესად დაძაბულად მიმდინარეობდა. ბოლო მეოთხედის დასაწყისში კი უფრო რეჯი მილერის ინდიანამ იმძლავრა და 91:83 გავიდა წინ, მაგრამ აივერსონის თავგამოდებამ თანაგუნდელები აიყოლა და მასპინძლები 92:91 დაწინაურდნენ, შემდეგ თანდათან გაზარდეს სხვაობა.

ინდიანელთაგან მდგომარეობის გამოსწორებას ისევ სნაიპერი რეჯი მილერი შეეცადა და მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე სამქულიანით 112:110 გახადა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ მისი მავანი თანაგუნდელი ერიკ სნოუზე დაჯარიმდა და მანაც ორი საჯარიმოთი მატჩის ბედი გადაწყვიტა. „ჩვენ ჩვენ გზაზე ვართ — ამბობდა აივერსონი — და მივაღწევთ კიდეც ჩვენსას“.

**ბოსტონი 118:84 კლიპერსი**

**ბოსტონი: ანდერსონი (21)**

**კლიპერსი: ოლოვოკანდი (17)**

მას შემდეგ, რაც ბოსტონმა ზედიზედ 17 მარცხის შემდეგ სეზონში პირველი და უკანასკნელი მატჩი მოიგო საკრამენტოსთან, იგი ისევ იმ ძველ კლიპერსს დაემსგავსა, ვისთვისაც მოგება მიუწვდომელ ოცნებად ექცა. ლიგის ყველაზე უსუსური გუნდი მოგებას კი არა, წინააღმდეგობასაც ვერავის უწევს და უმეტესწილად მატჩის დასაწყისშივე მარცხდება. ასე იყო ახლაც. მასპინძელმა ბოსტონმა, გახალისებულმა იმით, რომ მისმა ახალბედამ პოლ პირსმა ტრავმა მოიშუშა, პირველივე ნახევარში გაანადგურა მეტოქე და არც მერე დააკლო ხელი.

**დეტროიტი 101:103 ტორონტო**

**დეტროიტი: დელი (23)**

**ტორონტო: კარტერი (28)**

სეზონის წინ სპეციალისტთა პროგნოზის მიხედვით ტორონტო აღმოსავლეთის ყველაზე სუსტი გუნდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან ეს აზრი არად ჩააგდო და 21 თამაშიდან 9 მოიგო. დეტროიტში გამარჯვება კი გუნდს, ალბათ, პატარა გმირობაში ჩაეთვლება. მით უმეტეს, რომ მისი ლიდერი, მხცოვანი კევინ ვილისი მხარის ტკივილს შეუწუხებია და კვირაზე მეტია, თავისიანებს ვერაფრით ეხმარება. სამაგიეროდ, კანადურ გუნდს ჰყავს ახალბედა ვინს კარტერი, რომელიც წლის ახალბედას ტიტულის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ამჯერადაც მან იმარჯვა. ბოლო მეოთხედში მთელი 17 ქულა გააკეთა, რითაც მისმა გუნდმა ამ პერიოდში 11-ქულიანი სხვაობა გაქვითა.

**ორლანდო 103:94 ჩიკაგო**

**ორლანდო: არმსტრონგი (23), ანდერსონი (21)**

**ჩიკაგო: ბრაუნი (20)**

სეზონში ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო ჩიკაგოელმა რენდი ბრაუნმა, მაგრამ ორლანდოელმა დარელ არმსტრონგმაც იგივე გააკეთა და ორლანდოს საკმაო უპირატესობით მოაგებინა. ეს მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ჩიკაგო 88:87 იყო წინ.

**ატლანტა 85:86 მაიამი**

**ატლანტა: სმიტი (22)**

**მაიამი: ჰარდევეი (24)**

სამხრეთულ ატლანტაში კიდევ უფრო სამხრეთიდან ნაწვევი მაიამი მატჩის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე 84:74 იგებდა, მერე გული დაიარხეინა და ლამის დაისაჯა კიდეც. ჯორჯიელებმა სხვაობა შეამცირეს და ზედიზედ მეხუთე თამაშს მოიგებდნენ, მათ გამთამაშებელ მუკი ბლეილოკს (16 ქულა, 6 პასი) სირენასთან ერთად ნასროლი ბურთი რომ ჩაეგდო.

**დენვერი 109:114 ჰიუსტონი**

**დენვერი: ბილაფსი (22), მაკდაიესი (17 ქულა, 13 მოხსნა)**

**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (26), ჰარინგტონი (23)**

დენვერს ძალიან კი უნდოდა ორგზის ჩემპიონთა შინ დამარცხება და საამისოდ ბევრსაც წვალობდა, მაგრამ ჰიუსტონმა თავისი ბებერი ცენტრის ჰაკიმ ოლაჯუონის მეთაურობით კოლორადოელებს თავიანთსავე დარბაზ „მაკნიკოლს არენაში“ ზედიზედ მეხუთედ მოუგო.

**ნიუ ჯერსი 88:87 დალასი**

**ნიუ ჯერსი: მარბერი (29), ვან ჰორნი (19 ქულა, 10 მოხსნა)**

**დალასი: ტრენტი (21 ქულა, 16 მოხსნა), ფინლი (21)**

შარშან „ნიუ ჯერსი ნეთსის“ არ გაუჭირდებოდა დალასისნაირი გუნდის შინ დამარცხება, ახლა გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო მეტოქის ძლევა და ამით შეწყვიტა რვამატჩიანი წაგებების სერია, რაშიც ძალიან დაეხმარა მინესოტადან სემ კასელის ნაცვლად მოსული სტივენ მარბერი. მან ახალ გუნდში პირველი საშინაო მატჩი ჩაატარა და თავი არ შეირცხვინა: მატჩის დამთავრებამდე 57 წამით ადრე თავისიანები 86:85 გაიყვანა წინ. დალასელი გარი ტრენტის ორ ქულას კი ნიუ ჯერსიმ კერი კიტლზის ორი საჯარიმოთი უპასუხა მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე.

**შარლოტი 119:111 ფინიქსი**

**შარლოტი: ჯონსი (29), ფილზი (24)**

**ფინიქსი: ჩეპმენი (25), რობინსონი (19 ქულა, 11 მოხსნა)**

ისევე როგორც ლეიკერსს, შარლოტსაც წაადგა გაცვლა, რომლის შედეგადაც რაისმა, რიდმა და არმსტრონგმა ლეიკერსის მაისური მოირგეს, სანაცვლოდ კი შარლოტმა ოლსტარელი ედი ჯონსი და ელდენ კემპბელი მიიღო. ფინიქსთან ყოფილმა ლეიკერსელებმა პირველად ითამაშეს თავიანთი ახალი გუნდის გულშემატკივართა წინაშე და თავი არც ერთს არ შეურცხვენია — ჯონსმა სეზონში ყველაზე მეტი ქულა ჩაუგდო მეტოქეს ცენტრმა, კემპბელმა კი 14 ქულას მისთვის კარიერაში სარეკორდო 19 მოხსნაც დაურთო.

**გოლდენ სტ. 78:82 სან ანტონიო**

**გოლდენ სტეიტი: კოულზი (20)**

**სან ანტონიო: დანკანი (17 ქულა, 17 მოხსნა)**

სან ანტონიო რომ აღმავლობის გზაზეა, ეს ამ მატჩმაც დაამტკიცა — ტეხასელებს უკვე ბოლო ცხრა თამაში არ წაუგიათ. თუმცა ამ მატჩში ახლოს იყვნენ მარცხთან. თავისზე გაცილებით სუსტ გუნდთან ასე მცირე სხვაობით მოგება იმანაც განაპირობა, რომ ერთ დროს მსოფლიოს პირველ ცენტრად მიჩნეულმა დევიდ რობინსონმა, რომელიც კარიერში საშუალოდ 25 ქულაზე მეტს აკეთებს, 10-წლიან კარიერაში ყველაზე ცოტა, სამი ქულა გააკეთა.

**ირაკლი ფირაშვილი**




ნიუ ჯერსი — დალასი. დირკ ნოვიცკი (მარცხნივ) და ჰუბერტ დევისი (№24) ნიუჯერსელ სტივენ მარბერის ბურთს აკარგვინებენ

REUTERS-ის ფოტო

## ლიგის ლიდერები

17 მარტის ჩათვლით

| | თ | რ-ბა | საშ. |
|---|---|---|---|
| **ქულა** | | | |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 22 | 630 | 28,6 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 23 | 616 | 26,8 |
| შარიფ აბდურ რაჰიმი (ვანკუვერი) | 23 | 540 | 23,5 |
| კარლ მელოუნი (იუტა) | 22 | 518 | 23,5 |
| გერი პეიტონი (სიეტლი) | 21 | 472 | 22,5 |
| გრანტ ჰილი (დეტროიტი) | 23 | 509 | 22,1 |
| ანტონიო მაკდაიესი (დენვერი) | 23 | 492 | 21,4 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23 | 488 | 21,2 |
| ანტუან ვოლკერი (ბოსტონი) | 20 | 421 | 21,1 |
| კიტ ვან ჰორნი (ნიუ ჯერსი) | 22 | 463 | 21,0 |
| ალონზო მურნინგი (მაიამი) | 23 | 474 | 20,6 |
| შონ კემპი (კლივლენდი) | 20 | 410 | 20,5 |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 24 | 488 | 20,2 |
| მიჩ რიჩმონდი (ვაშინგტონი) | 22 | 444 | 20,2 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 23 | 460 | 20,0 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 24 | 469 | 19,5 |
| ტონი კუკოჩი (ჩიკაგო) | 22 | 429 | 19,5 |
| ჯუონ ჰოვარდი (ვაშინგტონი) | 22 | 420 | 19,1 |
| ტიმ ჰარდევეი (მაიამი) | 22 | 413 | 18,8 |
| სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) | 21 | 391 | 18,6 |
| **მოხსნა** | | | |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 24 | 312 | 13,0 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23 | 274 | 11,9 |
| ჯეისონ ვილიამსი (ნიუ ჯერსი) | 22 | 250 | 11,4 |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | 23 | 557 | 11,2 |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | 23 | 257 | 11,2 |
| ბრაიან გრანტი (პორტლენდი) | 22 | 236 | 10,7 |
| დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 23 | 244 | 10,6 |
| ალონზო მურნინგი (მაიამი) | 23 | 242 | 10,5 |
| ანტონიო მაკდაიესი (დენვერი) | 23 | 240 | 10,4 |
| ვლადე დივაცი (საკრამენტო) | 24 | 233 | 9,7 |

| | თ | რ-ბა | საშ. |
|---|---|---|---|
| **პასი** | | | |
| ჯეისონ კიდი (ფინიქსი) | 23 | 268 | 11,7 |
| როდ სტრიკლენდი (ვაშინგტონი) | 16 | 158 | 9,9 |
| სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) | 21 | 182 | 8,7 |
| გერი პეიტონი (სიეტლი) | 21 | 177 | 8,4 |
| მარკ ჯექსონი (ინდიანა) | 22 | 181 | 8,2 |
| ტიმ ჰარდევეი (მაიამი) | 22 | 173 | 7,9 |
| აივერი ჯონსონი (სან ანტონიო) | 23 | 172 | 7,9 |
| ბრევინ ნაითი (კლივლენდი) | 18 | 132 | 7,3 |
| ჯონ სტოქტონი (იუტა) | 22 | 158 | 7,2 |
| დეიმონ სტუდემაიერი (პორტლენდი) | 22 | 153 | 7,0 |
| **ჩაჭრა** | | | |
| ჯორჯ ლინჩი (ფილადელფია) | 22 | 59 | 2,68 |
| დუგ კრისტი (ტორონტო) | 21 | 56 | 2,67 |
| ალენ აივერსონი (ფილადელფია) | 22 | 56 | 2,55 |
| მუკი ბლეილოკი (ატლანტა) | 23 | 54 | 2,35 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 18 | 42 | 2,33 |
| ბრევინ ნაითი (კლივლენდი) | 18 | 41 | 2,28 |
| დარელ არმსტრონგი (ორლანდო) | 24 | 50 | 2,08 |
| ანფერნი ჰარდევეი (ორლანდო) | 24 | 50 | 2,08 |
| გერი პეიტონი (სიეტლი) | 21 | 43 | 2,05 |
| ერიკ სნოუ (ფილადელფია) | 22 | 45 | 2,05 |
| **დაფარება** | | | |
| ალონზო მურნინგი (მაიამი) | 23 | 83 | 3,61 |
| შონ ბრედლი (დალასი) | 24 | 83 | 3,46 |
| პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი) | 18 | 59 | 3,28 |
| თეო რეთლიფი (ფილადელფია) | 22 | 70 | 3,18 |
| დიკემბე მუტომბო (ატლანტა) | 23 | 65 | 2,83 |
| დევიდ რობინსონი (სან ანტონიო) | 23 | 61 | 2,65 |
| კრის ვებერი (საკრამენტო) | 24 | 61 | 2,54 |
| ანტონიო მაკდაიესი (დენვერი) | 23 | 57 | 2,48 |
| გრეგ ოსტერტაგი (იუტა) | 20 | 46 | 2,30 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 23 | 52 | 2,26 |

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 18 | 5 | 78,3 |
| ორლანდო | 17 | 7 | 70,8 |
| ნიუ იორკი | 14 | 9 | 60,9 |
| ფილადელფია | 13 | 9 | 59,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 13 | 40,9 |
| ბოსტონი | 8 | 12 | 40,0 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 18 | 18,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 15 | 7 | 68,2 |
| მილუოკი | 12 | 9 | 57,1 |
| ატლანტა | 13 | 10 | 56,5 |
| დეტროიტი | 12 | 11 | 52,2 |
| კლივლენდი | 10 | 10 | 50,0 |
| ტორონტო | 9 | 12 | 42,9 |
| შარლოტი | 7 | 14 | 33,3 |
| ჩიკაგო | 6 | 16 | 27,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 18 | 4 | 81,8 |
| სან ანტონიო | 15 | 8 | 65,2 |
| ჰიუსტონი | 15 | 9 | 62,5 |
| მინესოტა | 13 | 10 | 56,5 |
| დალასი | 8 | 16 | 33,3 |
| დენვერი | 6 | 17 | 26,1 |
| ვანკუვერი | 4 | 19 | 17,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 17 | 5 | 77,3 |
| ლეიკერსი | 17 | 7 | 70,8 |
| სიეტლი | 12 | 9 | 57,1 |
| ფინიქსი | 12 | 11 | 52,2 |
| საკრამენტო | 11 | 13 | 45,8 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 14 | 39,1 |
| კლიპერსი | 1 | 21 | 0,45 |

# გურუ, დედის რძე და ფორთოხლები

AP ინდიან უელსიდან



პატი შნიდერი (მარჯვნივ) და მისი გურუ რაინერ ჰარნეკერი

ეᲜᲐᲓ გაკრეფილ თინეიჯერთა და ლვაწლმოსილ ვეტერანთა მიერ ოკუპირებულ ქალთა ჩოგბურთში კაცს ძნელად თუ გააკვირვებ: 20 წლის შვეიცარიელმა პატი შნიდერმა შარშან ხუთი ტურნირი მოიგო, საუკეთესოთა ათეულში შეაღწია და WTA ტურის „ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის" ჯილდოსაც დაეპატრონა, მაგრამ ამან ლამის ყველასათვის შეუმჩნევლად ჩაიარა.

„პატი ყოველთვის უბრალო, ნორმალური გოგო იყო" — ამბობს ავსტრიელი ბარბარა შეტი, შნიდერის მუდმივი მეწყვილე. იყოო, შემთხვევით არ გვითქვამს — შვეიცარიის ნომერ მეორე ჩოგანი გაგრია გოგოს იმიჯს საბოლოოდ გამოემშვიდობა და აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, მშობლიურ თუ უცხოურ მასმედიას დიდი სალაპარაკოც გაუჩინა.

ყველაფერი შარშანდელი ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს დაიწყო, როდესაც შნიდერმა 42 წლის გერმანელი რაინერ ჰარნეკერი გაიცნო. კაცი, რომელიც საკუთარ თავს „უჯრედების წარმოების მეცნიერსა და რაციონალურ ადამიანს" უწოდებს, თუმცა უმეტესობა უბრალო „აფერისტად" მოიხსენიებს.

ჰარნეკერი ფრიად გამოუცნობი პიროვნებაა: გერმანულ ქალაქ კაუფბოირენში ჯანმრთელობის ცენტრ „ვია სოლას" (ერთადერთი გზა) თავკაცობს და ამტკიცებს, რომ დიეტითა და ბალახბულახებით სპიდისა და კიბოსგან განკურნება შეუძლია. თუ ჰაინეკერს ვენდობით (რასაც არავინ გირჩევთ), მისი სამსახურით ჩოგბურთელ ქალთა დიდი ნაწილია დაინტერესებული და ერთხელ თვით შტეფი გრაფთან მუშაობაზეც კი თქვა უარი („არასოდეს მსმენია ამ კაცზე" — ამბობს გრაფი).

სამაგიეროდ, გერმანელ გურუზე ბევრი სმენიათ თანამემამულე პოლიციელებს, რომლებიც მის მიერ ალტერნატიული მედიცინის წესების დარღვევას იძიებენ. ცალკე საუბრის თემაა ჰარნეკერის დიეტა. იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ ფორთოხლის წვენისგან შედგება, რომელიც თურმე „დედის რძესავით მარგებელი" ყოფილა.

იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე შნიდერი და 21 წლის სილვია პლიჩკე თამაშისგან თითქმის ყოველ თავისუფალ საათს მოძღვრის კომპანიაში ატარებდნენ. ჰარნეკერი გვიან ღამემდე რჩებოდა მათთან სასტუმროს ოთახში, სადაც თავის თეორიებში ანათლებდა მოწაფეებს. „იგი სტიმულს მართლაც გაძლევს — იხსენებს პლიჩკე, რომელმაც გერმანელთან მალე გაწყვიტა ურთიერთობა, მისი ზედმეტი ზეგავლენის ქვეშ არ მოვექცეო — იგი არ გაიძულებს, რაიმე გააკეთო, მაგრამ კარგად მანიპულირებს შენით".

ქალიშვილის გონს მოსაყვანად ვილი შნიდერი მელბურნშიც კი ჩაფრინდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და მამამაც უფრო მკაცრ ზომებს მიმართა. „იგი ჩემი პატი აღარ არის. ვუთხარი, რომ შინ მობრუნება საჭირო აღარ იყო — განუცხადა ციურიხის გაზეთ „ბლიკს" უფროსმა შნიდერმა — მე და აირისი (დედა) მას ჰარნეკერის დათხოვნამდე აღარ მივიღებთ".

ამასობაში კი სხვისმა პატიმ სულ გაილაღა: ჯერ იყო და შვეიცარიაში მობრუნებულმა მწვრთნელი ერიკ ვან ჰარპენი დაითხოვა, მერე კი დიდი ხნის „ბოიფრენდ" პიოტრ ჩუდინსაც დაემშვიდობა.

„პატი ძალიან შეიცვალა. ბევრი ჩოგბურთელი შეწუხებულია, რომ საქმე ძალიან სერიოზულადაა" — არ დაუმალავს ბარბარა შეტს. ცეცხლზე ნავთი კულტების შვეიცარიელმა ექსპერმა ჰუგო სტამმაც გადაასხა: „ეს სიყვარულზე მეტია. პატი ჰარნეკერისადმი დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ამიტომ ყველასთან და ყველაფერთან წყვეტს კავშირს." არადა, ჯერჯერობით WTA-ის თავკაცებიც ვერ ერევიან საქმეში, რადგან ჰაინეკერს ფორმალურად მწვრთნელის ქცევის არც ერთი წესი არ დაურღვევია.

თავად შნიდერს კი მომრავლებული მრჩევლების გაგონებაც არ სურს: „დროა, შეწყდეს კამათი. ყველამ თავი დამანებოს, ეს გაწამაწია ჩემს თამაშს ვნებს. ოჯახთან შერიგება ძალიან მსურს, მაგრამ ჩემმა მშობლებმა რაინერ ჰარნეკერს საკუთარი აზრის გამოთქმა უნდა დაანებონ. ჩვენ შესანიშნავად გვესმის ერთმანეთის. მჯერა, მასთან ურთიერთობა ძალიან წამადგება."

ჯერჯერობით კი შნიდერი აგრძელებს კლასიფიკაციაში სტაბილურად უკანსვლას (მერვედან მეთორმეტეზე) და ყოველდღიურად ორი-სამი ლიტრი ფორთოხლის წვენით გაჭყეპას.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

# ინტერვიუ მეგობრობის ღირსთვის

**— რა თვისებები უნდა ჰქონდეს იდეალურ მეგობარს?**

— იგი უნდა იყოს მომთმენი, პატიოსანი, ცელქი. გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს.

**— რას ინატრებდი მხოლოდ ერთი დღით?**

— მთვარეზე გაფრენას. ამაზე ბავშვობიდან ვოცნებობ.

**— ყველაზე მეტად ვისთან შეხვედრა გსურს?**

— ბრედ პიტთან. ვფიქრობ, იგი შესანიშნავი მსახიობია. მინდა, გავიცნო და ცხოვრების აქეთურ-იქეთურზე ვესაუბრო.

**— ცხოვრებაში ერთადერთი ფილმის ხელმეორედ ნახვა რომ შეგეძლოს, რომელს ამჯობინებდი?**

— ო, ეს ძნელი სათქმელია. ბოლო ხანებში ძალიან მომეწონა „სახის გარეშე" (ტრავოლტა და ქეიჯი) და „ტიტანიკი". ისინი ძალიან განსხვავდებიან, მაგრამ მაინც... ზოგჯერ ფილმი დიდ ზეგავლენას ახდენს ჩემზე, როგორც, მაგალითად, „უკეთესი არ შეიძლება" (ჯეკ ნიკოლსონი). იგი გეხმარება, ცხოვრების კარგი მხარეები დაინახო.

**— წვეულებას რომელ ადგილზე მოაწყობდი?**

— კუნძულზე, სადაც არც სახლი იქნებოდა და არც სასტუმრო. მთელ დღეს გარეთ გავატარებდით.

**— საკუთარი სახლის ფანჯრიდან როგორ ხედს ისურვებდი?**

— შვეიცარიაში ძალიან მიყვარს მთები, თუმცა არც ზღვას დავიწყებდი. მოდით, ასე ვთქვათ, ერთი ფანჯრიდან მთა იყოს, მეორედან — ზღვა.

**— რომელი ადგილის მონახულებაზე ოცნებობ ყველაზე მეტად?**

— სამხრეთ აფრიკის ან კარიბის კუნძულების. იქ არასოდეს ვყოფილვარ.

**— რაც კი გაგაჩნია, ყველაფერი რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის რომ გქონდეს მისაცემი, რომელს გამოყოფდი?**

— UNICEF-ს.

**— შენს ავტობიოგრაფიას რას დაარქმევდი?**

— გერმანულად კარგად გიპასუხებდით, ასე კი სათაური კარგად არ ითარგმნება. დაახლოებით ასეა — „იღბლიანი კარიერა ისევ გრძელდება".

**— შენს დაბადების დღეზე რომელ მომღერალს ან ჯგუფს მოიწვევდი?**

— ელტონ ჯონს.

**— შენი ცხოვრების ერთი დღის განმეორება რომ შეგეძლოს, რომელს აირჩევდი?**

— იმ დღეს, როდესაც ჰანოვერის ტურნირის ფინალში ნოვოტნა დავამარცხე.

**— ერთ დღეს რომ გაიღვიძო და აღმოაჩინო, რომ ყველა გაზეთის წინა გვერდები შენი სახელითაა აჭრელებული, რა გინდა, მათში ეწეროს?**

— ის, რომ დიდი სლემი მოვიგე.

**— რისი გეშინია ყველაზე მეტად?**

— ისეთი ტრავმა არ მივიღო, რომლის შემდეგაც ჩოგბურთს ვერასოდეს ვითამაშებ.

**— შენი ქვეყნის მეთაურად რომ აგირჩიონ, პირველად რას გააკეთებდი?**

— ყველას სამსახურით უზრუნველვყოფდი, უმუშევრობას მოვსპობდი.

სარედაქციო არქივიდან



**ᲞᲐᲢᲘ ᲨᲜᲘᲓᲔᲠᲘ**

დაიბადა 1978 წლის 14 დეკემბერს

დაბადების ადგილი: ბაზელი, შვეიცარია.

ცხოვრობს: ბოტმინგენში, შვეიცარია.

სიმაღლე: 168 სმ.

წონა: 57 კგ.

პროფესიონალი — 1994-დან

კარიერის საპრიზოები: 1 705 275 დოლარი



შოტლანდიელი გარი არმსტრონგი (ბურთით) ისევ ნაკრებშია

# მამლებს სისხლი გადაუსხეს

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჟან-კლოდ სკრელას ხუთი ერის მეოთხე ტურში ინგლისელებთან თვიქნემში დაპირისპირების წინ დიდი საფიქრალი გასჩენია. საქმე ისაა, რომ „სტად დე ფრანსზე" უელსელებთან მატჩში, რომელშიც „მამლები" 33:34 დამარცხდნენ, მასპინძლები დაცვაში ისე ვერ გამოიყურებოდნენ, პირველობის ბოლო ორი წლის გამარჯვებულს რომ ეკადრება, ამიტომაც სკრელამ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოახდინა. მან გუნდიდან დაითხოვა ვეტერანი ფილიპ ბენეტონი, მარკ რეინო, ფილიპ ბერნა-სალი, რიშარ დურთი და მარკ დალ მაზო. მათ ნაცვლად მწვრთნელმა გუნდში კრისტოფ დომინიკის, ოლივიე მანის (მან ტრავმის გამო გამოტოვა უელსებელთან შეხვედრა), მარკ დე რუჟემონს, კრისტოთ ჟუიესა და პასკალ ჟიორდანის უხმო. „ჟიორდანი და ჟიუე ახალი სისხლია ნაკრებისთვის. ვფიქრობ, ისინი გუნდს დიდად წაადგებიან. ახლა ინგლისელებთან ორთაბრძოლის წინ გაცილებით ნაკლებ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობთ, რადგან უელსთან დამარცხებამ „დიდი სლემის" მოგების შანსი მოგვისპო, ამიტომ თვიქნემში გავიმარჯვებთ" — ეს „მამალთა" თავკაცის, ჟან-კლოდ სკრელას სიტყვებია, რომლებიც მან თანამემამულე ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა. ფრანგების საინგლისო შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

ორადუ, ბრუზე, კალიფანუ, კასტელი, იბანესი, ჟუიე, ტ. ლიევრემონი, მანი, მარკონე, პელუ, დე რუჟემონი, ტურნერი, ოკანი, კარბონო, კასტანიედი, კომბა, დომინიკი, გარბაჟოზა, ჟიორდანი, ლასიუკი, ლამბარი, ნტამაკი.

ფაქტობრივად, წლევანდელი გათამაშების გამარჯვებულს ინგლის-საფრანგეთის შეხვედრა გამოავლენს. ეს ორივე გუნდის მწვრთნელმა კარგად უწყის და შესაბამისადაც ამზადებენ შეგირდებს საამმატჩოდ. ზემოთ ფრანგთა გუნდის მზადებასა და შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებზე გამცნეთ. ახლა ინგლისელებზეც ვთქვათ.

ალბიონელებმა „მამლების" წინააღმდეგ მატჩისთვის გუნდში მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელეს — პოლ გრეისონის ნაცვლად ნაკრებში მაიკ ქეტი დააბრუნეს, რომლისთვისაც ფრანგებთან მატჩი 33-ე იქნება სანაკრებო კარიერაში. ეს გრეისონის საზარდულის ტრავმამ განაპირობა. სხვა ცვლილებებისგან მან თავი შეიკავა და მართალიც არის. ბიჭებმა ხომ ჯერ შოტლანდიას, მერე კი ირლანდიას სძლიეს. ინგლისელებს ზედიზედ ოთხი მატჩია, ფრანგებისთვის ვერ მოუგიათ და ახლა დიდი იმედი აქვთ, რომ ბოლოდროინდელ უსიამოვნო ტრადიციას დაარღვევენ. საამისოდ ნაკრების მწვრთნელმა გუნდში შემდეგ მობურთალებს უხმო: პერი, რისი, გასკოტი, ვილკინსონი, ლაგერი, ბრაქენი, ქეტი, დალალიო, ბექი, ჰილი, როდბერი, ჯონსონი, გერფორსი, კოკრილი, ლენარდი, ბელი, მათერი, დოუსონი, კორი, არჩერი, უბოგუ, მაკარტი.

ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირების გარდა შაბათს პირველობის კიდევ ერთი მატჩი გაიმართება — შოტლანდია ირლანდიას უმასპინძლებს. ამ შეხვედრისთვის სკოტებს მათი კაპიტანი გარი არმსტრონგი დაუბრუნდებათ, რომელსაც ორი კვირის წინ იტალიელებთან პაექრობა იდაყვის ტრავმამ გამოატოვებინა. ბუნებრივია, არმსტრონგის დაბრუნებას ერთ-ერთი მოთამაშე ძირითადი შემადგენლობიდან სათადარიგოებში უნდა გადაესროლა, ასეთი ბედი კი მეთიუ პრუდფუტს ეწია. სამხრეთ აფრიკაში დაბადებული პრუდფუტის გარდა სათადარიგოებში გადასვლა პოლ ბარნელსაც ემუქრებოდა, მაგრამ შოტლანდიელთა თავკაცმა ჯიმ ტელფერმა ამგვარად გადაწყვიტა. „პოლი დღესდღეობით საუკეთესო ფორმაშია, ამიტომაც ვამჯობინე პრუდფუტს, რომელსაც გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში, ვიდრე ამას ახლა აკეთებს" — განუცხადა ტელფერმა მას-მედიის წარმომადგენლებს. თავად მობურთალი სანახევროდ ეთანხმება მწვრთნელს: „ჯიმი მართალია. მე უკეთ შემიძლია თამაში და დღესდღეობით საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ერთი ხელის მოსმით ამომაგდონ ძირითადი შემადგენლობიდან. ამას თვითონ მწვრთნელიც მიხვდება უახლოეს მომავალში". უახლოეს მომავალში პრუდფუტი, ალბათ, ირლანდიასთან მატჩს გულისხმობდა, რომელსაც ტელფერიც შიშიც ელის. საქმე ისაა, რომ ინგლისელებთან და უელსელებთან შეხვედრის მერე სკოტებმა, იტალიასთან გამარჯვების მიუხედავად, ძალიან უსახურად ითამაშეს. მწვრთნელის თქმით, მის შეგირდებს ირლანდიისთან ბევრად უკეთ მართებთ გარჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწევენ. შოტლანდიელთა გუნდი კი ასე გამოიყურება: არმსტრონგი, ჩალმერსი, ფერლი, ჯ. ლესლი, ლოგანი, ლოგსტაფი, მეტკალფი, კ. მიურეი, ტაიტი, თაუნსენდი, ბრაზერსტოუნი, ბალოქი, ბარნელი, გრიმსი, ჰილტონი, მ. ლესლი, ს. მიურეი, პეტერსი, პუნტნი, რიდი, ტ. სმიტი, უოლტონი.

ტელფერი ირლანდიელებს უფრთხის, ირლანდიელთა თავკაცი უორენ გეტლანდი კი პირიქით — შოტლანდიელებს: „ძალიან ძნელი მატჩი გველის. შოტლანდიელები დღესდღეობით მშვენიერ რაგბის თამაშობენ და მათი დამარცხება უაღრესად რთულია, მით უმეტეს, ედინბურგში „მარიფილდზე". გეტლანდმა სკოტების წინააღმდეგ სათამაშოდ იმავე მობურთალებს უხმო, რომლებიც ინგლისელებთან დამარცხდნენ ორი კვირის წინ: ოში, ბიშოპი, მეგსი, ბელი, დემფსი, ჰამფრიზი, მაკგინესი, მილერი, უორდი, ოკანიგენი, დევიდსონი, ჯონსი, უოლესი, ვუდი, კლოჰესი.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური ინტერნაციონალი ჰიმალაისკენ დაიძრა

დღეს დილით ქართველი მთამსვლელები ვენის გავლით ნეპალში გაემგზავრნენ, სადაც აპრილ-მაისში მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის (სიმაღლე 8848 მეტრი) დალაშქვრას შეეცდებიან. ექსპედიცია „კავკასია 99“-ის შემადგენლობაში სამი ქართველი მთამსვლელის — ბენო ქაშაკაშვილის, ბიძინა გუჯაბიძის და აფი გიგანის გარდა ერთი სომეხი სპორტსმენია, ლევონ სარქისოვი, ერთიც აზერბაიჯანელი, სარიდან მურსაკოლოვი. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა სპორტის დეპარტამენტში გუშინ გამართული პრესკონფერენცია. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბენო ქაშაკაშვილმა აღნიშნა, ამჯერად ფინანსურმა სიდუხჭირემ მხოლოდ ხუთ მონაწილეს მოუყარა თავი, არადა, წინა წლებში, როცა ქართველებმა სომეხ და აზერბაიჯანელ მთამსვლელებთან ერთად მაკკინლი და ტიანშანი დაიპყრეს, ექსპედიცია უფრო წარმომადგენლობით იყო. მაკკინლისა და ტიანშანის მერე ქართველებმა ჩატინის ჩრდილოეთი კედლის მეორედ გავლა მოახერხეს, წლეულს კი იოსემიტაში (აშშ) ელ კაპიტნის ურთულესი კედელი დაიმორჩილეს. მაკკინლიზე, ელკაპიტანზე და ჩატინზე ასვლა სამი სხვადასხვა კლასით მოხერხდა. ელკაპიტანზე — კლოდლოვანით, ჩატინის მარშრუტი არის ტექნიკური კლასი, ხოლო მაკკინლი — სასიმაღლო.

ექსპედიცია 70 დღეს გაგრძელდება. აქედან 25 მხოლოდ საბაზო ბანაკამდე მისვლას, მოწყობასა და წამოსვლას უნდა, მწვერვალზე ასვლისთვის კი 45 დღე რჩება. ევერესტზე ასვლა ჰიმალაური სტილით მოხდება, ესე იგი, მოეწყობა სასიმაღლო ბანაკები, მთამსვლელები სრულ აკლიმატიზაციას გაივლიან. პროდუქტების ნაწილი უკვე ნაყიდია, ნაწილსაც ადგილზე შეიძენენ. მტვირთავებსაც იქვე აიყვანენ. საწყისი ბანაკი 5100 მ-ზე მოეწყობა, ბოლო კი — 8100 მ-ზე. რამდენი დაჯდება ეს ყველაფერი, ორი თვის მერე გაირკვევა. ისე კი, ჯერჯერობით მთამსვლელთა ბიუჯეტი 50 000 დოლარია. ამაში არ არის გათვალისწინებული ალჭურვილობისთვის საჭირო ფული. ამ თანხის ნაწილი სომხეთის მხარემ გაიღო, ნაწილი — აზერბაიჯანელებმა და ნაწილიც ქართველებმა, თუმცა რომ არა „თბილკრედიტბანკი“ და ავიაკომპანია „ავსტრიის ავიახაზები“, რომლებიც მთავარი სპონსორები არიან, ექსპედიციის ჩატარება არ მოხერხდებოდა. თუ კი გამოჩნდა ფინანსები, ამის წინაპირობა კი ის არის, ექსპედიციას კიდევ ერთი ქართველი მთამსვლელი თამაზ შარაშენიძე შეუერთდება. ევერესტზე ასვლა კიდევ ერთი რამითაა ღირსშესანიშნავი — ყველაზე უხუცესი მთამსვლელი, რომელიც ევერესტზე ასულა, ამერიკელი გახლდათ და იგი 60 წლისა იყო. ახლა ასევე 60 წლის ლევონ სარქისოვს შესაძლებლობა ეძლევა, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს.



ბენო ქაშაკაშვილი

**ბაატა თოთაძე**



# ახალი დროება კანით დაიწყო

მაშინ, როცა ფეხბურთში ევროთასების გათამაშებათა მხოლოდ მეოთხედფინალები ჩატარდა, ფრენბურთელებმა უკვე გაარკვიეს მსგავს ტურნირთა ფინალისტები და გამარჯვებულებიც.

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობდა 16 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი. თითოეული კლუბი მეტოქეს მხოლოდ ერთხელ ხვდებოდა, ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულებს ეძლეოდათ. პირველ ოქტეტში საუკეთესონი ბელგიური „მაასეიკი“ და გერმანული „ფრიედრიშტაფენი“ გახდნენ. საინტერესოა, რომ გერმანელებმა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გამარჯვებულ იტალიურ „მოდენეს“ მხოლოდ მოგებული და წაგებული პარტიების უკეთესი შეფარდების წყალობით აჯობეს. ასე რომ, ამ ტურნირს წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება.

მეორე ჯგუფიდან ნახვარფინალის საგზურები „ტრევიზომ“ (იტალია) და „ბელგოროდმა“ (რუსეთი) მოიპოვეს. ნახევარფინალები და გადამწყვეტი მატჩი მომავალ უქმეებზე ჩატარდება რუსეთში, კერძოდ, ბელგოროდში.

თასების თასზე ფინალური ოთხეული „კანის“ (საფრანგეთი), „ეკატერინბურგის“ (რუსეთი), „კუენოს“ (იტალია) და „ისტანბულის“ (თურქეთი) შემადგენლობით გასულ შაბათ-კვირას შეიკრიბა იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში. ნახევარფინალები 13-ში გაიმართა და ფინალში თამაშის უფლება „კანს“ და „კუენოს“ ხვდათ წილად. მათ, შესაბამისად, „ისტანბულს“ და „ეკატერინბურგს“ სძლიეს.

ფინალში ფავორიტად სპეციალისტების უმეტესობა იტალიელებს თვლიდა, თუმცა შეხვედრა ფრანგებმა უფრო მონდომებულად დაიწყეს და პირველი ორი პარტიაც ერთნაირი ანგარიშით (28:26) მოიგეს. იქნებ ზოგიერთმა ჩვენმა მკითხველმა არ იცოდეს, ამიტომ აქვე შეგახსენებთ, რომ 1999 წლიდან ფრენბურთში ახალი წესები ამოქმედდა — თითოეულ პარტიაში გამარჯვებული ისაა, ვინც პირველი მოაგროვებს 25 ქულას, ამავე დროს მეტოქეს ორი ქულით ნაკლები მაინც უნდა ჰქონდეს. ახლებურად ხდება ქულების მინიჭებაც, აღარაა აუცილებელი საკუთარი მოწოდების მოგება ქულის ასაღებად, ახალი პრინციპი მარტივია — ჩააგდე? მიითვალე ქულა. ძველი წესებით მხოლოდ მეხუთე, გადამწყვეტი პარტიაღა იმართება (ანუ 15-მდე და ქულის მხოლოდ საკუთარი მოწოდებისას მოგების შესაძლებლობით).

დავუბრუნდეთ ფინალს. მესამე პარტიიდან იტალიელები უკეთ ათამაშდნენ და ეს უმალ აისახა შედეგზეც — 25:19, 25:19 მათ სასარგებლოდ. საერთო ანგარიში კი 2:2 გახდა. თუმცა ლაჟვარდოვანი ნაპირის ბინადრებმა შეძლეს ძალების მოკრება და გადამწყვეტი პარტია აღარ დათმეს: 15:10 და „კანი“ ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ეს ამ ფრანგული კლუბისთვის, რომელიც საკუთარი ქვეყნის რვაგზის ჩემპიონია, მეორე ევროპული ტიტულია. 1981 წელს მას კონფედერაციის თასი მოუხვეჭია.

„დიდ წარმატებას მივაღწიეთ და უზომოდ ბედნიერები ვართ. ახალგაზრდები კარგად შეეწყვნენ გუნდს და გამარჯვებაში თავიანთი წვლილიც შეიტანეს. ახლა ჩვენს კლუბს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მომგების ტიტულიღა აკლია და მომავალ სეზონშივე ვეცდებით ამის გამოსწორებას“ — სიხარულისგან ცას ეწია ალენ ფაბიანი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ მიღებული ტრავმის გამო მოთამაშიდან გუნდის მთავარ მწვრთნელად იქცა.

მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში რუსებმა თურქებს 3:1 აჯობეს.

**გაიოზ თალაკვაძე**



# იტალია იტალიელთათვის

ტირენო-ადრიატიკოს რვადღიანი რბოლა ჩივიტანოვა მარკედან სან ბენედეტო დელ ტრონტოსკენ მიმავალმა 150 კმ-იანმა ეტაპმა მოაბოლოვა. ფინიშს, წინა გადარბენებისა არ იყოს, მარტოხელად ამჯერადაც ვერავინ უწია. ხროვიდან კი უსწრაფესი ჩეხი იან სვორადა გამოდგა. აღნიშნული მანძილი მან 4 საათში, 22 წუთსა და 14 წამში დაფარა.

რაც შეეხება საერთო ჩათვლას, მისი კვარცხლბეკი აქ უკლებლივ იტალიელებმა შეავსეს. უპირველესი ჯილდო და მილეთის გამორჩეული თაყვანისცემა მიკელე ბარტოლოს ერგო, დავიდ რებელინიმ და სტეფანო გარძელიმ კი მის აქეთ-იქით დადგომა იკმარეს.



REUTERS ტირენო-ადრიატიკოდან

მიკელე ბარტოლის (მარჯვნივ) შინ ვერავინ უსწრებს

ჩივიტანოვა-სან ბენედეტოს ეტაპზე ნახეირებნი:

სვორადა, ჯან მატეო ფანინი (იტალია), ჯოვანი ლომბარდი (იტალია), ფაბრიციო გვიდი (იტალია), ზორან კლემენჩიჩი (სლოვენია), ლარს მიხელსენი (დანია), მარსელ ვუსტი (გერმანია) — ერთი და იგივე დრო.

საერთო ჩათვლა:

ბარტოლი — 36 სთ, 16წთ, 30 წმ; რებელინი — ჩამორჩენა 9 წმ; გარძელი — 14 წმ; ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 21წმ; იგორ გონსალესი (ესპანეთი) — 30 წმ; ალესანდრო სპეციალეტი (იტალია) — 1,56წთ; ბო ჰამბურგერი (დანია) — 3,57 წთ; კრისტოფერ იენერი (ახალი ზელანდია) — 4,26წთ; ოსკარ კამეზინდი (შვეიცარია) — 4,27წთ; დავიდ კაზაროტო (იტალია) — 4,28



# სოკ-ის გაგდებულნი



REUTERS ლოზანიდან

აგუსტინ აროიო, სერხიო სანტანდერი, აბდინ აბდელ გადირი (ზემოთ), ჟან კლოდ განგა, ლამინე კეიტა და პოლ ვოლვორკი

სამარანჩისთვის სრული ნდობისა და მისთანათა გამოცხადების შემდეგ სოკ-მა სოლტ ლეიკურ ქრთამში გათხუპნილებსაც მიხედა. მიხედვა დიდხანს არ გაჯანჯლებულა — წელგამართული პაპა ხუანიტო თურმე ისე მკაცრად იბლვირებოდა და მისი ეშმაკთა მდევნელი მოადგილე დიკ პაუნდიც ისე ცოფსა ჰყრიდა, რომ სოკ-ელებმა თავიანთ ექვს კოლეგას ტყავი შესაშური სიმალით გააძრეს. ჩვენ ამ გატყავებულთა ვინაობას, რასაკვირველია, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ. თუმც კი არა გვგონია, რომ ან ამ შეხსენებით გაკეთდეს რამე, ანაც მათი მოკვეთით... ასეა თუ ისე, აწი ლოზანიდან თავთავიანთ დედულ-მამულეთში გადაბარგება მალელ ლამინე კეიტას, ეკვადორელ აგუსტინ აროიოს, სუდანელ ზეინ ელ აბდინ აბდელ გადირს, ჩილელ სერხიო სანტანდერს, კონგოელ ჟან-კლოდ განგასა და სამოელ სეიული პოლ ვოლვორკს მოუწევთ...

რაც შეეხება დანარჩენ 12 ეჭვმიტანილს, სამი მათგანი გაუმართლებიათ, ცხრას კი, რომელთა შორისაც თავის დროზე სამარანჩის შემცვლელად შეგულებული, ნავიცეპრეზიდენტალი, სამხრეთკორეელი კიმ უნ-იონგიც მოიხსენიება, მოგვიანებით გაასამართლებენ. (კიმს აშშ-ში მომუშავე მისი ვაჟისათვის სოლტლეიკელთა მიერ ჩარიცხულ თანხებზე თვალის დახუჭვა ბრალდება).



„ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია... სოკ-ს ახლა იდეოლოგიური და პოლიტიკური გარდაქმნების ჟამი უდგას. ასე რომ, აქ კიდევ ბევრი თავი გაგორდება და ბევრიც სამუდამოდ დაკარგავს მოუხნავში გადასვლის სურვილს“ — აი, დაახლოებით ასეთი იყო ნაჭიაკოკონევს მამათა ერთობლივი მოსაზრება, რომელიც ახლადყავარჯენშეყენებული პრეზიდენტის ახალმა ინიციატივამაც გაამყარა — ამიერიდან, თუკი ყველაფერი კარგად იქნა, სოკ-ის პამპერსებს „ზნეობათა კომიტეტი“ გარეცხავს ხოლმე. როგორც სამარანჩმა განაცხადა, ეს კომიტეტი საკუთრივ ლოზანური კანტორისა და მთელი გარეშე სამყაროს ყველაზე ზნეობრივი და პირუთვნელი ადამიანებისაგან დაკომპლექტდება. გარდა ამისა, ბაბუს მეორე დამხმარე ჯგუფის შექმნაც განუზრახავს — ეს ჯგუფი სოკ-ის ყველა ნაბიჯს გააკონტროლებს და, რაწამს კანტორა ან აქეთ, ან იქით გადაიხრება, უმალ განგაშს ატეხავს. და ბოლოს — პრეზიდენტი კომიტეტის ყოველგვარი ფინანსური შექცევა-შემოქცევის გააშკარევებასა და სხვა ამდაგვარ სიკეთეებს გვპირდება.

# ხოლო მს კი — აი, ასე!

კვირის წესრიგის მორიგი საკითხი, ოლიმპიადებისთვის ქალაქ-მასპინძლების შერჩევას რომ შეეხებოდა, აი, ამგვარად გადაწყდა:

ალბათ, გეხსომებათ, ბაბუ და მისი უახლოესი დოსტები შერჩევის უფლების სოკ-ისთვის ჩამორთმევასა და მისი მავანი საგანგებო-ელიტური რაზმისთვის გადაცემას რომ აპირებდნენ. მათ ამ გეგმას აღსრულება ეგრემც არ ეწერა. ალმასკომის ორშაბათის სხდომაზე შვილიშვილებმა ისეთი ყაყანი ატეხეს (ქვეტექსტით: არიქა, რა ლუკმას გვართმევენო), რომ ბაბუმ ისევ რაღაც ბითურ-საშუალედოს მოძებნა არჩია.

არჩია და გამოჩხრიკა კიდეც. და რამდენადაც ამას სოკ-ის დასტურიც მოჰყვა, აწი ზემოთხსენებული საგანგებო-ელიტური რაზმი კანდიდატთა თავდაპირველ სიას ორამდე ჩამოაქვეითებს, მერე კი უკვე მთელი ამქარი გადაწყვეტს, ამ ორთაგან რომელს არგუნოს მასპინძლობის პატივი.

მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ზეპურ საფეხბურთო სამყაროში. ერთი ეგაა, რომ სოკ-ის წევრებს შერჩევის არც პირველ და არც მეორე ეტაპზე კანდიდატებთან სტუმრობის უფლება აღარ ექნებათ. ხოლო, როცა მთა მუჰამედთან არ მიდის, მაშინ, მოგეხსენებათ, მუჰამედი თავად ისწრაფვის მთისკენ. ეს კი ამ შემთხვევაში ისე გამოვა, რომ სამასპინძლოდ ატროკებული ქალაქები ლოზანაში ჯერ სოკ-ის ელიტური რაზმების დასაძლომად იკალმასებენ, მერე კიდევ — ბაბუს ერთგული შვილიშვილებისა... რომ იტყვიან — ნოუ ქომენთ ენდ ასი წელი სიცოცხლე!

ისე კი, უახლოესი კენჭისყრა 19 ივნისს სეულში უნდა მოეწყოს. სოკ-ის საგანგებო ნალები იქ 6 კანდიდატიდან 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოგვიანებით დასაჯახებელ ფინალისტებს გამოარჩევს. კანდიდატებად შვეიცარიულ სიონს, იტალიურ ტურინს, ჰელსინკ-ლილეჰამერის ფინურ-ნორვეგიულ წყვილს, პოლონურ ზაკოპანეს, სლოვაკურ პოპრად ტატრასა და ავსტრიულ კლაგენფურტს ასახელებენ. ამათგან ყველაზე ყოჩებად (ესე იგი, ყველაზე დიდი ფულის გამღებებად) სიონი და ტურინი მიიჩნევიან.



REUTERS ლოზანიდან

სიონი 2006-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჟან დანიელ მუდრი

**ლევან ძელაურაძე**

# რაინდთა სკოლა: უებარი წამალი ალდო ნოტარისგან

**რაინდთა სკოლა საქართველოში თითქმის ოთხი წელია არსებობს. სხვადასხვა სასწავლო მეცნიერებებთან ერთად, პატარებს ქართველებისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ სპორტულ სახეობებში წვრთნიან. თუმცა ნორჩებს უცხოურ სპორტულ სახეობაშიც ათვითცნობიერებენ, ისეთში, როგორიც ბეისბოლია. და თუ რატომ, ამას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, რაინდთა სკოლის დამაარსებელ მურთაზ მნათობიშვილთან ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.**



ალდო ნოტარის პატარა რაინდები ჰოლანდიაში გაიცნობენ

**— რამ გადაგაწყვეტინათ სკოლის ჩამოყალიბება?**

— ვფიქრობ, რომ სპორტი და საზოგადოება რაღაცნაირად დაშორდა ერთმანეთს. ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც კულტურა და სპორტია, ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საშუალებად უნდა იყოს გამოყენებული. მით უმეტეს, როცა სახელმწიფოში ასე იმძლავრა ნარკომანიამ, ძალადობის ფაქტებმა. მხოლოდ პოლიციური მეთოდებით ამასთან ბრძოლა შედეგს ვერ გამოიღებს. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა რაინდთა სკოლა, რომელიც მთლიანად მართმადიდებლურ აღმსარებლობას დაეფუძნებოდა. გვინდოდა, ადამიანებში გაგვეღვივებინა სიყვარული ქვეყნისადმი, ბუნებისადმი, სპორტისადმი. ავიღოთ ქართული ჭიდაობა, თავისი ფენომენით, რაინდობით. თუ უცხო ქვეყნებში ფალავნები ქონს იცხებდნენ, ჩვენში ასეთ რამეს არ გააკეთებდნენ. მოჭიდავის მიწასთან შეხებასთან ერთად წყდებოდა ბრძოლა. შემდგომ იყო გამარჯვებულისა თუ დამარცხებულის დავლურის ჩამოვლა, მხარზე ამბორი. იმხელა კაცი უნდა იყო, რომ მარცხს ღირსეულად შეხვდე, შენი მოწინააღმდეგის სიხარული გაიზიარო. ეს ყველაფერი სათქმელად თითქოს იოლია, მაგრამ ცხოვრებაში ამის შესრულება ძნელია. უპირველესად ქრისტიანი უნდა იყო, ყოველივე რომ შეძლო. იგივე შემიძლია ვთქვა ქართულ ცეკვაზეც, რომელშიც მთლიანადაა გადმოცემული ქართველი კაცის ყოფა, ზნე-ჩვეულება, ხასიათი, დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, საბრძოლო მზადყოფნის ელემენტები, დამოკიდებულება ქალსა და ვაჟს შორის. ეს მთელი აკადემიაა.

ბავშვებს ვამეცადინებთ აგრეთვე კლდეზე ცოცვაში, მდინარეების გადალახვაში, ვაჩვევთ სხვადასხვა ექსტრემალურ ვითარებაში სწრაფად აზროვნებასა და გაჭირვებულისადმი დახმარების აღმოჩენას.

**— როგორია სწავლების სისტემა?**

— ბავშვებს აქვთ სწავლების საბანაკო სისტემა. მეცადინეობებს ვიწყებთ სექტემბერში და ვამთავრებთ ივნისის ბოლოს. ზამთარსა და ზაფხულში შეკრებებზე ვაგზავნით. გვყავს მოძღვარი მეუფე ნიკოლოზი, რომლის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება ყოველივე.

**— ვიცით, რომ მეთოდურ საგნებთან ერთად ბავშვებს ავარჯიშებთ ფეხბურთში, ფარიკაობაში, ჭადრაკში და სხვა სახეობებში, მაგრამ ქართველი ნორჩები ბეისბოლსაც, ჩვენთვის არატრადიციულ თამაშს ითვისებენ...**

— რაინდთა სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა კულტურისა და სპორტის დარგებს. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ბეისბოლს. სპორტის ამ სახეობასთან არ მქონდა არავითარი სიახლოვე. როცა რამაზ გოგლიძე, ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტი მოვიდა და მთხოვა, რომ ბეისბოლის წესები დამებეჭდა, სიმართლე გითხრათ, მაშინ არც ჩამიხედია, რა ეწერა შიგ. ახლა ვნანობ ამას. ეს არის უებარი წამალი, რომლითაც შეიძლება მთელი ქართველი ახალგაზრდობა გამოაჯანსაღო. მე რომ განათლების მინისტრი ვიყო, ამას აუცილებლად შევიტანდი სწავლების სისტემაში. მართალია, სპეციალისტების ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ სადაც შეიძლება, იქ მაინც განვახორციელებდი.

**— მაინც რით აღაგფრთოვანათ ბეისბოლმა?**

— მას შეუძლია, ბავშვების საოცარი ემოციური დატვირთვა, ის, რაც ასე სჭირდებათ პატარებს. ბეისბოლმა დამაფიქრა კიდეც ამერიკელების აზროვნებაზე. ეტყობა, მათ ზედმიწევნით კარგად იციან, რა სჭირდებათ ბავშვებს, ეს გაითვალისწინეს. ბეისბოლისტი ყოველ წამს ფიქრობს, რომ არამარტო იმოძრაოს, არამედ ითამაშოს, სწორად ისროლოს მიზანში. მასში სწრაფი და კოლექტიური აზროვნების, თავდაცვის, თავდასხმის, დაჭერის, სირბილის ელემენტებია გაერთიანებული.

**— ამ ყველაფერს ითვისებენ ქართველი ბავშვები?**

— მეცადინეობას ვიწყებთ რვა საათზე. არ არსებობს, რომ მოსწავლეებმა დაიგვიანონ. თვითონ აღვიძებენ მშობლებს და ვარჯიშზე მოიჩქარიან. ახლა ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ ტრადიციული სპორტის სახეობები ავაღორძინოთ, მაგრამ უცხოეთში კარგი რაც არის, ისიც უნდა დავნერგოთ და განვავითაროთ. ბეისბოლი მართლა საოცარი სპორტია. მართალია, ძვირადღირებული ინვენტარი სჭირდება, მაგრამ ფედერაციის დახმარებით ეს პრობლემა გადავჭერით.

**— შეჯიბრებებზე თუ გიწვევენ?**

— ხელთ მაქვს დოკუმენტი, სადაც ჩამოწერილია ქვეყნის სახელები, რომლის 10-12 წლის ბავშვთა ბეისბოლის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის პირველობაზე. ასეთია რვა ქვეყანა — იტალია, რუსეთი, ჰოლანდია, უკრაინა, ჩეხეთი, პოლონეთი, ისრაელი, გერმანია და საქართველო. თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველო იმის შემდეგ დაუშვეს ამ გათამაშებაში, როცა რვა ქვეყანა ორ ოთხგუნდიან ჯგუფად იყო დაკომპლექტებული. ასეთი რამ იშვიათად ხდება. არ ვიცით, რომელ ჯგუფში მოგვახვედრებენ. მთავარი ის არის, რომ შეჯიბრზე დაგვიშვეს...

**— ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ალდო ნოტარიმ თუ იცის იმის შესახებ, რომ ქართულ რაინდთა სკოლაში ბეისბოლს ასწავლიან?**

— რაც არ უნდა უთხრა ადამიანს, ამას სჯობს ერთხელ აჩვენო. ათასჯერ ნათქვამს, ერთხელ ნანახი სჯობს. თუ მოვახერხეთ ბავშვების წაყვანა ჰოლანდიაში, ევროპის ჩემპიონატზე, დაგეგმილი გვაქვს, იქ მოვაწყოთ ქართული საღამო. ყველას ვაჩვენოთ ჩვენი ბავშვების შესაძლებლობები.

**— ბავშვების აღზრდა მთლიანად პედაგოგებზეა დამოკიდებული?**

— რაინდთა სკოლის მასწავლებლები არ არიან მხოლოდ პედაგოგები, ისინი პირველ რიგში არიან აღმზრდელები. 4-5 წლის ბავშვს რომ განდობს მშობელი დღეების განმავლობაში, მგონი, ეს რაღაცაზე მეტყველებს. დაბანა, კვება, მეცადინეობა, მოვლა დღისით და ღამით, უდიდესი ყურადღება თითოეული ნორჩისადმი — ამ ყველაფერს კარგად ართმევენ თავს ჩვენი პედაგოგები. მათი ხელები არაფრით განსხვავდება დედის ხელებისგან. ისინი ნამდვილი გმირები არიან.

**— რამდენი მოსწავლე სწავლობს დღეისთვის რაინდთა სკოლაში და რა პრობლემები გაქვთ?**

— დედამიწაზე 2000 ამგვარი ტიპის სკოლაა. ექსპერტებმა ძალიან მოიწონეს ჩვენი მეთოდები. 1997 წელს საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომ იუნესკო საქართველოს რაინდთა საავტორო სკოლის გამოცდილებას განაზოგადებს. ამაზე მეტი აღიარება რაღაა. 2000-ს სკოლაში გამოგვარჩიეს და ეს გამარჯვების ტოლფასია.

ჩვენთან 180-მდე ნორჩი სწავლობს. ძალიან ბევრს აქვს სურვილი, რომ შვილები მოიყვანონ რაინდთა სკოლაში, მაგრამ ამის საშუალება არ არის. ახლა მივმართავთ თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერს და ვაკის რაიონის გამგებლს. ვთხოვთ მათ, რომ გადმოვგცენ 201-ე საბავშვო ბაღის პატარა შენობა. ბაღის ბავშვებიც რაინდთა სკოლის პატარებთან ერთად იქნებიან.

ჩვენი საბოლოო მიზანია, შევქმნათ ახალი საზოგადოება. სკოლის აღზრდილებს განსაკუთრებით ეყვარებათ თავიანთი ქვეყანა, იქნებიან მაგალითები იმისა, როგორი უნდა იყოს ადამიანი. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ დარგში, სადაც არ უნდა მოღვაწეობდნენ ისინი მომავალში, ყველასთვის მოსაწონი და მისაღები პიროვნებები იქნებიან.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კაცი, რომელიც ფრიადზე ცხოვრობს

მურთაზ გულედანი მუდამ ყველაფრით დამშვენებული იყო: ლამაზი მშობლებით, არისტოკრატი ბებია-ბაბუით, ამჟამად ლამაზი და ჭკვიანი ცოლ-შვილით, შვილიშვილით... არადა, სიმბოლურია: წყალბურთელის — წყალზე გაზრდილი კაცის ჰოროსკოპი თევზია. ამ ჰოროსკოპის ახსნა-მცნება მართლაც ემთხვევა მის ცხოვრებას. თევზს მფარველობენ იუპიტერი და ნეპტუნი, ერთის გავლენით თევზი კონტრასტულია, მოუსვენარი და მშრომელი, მეორისგან კი ბედნიერია და ბრძენი. ჰოროსკოპის ეს დახასიათება ზუსტად შეეფერება მურთაზ გულედანს, იშვიათი ბუნება-გონებით დაჯილდოებულ პიროვნებას.

გაჯავრდება-გაბრაზდება ჩვენი იუბილარი, ზედმეტიაო, ქება-ბაქიაობააო, იტყვის, მაგრამ სიმართლეს ვამბობ და ვწერ. მამით ადრე დაობლებული მურთაზი დედის ოჯახში იზრდებოდა — ბრწყინვალე თავადთა მოდგმის — ლორთქიფანიძეებისა და ალშიბაიების ოჯახში, ყოველმხრივ განათლებული ბაბუის მფარველობით (ამ ოჯახში გაიზარდა მურთაზის დეიდაშვილიც, ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი). ამ ოჯახის ტრადიციებმა შეასწავლეს და შეაყვარეს მურთაზს ბავშვობიდანვე უცხო ენები, მუსიკა, წიგნები, შრომისუნარიანობა-პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, სპორტი... კალათბურთმა გაიტაცა მაღალი, ლამაზი, მოხდენილი ჭაბუკი და... აი, საოცრებაც — ქუთაისში, მსოფლიო დონის წყალბურთელების გამზრდელმა, ცნობილმა მწვრთნელმა დიმიტრი ხორავამ კალათბურთის ნაცვლად ერთ თვეში მურთაზ გულედანი საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების წევრი გახადა. ორიოდ წელიწადში „ბურევესტნიკში" ისე დაოსტატდა, რომ თბილისის „დინამოშიც" მალე გადაიყვანეს და გამოჩენილ წყალბურთელებს გივი ჩიქვანაიას, ლერი გოგოლაძეს და სხვებს ამოუყენეს მხარში. დიდ წარმატებებს მიაღწია მათთან ერთად: საკავშირო ჩემპიონატების და სპარტაკიადების პრიზიორიც გახდა, საერთაშორისო ტურნირებშიც გაიმარჯვა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობასაც გაუსინჯა გემო. პარალელურად ოჯახიშვილობა-განსწავლულობა არ დაივიწყა და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ისე კარგად დაამთავრა, რომ ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით ჩვენში პრესტიჟული სამართალმცოდნეობის სამეცნიერო და სასწავლო, სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში ჩაება და ყველგან ღირსეულად იღვაწა. უნივერსიტეტში ლექციების კითხვა, სამართლის ინსტიტუტში აკადემიკოს თინა წერეთელთან სამეცნიერო მუშაობა, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრობა და სხვა ინსტანციებში მუშაობა კიდევ ერთხელ მეტყველებს მის უდიდეს შრომისმოყვარეობაზე, პასუხისმგებლობაზე და ღრმა ერუდიციაზე... კიდევ ბევრი ვერ ჩამოვთვალე და გამომრჩა კიდეც, მაგრამ, თუ მურთაზ გულედანის თვისება-ხასიათს გავითვალისწინებთ, რაც ჩამოვთვალე ამასაც იუარებს, რა საჭიროაო, მეტყვის... არადა, ამ უზარმაზარი დატვირთვით მუშაობისას წყალბურთი მაინც არ ავიწყდება, უფრო მეტიც, 70-იან წლებში, ჩვენი წყალბურთის კრიზისის დროს, მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, მურთაზი წყალბურთს უბრუნდება. ყმაწვილკაცობის სიყვარულმა დასძლია. ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და ააღორძინა, შემდეგ კი თბილისის „დინამო" და საქართველოს ნაკრებიც ჩაიბარა, წყალბურთელთა ახალი პლეადაც გაზარდა და ახალ წარმატებებსაც მიაღწია. ყველაფერ ამს ძალიან მოკლე ხანში, მხოლოდ ისეთი გონიერი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანი, სპეციალისტი, პროფესიონალი თუ მიაღწევდა, როგორიც მურთაზ გულედანია.

ბოლოს მაინც თავის საყვარელ პროფესიას — იურისტობას დაუბრუნდა, სამართლის ისტორიას, რომის სამართალს ასწავლის სტუდენტებს და თავის ცოდნას და გამოცდილებას ცნობილი ფირმის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელობაშიც ამჟღავნებს.

ქუჩაში, აუდიტორიასა თუ ოფისში თამამად დაბიჯებს მოხდენილი, შუახნის ინტელიგენტი მამაკაცი. ციფრი 55 ვიზუალურადაც მიმზიდველია და ხუთოსნობასაც გაგონებს... ეს ციფრი ზუსტად შეეფერება მურთაზის დღემდე განვლილ ცხოვრებას, ფრიადზე რომ შესრულა!

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის და ვეტერან წყალბურთელთა სახელით ოთარ მიმინოშვილი**



მურთაზ გულედანი

ნიუ იორკის დიდი ჟიური მონდომებით და სამართლით აპირებს ჰოლივუდის ორთაბრძოლის ბნელი კუთხეების განათებას. სადღეისოდ აღიარებულია, რომ ლუისი უსამართლოდ დაიჩაგრა, მაგრამ ზოგიერთი საგამოძიებო ორგანიზაცია ეჭვობს, რომ საქმეში შავი ფულია გარეული და დამთვლელთა არაობიექტურობაც ამით უნდა აიხსნას.

# ლუისს ტელეფონით დაკითხავენ

დიდი ჟიური შეეცდება დაადგინოს, რა და როგორ. მის სახელზე მიწერილობა კი შეუდგენია მანჰეტენის საუბნო პროკურორს, რომელსაც სახალხოდაც გამოუთქვამს თავისი სურვილი, ყველაფერი უნდა შემოწმდეს და გამოძიებულ იქნას, რათა საეჭვო ვითარება განქარვდესო.

გამოძიებას მხარს უჭერენ შტატის ავტორიტეტებიც — ათლეტთა კომისია, გენერალური პროკურორი და შტატის სენატი. ჟიურის თავმჯდომარე, სენატორი რაი გუდმენი დღეს დაკითხავს სამივე დამთვლელ მსაჯს და პრომოუტერ დონ კინგს. მისივე განმარტებით, ამჟამად ლონდონში მყოფ ლენოქს ლუისს ტელეფონით გაესაუბრებიან. სხვა დასაკითხთაგან დაასახელეს ფედერაციის (იბფ) პრეზიდენტი რობერტ ლი და საბჭოს (ვბკ) თავმჯდომარე ხოსე სულეიმანი.

მაგრამ მთავარი მაინც დამთვლელთა და კინგის დაკითხვაა. დამთვლელთა ჰონორარი 5 150 დოლარი ყოფილა, დონ კინგს კი ბარე 10-12 მილიონი უნდა მთელი ამ ბრძოლის შემდეგ.

გამოძიების საქმეში ძალიან აქტიურობს ნიუ იორკის საბჭოს სპიკერი პიტერ ვალონე, რომლის კომენტარებიც პრესას აბობოქრებს ხოლმე. სწორედ ვალონემ მიწერა მანჰეტენელ პროკურორს, გამოძიება დააწყებინე დიდ ჟიურისო. მანვე იბრძოლა, რათა ნიუ იორკის პროკურორს ელიოტს, პირველი მოსმენა სადღეისოდ დაენიშნა.

ასე რომ, რემატჩამდე ძალიან ბევრი საინტერესო რამ გაირკვევა.

# ჰითროუშივე იხითხითეს



ლენოქს ლუისმა ჯერ მხოლოდ ნელსონ მანდელას ნაჩუქარი ქამარი იკმარა

ლონდონში ახლადჩაფრენილ ლენოქ ლუისს სუპორტიორებმა ამოსუნთქვა არ აცალეს და იქვე, ჰითროუს აეროპორტში გაამართვინეს სახელდახელო პრესკონფერენცია.

გასულ შაბათს დამთვლელთაგან ჩაგრული ლუისი კარგ ხასიათზე იყო და გვარიანად აცინა მედია. მაგალითისთვის, მან განაცხადა, რომ ჰოლიფილდი უნამუსოდ იქცევა და აი, რატომ: „მოგეხსენებათ, მე მსოფლიოს უდავო ჩემპიონობა მოვიგე, ამიტომ აქამდე ჰოლიფილდის კუთვნილი ორი ქამარი მე მეკუთვნის. ნიუ იორკსა და ლონდონს შორის გზა გრძელია, ამიტომ ამ ქამრების თრევა დამეზარა და შესანახად ჩემს მეგობარ ევანდერს მივაბარე. ისე, ხუმრობა იქით იყოს და ჰოლიფილდს რომ ნამუსი ჰქონდეს, ორივე ქამარს ფოსტით გამომიგზავნიდა!“

ლუისის მენეჯერმა პანოს ელიადისმა თქვა, რომ უკვე მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები რემატჩის თაობაზე, მაგრამ არის ეჭვი, რომ ჰოლიფილდი ყოველ ღონეს იხმარს, ლუისთან მეორე შერკინებას გაექცეს. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რემატჩის გამართვას ჩამოაშორებენ თახსირ დონ კინგს.

ლუისი კი კვლავ ხითხითებდა:

„გასულ შაბათს ჰოლიფილდს ორი თავისი დამთვლელი ჰყავდა. რემატჩისას მეც მოვიყვან ჩემს დამთვლელებს — ჩემს მარჯვენა და მარცხენა მუშტს. ისინი დაამტკიცებენ, რომ დათვლა საჭირო აღარ იქნება.“ იქვე ჩამოვარდა საუბარი რემატჩის ადგილზე და გაირკვა, რომ ჩხუბი ან „უემბლიზე“ გაიმართება, ან კარდიფის ჯერაც დაუმთავრებელ სტადიონზე, ან ლას ვეგასში, ან ნიუ იორკის „იანკი სუდიუმზე“, ანაც სამხრეთ აფრიკაში, საიდანაც, ლუისისთვის ხმა და საჩუქარი მოუწვდენია მხცოვან პრეზიდენტსა და ძველ მოკრივეს, ნელსონ მანდელას. საჩუქრად კი ნელსონს გამოუგზავნია აფრიკული მოსასხამი, რომელზეც საჩემპიონო ქამარია გამოსახული, ქამარზე კი, თავად მანდელა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# დეტროიტი: გაზუტული და გაპუტული

17 მარტი

**დეტროიტი — ფინიქსი 3:4**

1:1 2:1 0:2

1:0 კოზლოვი 1'38 (20); 1:1 სტეპლტონი 5'54 (7); 1:2 ადამსი 27'03 (15); 2:2 ლიდსტრიომი 30'28 (11); 3:2 კოზლოვი 34'30 (21); 3:3 ნუმინენი 43'08 (10); 3:4 ტკაჩუკი 59'59 (29)

დეტროიტელთა ბრძენი მწვრთნელი სკოტი ბოუმენი თავისი შეგირდების შესაძლებლობებს იქნებ ჯერ განგებაც ფარავდეს, მაგრამ თასის მფლობელთა წლევანდელი თამაში რომ ერთობ უფერულია, ფაქტია. მათი ლამაზი გამარჯვებები ეპიზოდურია, დიდი წვალებით მოგებებს კი ხშირად წარუმატებლობა ენაცვლება, თანაც „წითელფრთიანებს“ სწორედ ფავორიტებთან პაექრობა უჭირთ, ეს კი მათ მეტოქეებს ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს. ეტყობა, თავიანთი არასტაბილურობა ჩემპიონებსაც აღიზიანებთ და ამიტომაც უხეშობენ. სერგეი ფიოდოროვის 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ძლივს დასრულდა და ახლა კირკ მოლტბის მოუწევს 4 თამაშით დასვენება. დეტროიტელებმა კარგად უწყიან, მატჩის მიწურულს განსაკუთრებული ყურადღება რომ მართებთ, მაგრამ მათ მცველთა წყვილმა ჯერემი რენიკისა და კეიტ ტკაჩუკის მარტივი კომბინაცია ვერ ამოიცნო და კარის სიახლოვეს უმეთვალყურეოდ დარჩენილმა „კოიოტების“ კაპიტანმა ბოლოსწინა (!) წამზე თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

ეს თამაში კალგარის არ უნდა წაეგო. მთელ შეხვედრაში უპირატესობას ფლობდნენო, არ ითქმის, მაგრამ პირველი-მეორე პერიოდების შემდეგ, როცა მასპინძლებმა ინიციატივა ხელიდან გაუშვეს, ხოლო ფილ ჰაუსლიმ კარიერაში მე-300 გოლით ანგარიში გაათანაბრა, საქმე თითქოს დაზავებისკენ მიდიოდა, თუმც ჩიკაგოელმა ედ ოლჩიკმა პატარა სანახაობა მოაწყო — ორ მცველს გასცდა და ტონი ამონტეს მშვენიერი პასი გადასცა.

**ედმონტონი — ნიუ ჯერსი 1:4**

0:1 1:2 0:1

0:1 არნოტი 3'37 (21); 0:2 მორისონი 20'26 (11); 0:3 ელიაში 24'07 (13); 1:3 მარჩანტი 35'27 (11); 1:4 არნოტი 57'30 (22)

**სან ხოსე — ფლორიდა 4:2**

2:0 2:1 0:1

1:0 მარლო 10'57 (18); 2:0 მარლო 16'41 (19); 3:0 გუოლა 22'01 (2); 4:0 ნოლანი 28'45 (14); 4:1 კოზლოვი 35'51 (14); 4:2 დვორჟაკი 48'15 (12)

მეკარე სტივ შილდსი (32 მოგერიება) კვლავ ჩვეულად ირჯება, თუმც მას „ზვიგენთა“ სხვა ახალგაზრდებიც არ ჩამორჩებიან, თუნდაც პატრიკ მარლო და ალექსანდრ კოროლიუკი (ბოლო ორ მატჩში 6 პასი).

**ტორონტო — ბოსტონი 1:4**

0:0 0:1 1:3

0:1 დიმაიო 33'33 (5); 1:1 კოროლიოვი 47'54 (13); 1:2 ელისონი 53'29 (21); 1:3 ხრისტიჩი 55'11 (27); 1:4 კარტერი 59'54 (15)

**ტამპა — პიტსბურგი 0:2**

0:1 0:1 0:0

0:1 ბრაუნი 13'55 (7); 0:2 მილერი 33'35 (8)

ყოჩაღ, პინგვინებო! ზოგიერთი სხვა გუნდისგან განსხვავებით, პიტსბურგელები ტრავმებს არ შეუბრკოლებია (ხუმრობაა, ორი მეკარისა და 5 მცველის გარეშე ასპარეზობენ) და ყველას თვალნათლივ აჩვენეს, კრიზისიდან თავის დაღწევა როგორ უნდა. თუმც მათ ხომ ჰყავთ იაგრი (1 პასი), რომლის მხოლოდ ყინულზე ყოფნაც საკმარისია იმისათვის, რომ გამოუცდელ მოთამაშეებს, მაგალითად, მეკარე ჟან სებასტიან ობენს (მე-2 შათაუტი), ფრთები შეესხათ.

**ჩიკაგო — კალგარი 3:1**

1:0 0:0 2:1

1:0 დიუმონი 12'22 (4); 1:1 ჰაუსლი 41'12 (9); 2:1 ამონტე 56'59 (33); 3:1 ამონტე 59'17 (34)

**ვაშინგტონი — დალასი 2:1**

0:0 0:1 1:0 1:0

0:1 ჰრკაჩი 20'22 (11); 1:1 ნიკოლიშინი 47'52 (7); 2:1 ბელოუზი 60'35 (12)

ვაშინგტონელთა წარმატება, კლუბის ფორვარდ ბრაიან ბელოუზის თქმით, მათმა სათამაშო სტილმა განაპირობა. „როცა დალასთან აგებ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიხსნა და თავგამოდებით გაისარჯო დაცვაში, საგოლე მომენტებიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენო“ — ბელოუზმა ეს პრინციპი საქმით დაამტკიცა და ოვერტაიმში ადამ ოუთსის ჩინებული პასი შეიშნოვა.

**ანაჰაიმი — ოტავა 2:2**

1:0 1:2 0:0 0:0

1:0 ტრეპანიე 7'08 (2); 2:0 კალენი 22'19 (8); 2:1 იაშინი 32'41 (39); 2:2 ჰოსა 37'47 (10)

აღმოსავლეთის ლიდერი ოტავა კალიფორნიული მოგზაურობიდან ლამის ხელცარიელი დაბრუნდა, მაგრამ „სენატორები“, რომლებსაც ზედიზედ მესამე მატჩში დაემუქრათ წაგების საფრთხე, მეორე პერიოდის შუიდან ისე გაცხარდნენ, რომ მასპინძლები ძლივს გადარჩნენ. ამას ისინი მეკარეს უნდა უმადლოდნენ, თუმცა გი ებერმა (41 მოგერიება) სტუმართა ლიდერის, ალექსეი იაშინის გოლისგან (10 შაიბა 7 თამაშში) მაინც ვერ იხსნა თავისიანები. თანაც რუსმა გააუმჯობესა სნაიპერთა საუკეთესო შედეგი — 38 შაიბა (27 თებერვლის შემდეგ ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა) და გოლეადორთა შორის დაწინაურდა.

**სამველ ლარიბიანი**



ჰოკეია თუ ძიუდო? ტორონტოელმა ბრაიან ბერარმა ბოსტონელი ჯეისონ ელისონი ყინულს ბეჭებით გააკრა

## ყვანჯით ჩაკლული იმედი

კოლორადოელ ფორვარდ ვალერი კამენსკისთვის სეზონი დასრულდა, სეზონი, რომელიც მის ნჰლ-ურ კარიერაში ალბათ ყველაზე უიღბლო გამოდგა. კლუბის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ კამენსკი პირველი ნახვისთანავე აითვალწუნა და ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელი ჯერ პეტერ ფორსბერგის სამეულიდან გაიყვანეს, მერე კი თანდათან სათამაშო დროც შეუმცირეს. განაწყენებული ფორვარდი ამ ბოლო დროს ტრეიდს ითხოვდა და, როგორც ამბობდნენ, მისით თვით დეტროიტი დაინტერესდა, მაგრამ... სამწუხაროდ, შაბათს, სწორედ დეტროიტთან მატჩში, „წითელფრთიანთა“ ფორვარდმა კირკ მოლტბიმ ხელში ყვანჯი ჩაარტყა და მისი სამომავლო იმედებიც ქარს გაატანა (ნჰლ-ის სადისციპლო კომიტეტმა აშარ მოლტბის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა). რას იზამ, უბედურებასაც აქვს თავისი დასასრული. იქნებ მომავალი სეზონი კამენსკისთვის იღბლიანი იყოს.

არც ვაშინგტონელი კალე იუჰანსონი დაინდო ბედმა. მცველმა ორშაბათს, რეინჯერსთან თამაშში, მუხლი იტკინა და ჩემპიონატის ბოლომდე დასვენება მოუწევს. შარშანდელი ფინალისტი წამყვანი მოთამაშეების ტრავმებმა სეზონის დაწყებისთანავე შეაწუხა და მათი წლევანდელი წარუმატებლობის მიზეზიც ეს უნდა იყოს.

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 67 | 38 | 9 | 20 | 198:143 | 85 |
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 21 | 200:166 | 84 |
| კაროლინა | 68 | 30 | 14 | 24 | 177:167 | 74 |
| პიტსბურგი | 67 | 35 | 10 | 22 | 207:179 | 80 |
| ტორონტო | 68 | 37 | 5 | 26 | 213:195 | 79 |
| ფილადელფია | 69 | 30 | 17 | 22 | 200:167 | 77 |
| ბუფალო | 67 | 31 | 13 | 23 | 177:150 | 75 |
| ბოსტონი | 67 | 30 | 10 | 27 | 175:156 | 70 |
| რეინჯერსი | 68 | 29 | 9 | 30 | 189:188 | 67 |
| ფლორიდა | 67 | 25 | 17 | 25 | 170:177 | 67 |
| მონრეალი | 67 | 27 | 9 | 31 | 160:175 | 63 |
| ვაშინგტონი | 68 | 28 | 6 | 34 | 177:188 | 62 |
| აილენდერსი | 69 | 19 | 9 | 41 | 158:206 | 47 |
| ტამპა | 67 | 16 | 5 | 46 | 142:241 | 37 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი* | 67 | 42 | 12 | 13 | 196:134 | 96 |
| კოლორადო | 67 | 34 | 8 | 25 | 186:167 | 76 |
| დეტროიტი | 68 | 33 | 6 | 29 | 199:174 | 72 |
| ფინიქსი | 68 | 33 | 11 | 24 | 169:164 | 77 |
| ანაჰაიმი | 68 | 30 | 11 | 27 | 178:165 | 71 |
| სენტ ლუისი | 67 | 29 | 10 | 28 | 193:178 | 68 |
| სან ხოსე | 68 | 26 | 14 | 28 | 155:158 | 66 |
| კალგარი | 68 | 26 | 10 | 32 | 183:193 | 62 |
| ედმონტონი | 68 | 25 | 10 | 33 | 188:188 | 60 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 26 | 5 | 36 | 156:175 | 57 |
| ნეშვილი | 68 | 24 | 6 | 38 | 163:221 | 54 |
| ვანკუვერი | 68 | 20 | 11 | 37 | 163:209 | 51 |
| ჩიკაგო | 68 | 20 | 9 | 39 | 155:211 | 49 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 105 (33+72); ლინდროსი (ფილადელფია) 89 (38+51); სელიანე (ანაჰაიმი) 83 (37+46); ლეკლერი (ფილადელფია) 81 (38+43); კარია (ანაჰაიმი) 81 (29+52); ფორსბერგი (კოლორადო) 80 (22+58); იაშინი (ოტავა) 79 (39+40); მოდანო (დალასი) 73 (30+43); სტრაკა (პიტსბურგი) 72 (35+37); დემიტრა (სენტ ლუისი) 72 (31+41); საკიკი 71 (32+39); ფლერი (ორივე — კოლორადო) 70 (31+39); სუნდინი (ტორონტო) 68 (24+44)*

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

## თასების თასი. მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები. 18 მარტი

Cup Winners' Cup

**ვალერენგა (ნორვეგია) — ჩელსი (ინგლისი) 2:3 (0:3)**
0:1 ვიალი (13), 0:2 ლამბურდი (15), 1:2 კიოლნერი (26), 1:3 ფლო (32), 2:3 კარეუ (42)
ვალერენგა: კავენი, ბერნტსენი, ჰარალდსენი, კიოლნერი, ტრანი, ვალტინი, ჰოვი (ჰოგი 77), ლევერნესი, რიისნაესი, სიმპსონი (ტორსენი 70), კარეუ (მუსაეუსი 86)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ბაბაიარო (მაიერსი 46), უაიზი (ნიუტონი 46), დაბერი, ლე სო, დი მატეო, ფლო (ნიქოლზი 46), ვიალი, ლამბურდი, ტერი

**ლაციო (იტალია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 3:0 (4:0)**
1:0 ნედვედი (70), 2:0 სტანკოვიჩი (77), 3:0 დე ლა პენია (82)
ლაციო: ბალოტა, ნესტა, მიჰაილოვიჩი (კროვარი 71), ლომბარდი, ლომბარდო, ბარონიო, კოუტუ, ნედვედი, გოტარდი, სტანკოვიჩი, დე ლა პენია
პანიონისი: სტრაკოშა, მიტსიოპულოსი, კამისტისი, რობერტსი, გაზისი, ბაკერუდი (ბუგასი 69), ტისდეილი, ზახოპოლუსი (იოანიდისი 45), რობინსი (ჰეილოკი 60), საპუნცისი, კარასავიდისი

**მალიორკა (ესპანეთი) — ვარტექსი (ხორვატია) 3:1 (0:0)**
1:0 იბაგაზა 53, 2:0 პაუნოვიჩი (55), 3:0 დანი გარსია (75), 3:1 ბალაჯიჩი (88)
მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, სივიერო, ელენა, ოლაიზოლა, იბაგაზა (ფრანსისკო სოლერი 73), ენგონგა, ეტამ-მაიერი, ბიაჯინი (ლუკე 61), პაუნოვიჩი, გარსია (დომინგესი 81)
ვარტექსი: მრმიჩი, ბალაჯიჩი, მადუნოვიჩი (საბოლიკი 45), კასტელი, ჰრმანი, გრეგორიჩი, მუჟეკი, მუმლეკი, დალიჩი (პასავეჩი 59), კარიჩი (კამბეროვიჩი 67), ივანკოვიჩი

**მაკაბი (ისრაელი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 0:1 (0:3)**
0:1 ჩუგაინოვი (72პ)
მაკაბი: დავიდოვიჩი, ალონ ჰარაზი, ბენადო, კასეი, კოპელი, ნაგარი (დურო 73), ბენაიონი, ჟანო, რონენ ჰარაზი (კატანი 32), პაჩა (ჰრომატკო 63), ბრუეჟეკი
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი, დროზდოვი, მამინოვი, ლავრიკი, ჩუგაინოვი, სმერტინი, გურენკო, ჯანაშია, ლოსკოვი (ხარლაჩოვი 46), ბულიკინი (ბოროდიუკი 60)



ვალერენგა — ჩელსი 2:3. სტუმარ ვიალის (№9) კავენის კარში პირველი გოლი გააქვს

## ჰოლანდია

**როდა 0:2 ტილბურგი**
0:1 არტსი (36), 0:2 ბომბარდა (61)

# ქალზე უტკბესი

ინგლისურ ჩელტენჰემში დიდი ჯირითია გაჩაღებული რჩეულ ტაიჭებზე ამხედრებული საუკეთესო ჟოკეები ერთმანეთს „ოქროს თასს" ეცილებიან. ეს ტურნირი ერთ-ერთი უმთავრესია ბრიტანეთში მავან მხედარ მიკ ფიცჯერალდს ისიც კი უთქვამს, აქ გამარჯვება ჩემთვის უფრო ტკბილია, ვიდრე კაი დედაკაცთან ლოგინში კოტრიალიო. ისე, „ოქროს თასის" წონა ამ ფოტოდანაც ჩანს ჟოკეი გრემ ბრედლის (მარჯვნივ) არც მეტი, არც ნაკლები, მილანის „ინტერის" დამჩოქებელი „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელთა სქოთი მენეჯერი ალექს ფერგიუსონი უმშვენებს გვერდს.


REUTERS ჩელტენჰემიდან

# შერეკილები 4

დედამიწის ირგვლივ მოკამარე ბრიტანელ ბრაიან ჯოუნზსა და შვეიცარიელ ბერნარ პიკარს მძიმე საათები უდგათ მექსიკიდან კარიბეთში შემავალი მათი ბუშტი კეთილისმყოფელ ზურგდინებას ჩამოშორებია და, თუკი ჰაერნაოსნებმა დღეს-ხვალ მისი უკან აბრუნება ვერ შეძლეს, თავისი შერეკილი კოლეგების, კოლინ პრესკოტისა და ენდი ელსონის ბედის გაზიარება მოუწევთ... ეს უკანასკნელნი მუხთალმა ქარიშხალმა ამ ათიოდე დღის წინ, იაპონიის ნაპირებთან ჩასტყორცნა.




# გაიხარეთ, გაუხარელნო!



გასულ სექტემბერს მძლეოსნობის მსოფლიო თასის იოჰანესბურგულ (სამხრეთ აფრიკა) ეტაპზე მოასპარეზე ამერიკელმა მორბენალმა, არაჩვეულებრივმა მერიონ ჯოუნსმა ნილი ერთ კეთილ საქმეშიც დაიდო. **IAAF**-მა იქვე მდებარე პატარა შავ ქალაქ სოუეტოში ადგილობრივი ბავშვებისთვის რაღაც სპორტსკოლის მაგვარი გახსნა და ეს წამოწყება სათნო მერიონს აკურთხებინა. ამერიკელმა მაშინ დაიფიცა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა... ხვალ იოჰანესბურგის მახლობლად, როდეპორტში „გრან პრი 2"-ის მორიგი ეტაპი დაიწყება. სამხრეთ აფრიკაში ნაადრევად ჩასულმა მერიონმაც თავისი მეგობარი, დიდ ბილიკებს მობრუნებული დიდი ჩემპიონი მაიკლ ჯონსონი აიყოლია და სოუეტოელ ბავშვებს ესტუმრა. დიდებულ გადამთიელებთან წვრთნისა და ღლაბუცის საშუალება ერთბაშად ათასამდე ბიჭუნასა და გოგონას მიეცა. „აბა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, გაუხარელ ბავშვებს ერთი ბედნიერი დღე რომ მაინც აჩუქო" — უთქვამს თვალებაცრემლებულ მერიონს.


REUTERS სოუეტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი; მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29